ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა

სოციალური-პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია

თამარ დორეული

„სიძულვილის ენის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები ქართულ რეალობაში“

ფსიქოლოგიის დოქტორის (PHD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გუგული მაღრაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი
2021 წელი

შინაარსი

აბსტრაქტი.....III

შინაარსი.....1

თავი 1. სიძულვილის ენის რაობა

1.1.სიძულვილის ენის გაგება და დეფინიციები.....5

1.2.სიძულვილის ენა და საერთაშორისო სამართალი.....11

1.3.ინვექტივი 17

1.4.ზოოშედარება.....21

1.5.სიძულვილის ენის ფორმები.....23

1.6.სიძულვილის ენა და ასერტიულობა.....25

1.7.მასმედიის როლი სიძულვილის ენასთან მიმართებაში.....27

თავი 2. ფსიქოლოგიური თეორიები

2.1.სოციალური ურთიერთდამოკიდებულების თეორია.....33

2.2.განწყობის ფსიქოლოგია.....36

2.3.კვლევის ძირითადი ჰიპოთეზა.....44

თავი 3. დისკურსის ანალიზი

3.1.სიძულვილის ენა პოლიტიკურ დისკურსში - საქართველოს ქალ პოლიტიკოსთა ქეისი.....45

3.2.დისკურსის ანალიზის თეორიული საფუძვლები.....49

3.3.პოლიტიკური დისკურსი.....53

3.4.არგუმენტაცია პოლიტიკურ დისკურსში.....59

3.5.ფასეულობათა არგუმენტი.....62

3.6.ავტორიტეტის არგუმენტი.....68

3.7.ენობრივი მარკერები - პრაგმატიკა.....71

3.8.მეტაფორა.....77

3.9.პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები.....80

3.10.ძირითადი მიგნებები.....86

თავი 4. რაოდენობრივი კვლევა

4.1.საზოგადოების დამოკიდებულება პოლიტიკაში სიძულვილის ენის გამოყენებისა და მისი შედეგების მიმართ - თბილისის მაგალითი.....91

4.2.სიძულვილის ენის გამოყენება.....96

4.3.სიძულვილის ენისა და პოლიტიკაში მისი გამოყენების მიმართ არსებული

განწყობები.....106

4.4.ძირითადი მიგნებები.....114

თავი 5. თვისებრივი კვლევა

5.1.სიძულვილის ენა პოლიტიკაში: ფაქტორები, მოტივაცია, შეფასება.....117

5.2.ძირითადი მიგნებები..... 118

თავი 6.

დასკვნა /რეკომენდაციები.....128

გამოყენებული ლიტერატურა.....134

აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომის მიზანი იყო პოლიტიკაში სიძულვილის ენის გამოყენების სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევა თანამედროვე საქართველოს რეალობის მაგალითზე.

სიძულვილის ენა მზარდი გლობალური პრობლემაა. იგი ხშირად გამოიყენება სოციალურ-პოლიტიკურ დისკუსიებში და სერიოზულ პრობლემებს ქმნის ბევრი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ერთი მხრივ, იმიტომ, რომ სიძულვილის ენის ერთმნიშვნელოვანი გაგება არ არსებობს, მეორე, იმიტომ, რომ სიძულვილის ენის რეგულირების საკითხი გამოხატვის თავისუფლების საკითხს უკავშირდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ, სიძულვილის ენის, როგორც 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევის, ფსიქოლოგიური ბუნების შესწავლა, მისი რაობისა და განმაპირობებელი ფაქტორების გაანალიზება საქართველოს მაგალითზე.

საწყის ეტაპზე განხორციელდა სამეცნიერო-კვლევითი წყაროების მოძიება და ანალიზი. ნაშრომის ძირითად თეორიულ საფუძვლებს წარმოადგენს მორტონ დოიჩის თანამშრომლობისა და კონკურენციის თეორია და დიმიტრი უზნაძის განწყობის ფსიქოლოგია.

მორტონ დოიჩის თანახმად, **თუ კონფლიქტური სიტუაციის კონსტრუქციული მოგვარების ტიპის არჩევა ადამიანს უსუსურის, წარუმატებლისა და მშიშარას იარლიყს მიაკერებს, მაშინ ის სოციალური კონტექსტის/ველის გათვალისწინებით არაკონსტრუქციულად იმოქმედებს.**

დიმიტრი უზნაძის მიხედვით, ,,გარკვეული მიმართულებით განწყობის აღმოცენებისთვის სუბიექტური და ობიექტური ხასიათის პირობებია

აუცილებელი: **საჭიროა არსებობდეს როგორც მოთხოვნილება, ისე სიტუაციაც, რომელშიც იგი შესაძლებელია დაკმაყოფილდეს”.** ამასთან, ადამიანის განწყობის ერთ-ერთ სპეციფიკურ მახასიათებელს წარმოადგენს მეტყველება/სიტყვა - „გამოთქმული აზრი ადამიანის აქტივობის პროდუქტია, ადამიანისა, რომელიც მიისწრაფვის გამოთქვას რაღაც, **რათა გარკვეულ მიზანს მიაღწიოს,** მიისწრაფვის **მისცეს იმას, რაც მას აინტერესებდა, საზოგადოების სხვა წევრებისთვის მისაწვდომი აზრის სიტყვიერი ფორმა”.**

ჩვენ ვივარაუდეთ, რომ თანამედროვე საქართველოში არსებულ მაღალკონკურენტულ, მაგრამ, ხშირად დესტრუქციულ, არაჯანსაღ, მტრულ, პოლარიზებულ ინტერესთა კონფლიქტით გაჯერებულ, სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში/ველში - (განწყობის აღმოცენების ერთ-ერთ მთავარ პირობაში - სიტუაციაში) - თვითდამკვიდრებისა და ვერტიკალური მობილობის მოთხოვნილება პოლიტიკოსებს უქმნის განწყობას, რომ აგრესია, ძალის დემონსტრირება და კონკურენტის „გაცამტვერება“ ინტერესთა რეალიზების აუცილებელი საშუალებაა - მათი გამოყენების გარეშე, პოლიტიკოსი თავად გამოჩნდება სუსტი როგორც კონკურენტების, ისე - საზოგადოების თვალში; სიძულვილის ენის გამოყენება კი განიხილება, როგორც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების/მიზნის მიღწევის აუცილებელი ინსტრუმენტი და ეფექტური საშუალება.

მეორე მხრივ, სიძულვილის ენის გამოყენება, თავად უწყობს ხელს ნეგატიურ სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთდამოკიდებულებათა გენერირებას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს როგორც საზოგადოებაზე, ისე - თვითონ პოლიტიკოსების პროდუქტიულობასა და მიღწევებზე.

კვლევის ემპირიული ნაწილი განხორციელდა ტრიანგულაციური მიდგომით, თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით.

კვლევაში ინტეგრირებულია ორი თვისებრივი კომპონენტი. პირველის მიზანი იყო პოლიტიკურ დისკურსში სიძულვილის ენის გამოყენების ანალიზი საქართველოს ქალ პოლიტიკოსთა მაგალითზე. კვლევის ეს ეტაპი განხორციელდა დისკურსის ანალიზის მეთოდის გამოყენებით.

დისკურსის ანალიზის შედეგების მიხედვით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პოლიტიკოს ქალთა მიერ სიძულვილის ენის გამოყენება პრაგმატული მოსაზრებებით, მიზანმიმართულად ხორციელდება და მოწინააღმდეგის დევალვაციაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, მათი როგორც ტექსტი, ისე - კონტექსტი, ხშირად კონფრონტაციული ხასიათისაა.

მეორე თვისებრივი კომპონენტის მიზანს წარმოადგენდა პოლიტიკოსთა მიერ სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტორების იდენტიფიცირება, მოტივაციის ანალიზი და შეფასება. მისი განხორციელება მოხდა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით. რესპონდენტებად შეირჩა სხვადასხვა სქესის, ასაკისა და გამოცდილების პოლიტიკოსები როგორც სახელისუფლებო, ისე - ოპოზიციური სპექტრიდან.

სიღრმისეული ინტერვიუს ანალიზის შედეგები იმ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ პოლარიზებული სოციალურ-პოლიტიკური ველი ქმნის განწყობას, რომლის მიხედვითაც, სიძულვილის ენის გამოყენება პოლიტიკოსის მიერ საკუთარი სიძლიერისა და, შესაბამისად, ოპონენტის სისუსტის დემონსტრირების ინსტრუმენტად აღიქმება.
რესპონდენტების აზრით, ასეთი განწყობის ძირითად ფაქტორს დესტრუქციული კონკურენტული გარემო, პოლარიზებული პოლიტიკური ველი წარმოადგენს.

რაოდენობრივი კომპონენტის მიზანი იყო პოლიტიკაში სიძულვილის ენის გამოყენებისა და მისი შედეგების მიმართ დამოკიდებულების ანალიზი

დედაქალაქის მოსახლეობის მაგალითზე. გამოკითხვის მეთოდს წარმოადგენდა პირისპირ ინტერვიუ, კვლევის ინსტრუმენტს - სტრუქტურირებული კითხვარი. შერჩევის მოცულობა განისაზღვრა 1000 რესპონდენტით.

რაოდენობრივი კვლევის შედეგებს შორის აღსანიშნავია სიძულვილის ენის გამოყენებისა და როგორც საზოგადოების, ისე - პოლიტიკოსებისათვის მისი ნეგატიური შედეგების გაცნობიერების მაღალი მაჩვენებლები.

კვლევის ძირითადი მიგნებების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები სიძულვილის ენის გამოყენებისა და მისი სოციალურ-პოლიტიკური შედეგების ელიმინაციის/მინიმიზების ხელშეწყობის მიზნით.

აბსტრაქტი ინგლისურად

The aim of the dissertation was to study the socio-psychological aspects of the use of hate speech in politics on the example of the reality of modern Georgia.

Hate speech is a growing global problem. It is often used in socio-political discussions and also causes a serious problem in the socio-political life of many countries. On the one hand, because there is no unambiguous understanding of hate speech, on the other, because the issue of regulating hate speech is linked to the issue of freedom of expression.

In view of the above, we have considered it important to study the psychological nature of hate speech as one of the major challenges of the 21st century. First of all, let us analyze the nature of hate speech and then its determinants on the example of Georgia.

At the initial stage, scientific-research sources were searched and analyzed. The main theoretical foundations of the paper are Morton Deutsch's theory of cooperation and competition and Dimitri Uznadze's psychology of mood.

According to Morton Deutsch, the competitive process contributes to the formation of the notion that conflict can be resolved through psychological and physical threats and violence. In the context of negative correlation, the sinking of one means the survival of the other. However, if the choice of the type of constructive resolution of a conflict situation labels a person as weak, unsuccessful and cowardly, then he / she will act in a non-constructive way, considering the social context / field.

According to Dimitri Uznadze, "conditions of a subjective and objective nature are necessary for the emergence of a mood in a certain direction: it is necessary to have both a demand and a situation in which it can be satisfied." At the same time, one of the specific characteristics of a person's attitude/set is speech - "Expressed opinion is a product of human activity, a person who aspires to express something in order to achieve a certain goal, aspires to give what he was interested in, a verbal form of thought accessible to other members of society.

We have assumed that in modern Georgia, in a highly competitive but often unhealthy, hostile, polarized conflict of interest, political environment (one of the main conditions for the emergence of mood - situation) - the need for self-reliance and vertical mobility makes politicians feel anxious. And the "poisoning" of the competitor is a necessary means of realizing the interests - without their use, the politician himself will appear weak in the eyes of both the competitors and the society; The use of hate speech is considered as a necessary tool and an effective means to achieve this need / goal,

On the other hand, the use of hate speech itself contributes to the generation of negative socio-political interdependencies, which has a negative impact on society as well as on the productivity and achievements of politicians themselves.

The empirical part of the study was conducted on the basis of a triangulation approach, using qualitative and quantitative methods.

Two qualitative components are integrated in the study. The purpose of the first qualitative component was to analyze the use of hate speech in political discourse on the example of Georgian women politicians. This phase of the research was carried out using the discourse analysis method; A total of 489 texts were processed and analyzed.

Based on the results of the analysis of discourse, it can be concluded that the use of hate speech by women politicians with pragmatic views is purposeful and focused on the devaluation of the opponent. Consequently, both their text and their context are often confrontational in nature.

The results of the in-depth interview analysis support the assumption that a polarized socio-political field creates a mood in which the use of hate speech is perceived by the politician as a tool to demonstrate his own strength and, consequently, the opponent's weakness.

According to the respondents, the main factor of such an attitude is the destructive competitive environment, polarized political field.

The purpose of the quantitative component was to analyze the use of hate speech in politics and its consequences on the example of the population of the capital. The method of the survey was a face-to-face interview, a research tool - a structured questionnaire. The sample size was determined by 1000 respondents;

Among the results of the quantitative research are the high rates of use of hate speech and its awareness of its negative consequences for both the public and politicians.

Based on the main findings of the study, recommendations were developed to use hate speech and to promote the elimination / minimization of its socio-political consequences.

შესავალი

სიძულვილის ენა მზარდი გლობალური პრობლემაა. იგი ხშირად გამოიყენება სოციალურ-პოლიტიკურ დისკუსიებში და სერიოზულ პრობლემას ქმნის ბევრი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ერთი მხრივ, იმიტომ, რომ სიძულვილის ენის ერთმნიშვნელოვანი გაგება არ არსებობს, მეორე, იმიტომ, რომ სიძულვილის ენის რეგულირების საკითხი გამოხატვის თავისუფლების საკითხს უკავშირდება. მართალია, დემოკრატიული საზოგადოებების ერთ-ერთი უდიდესი სარგებელი სიტყვის თავისუფლებაა, მაგრამ მაინც არავის უნდა მიეცეს უფლება თავისუფალი სიტყვის საშუალებით სხვა ადამიანი შეურაცხყოს და დაამციროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, სიძულვილის ენის, როგორც 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევის, ფსიქოლოგიური ბუნების შესწავლა. გადავწყვიტეთ, პირველ რიგში, გაგვეანალიზებინა სიძულვილის ენის რაობა და შემდეგ - მისი განმაპირობებელი ფაქტორები საქართველოს მაგალითზე.

ვინაიდან ტერმინი მეტად აქტუალურია, მოიცავს სხვადასხვა სახის გამოხატვის სპექტრს და მისი ფართო გაგება ჩადებულია, როგორც თვითონ საერთაშორისო დოკუმენტებში, ისე სოციალურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის მკვლევრების დეფინიციებში, დისერტაციის ფარგლებში, ტერმინის ფართო გაგებით გამოყენება გადავწყვიტეთ.

მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილის ენა და მისი გამოყენების შემთხვევები უძველესი დროიდან იღებს სათავეს, დღეს იგი გაძლიერდა, როგორც არასდროს. ინტენსივობა, რომლითაც იგი ვრცელდება, შეიძლება დიდწილად მიეკუთვნოს სოციალურ მედიას (მაგ. Twitter, Facebook, Youtube და ა.შ.), რადგან ეს უზრუნველყოფს არხებს, რომელთა საშუალებითაც სიძულვილის ენა მსოფლიოში

წლების განმავლობაში შეუფერხებლად ვრცელდება. შესაბამისად, სიძულვილის ენის მოქმედების მექანიზმი, თანამდროვე კონტექსტში შემდგომ კვლევასა და გაანალიზებას საჭიროებს.

ევროპის საბჭოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მებრძოლმა კომისიამ საქართველოს ორჯერ მისცა სიძულვილის ენის კრიმინალიზების რეკომენდაცია, მაგრამ ჩვენი კანონმდებლები ამ თემაზე ჯერჯერობით ხმამაღლა არ საუბრობენ (ECRI, 2015).

კიდევ უფრო საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ამგვარ რიტორიკას ადამიანები ეჩვევიან და იწყებენ მის მიღებას, როგორც ჩვეულებრივ რამეს, და სამწუხაროდ, მათთვის საზღვარი თავისუფალ სიტყვას და სიძულვილის ენას შორის სრულიად ბუნდოვანი და შეუსაბამო ხდება.

სიძულვილის ენას აქტიურად იყენებენ პოლიტიკოსები და არანაკლებია მედიის როლი მის გავრცელებაში. სწორედ ამიტომაც ვინტერესდებით, რა ფაქტორები უბიძგებს პოლიტიკოსს სიძულვილის ენის გამოყენებისკენ, რა მიზანს ემსახურება ვერბალური გამოხატვის ეს ფორმა და როგორია საზოგადოების მიერ დამოკიდებულება სიძულვილის ენის გამოყენების მიმართ - შეფასება, ემოცია, პრეფერენციები.

ამ თვალსაზრისით გავაანალიზეთ ჯერ ქართველის ქალი პოლიტიკოსების საჯაროდ მიცემული ინტერვიუები და მერე თავად პოლიტიკოსთა მოსაზრებები სიძულვილის ენის ფენომენის მიმართ.

ნაშრომი მოიცავს როგორც თეორიულ ისე ემპირიულ კომპონენტებს. პირველი თვისებრივი კომპონენტის მიზანი იყო პოლიტიკურ დისკურსში სიძულვილის ენის გამოყენების ანალიზი საქართველოს ქალ პოლიტიკოსთა მაგალითზე. კვლევის ეს ეტაპი განხორციელდა დისკურსის ანალიზის მეთოდის გამოყენებით, რის შედეგადაც, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ პოლიტიკოს ქალთა მიერ სიძულვილის ენის გამოყენება პრაგმატული მოსაზრებებით, მიზანმიმართულად

ხორციელდება და მოწინააღმდეგის დევალვაციაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, მათი როგორც ტექსტი, ისე - კონტექსტი, ხშირად კონფრონტაციული ხასიათისაა.

კვლევის მეორე თვისებრივი კომპონენტის მიზანს წარმოადგენდა პოლიტიკოსთა მიერ სიძულვილის ენის გამოყენების მოტივაციის ანალიზი. სიღრმისეული მეთოდის გამოყენებით გამოიკითხა 20 სხვადასხვა სქესის, ასაკისა და გამოცდილების მქონე პოლიტიკოსი. რესპონდენტები აძლევდნენ გარკვეულ ახსნას და შეფასებას არსებულ პოლიტიკურ გარემოში სიძულვილის ენის გამოყენებასა და მის განმაპირობებელ ფაქტორებს.

ჩატარებულ იქნა რაოდენობრივი კვლევაც, სადაც გამოივიკვლიეთ საზოგადოების დამოკიდებულება პოლიტიკაში სიძულვილის ენის გამოყენებისა და მისი შედეგების მიმართ (თბილისის მაგალითზე). კვლევის მონაცემების საფუძვლად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკვლევი პოპულაცია, ძირითადად, ნეგატიურად არის განწყობილი სიძულვილის ენის გამოყენების მიმართ როგორც ემოციურ, ისე - რაციონალურ დონეზე;

მორტონ დოიჩის სოციალური ურთიერთდამოკიდებულების თეორიასა და დიმიტრი უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიაზე დაყრდნობით შევეცადეთ აგვეხსნა პოლიტიკოსების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები/კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები.

დოიჩის თანახმად, კონფლიქტური სიტუაციის ძირითად თვისებას წარმოადგენს თანამშრომლობით ურთიერთობასა და დესტრუქციულ შეჯიბრს შორის განსხვავების არსებობა. კონკურენტული ურთიერთობის დროს, ერთი პიროვნების წარმატება მეორის წარუმატებლობით მიიღწევა. ამ დროს ფიქრობენ მატერიალურ ჯილდოსა და რეპუტაციაზე. ამასთან, მნიშვნელოვანია სოცილური კონტექსტის გათვალისწინება. თუ პოლიტიკოსის მიერ გადადგმული ნაბიჯი

თანამოაზრეების მხრიდან დაწუნებული იქნება, მაშინ ის თავს შეიკავებს და თანაგუნდელთა მოლოდინების შესაბამისად იმოქმედებს.

განწყობის ფსიქოლოგიის მიხედვით კი აღმოჩნდა, რომ პოლიტიკურ რეალობაში ჩნდება მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილებისთვის სიძულვილის ენა ერთ-ერთი ცალსახად აუცილებელი/ხელისშემწყობი საშუალებაა.

ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ: იმისათვის, რომ სიძულვილის ენა განხორციელდეს, უნდა არსებობდეს პოლიტიკოსის მხიდან თვითდამკვიდრების სურვილი (მოთხოვნილება), პოლიტიკური გარემო (მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ობიექტი) და ვერბალური აგრესია (ინსტრუმენტული შესაძლებლობები). აღნიშნულ ფაქტორთა ურთიერთქმედებას კი კარგად ხსნის განწყობის თეორია და სწორად ამიტომ, გადავწყვიტეთ, სიძულვილის ენის ფსიქოლოგიური ბუნება და მოქმედების მექანიზმი განწყობის თეორიის გამოყენებით გვეკვლია.

სანამ უშუალოდ ჩვენი კვლევების აღწერასა და შედეგებზე გადავალთ, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ სიძულვილის ენის ცნება და მისი რაობა, სიძულვილის ენასთან დაკავშირებული არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და შეხედულებები.

თავი 1 - სიძულვილის ენის რაობა

1.1 სიძულვილის ენის გაგება და დეფინიციები

სიძულვილის ენის ერთმნიშვნელოვანი გაგება ან მისი საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი დეფინიცია არ არსებობს. იგი ისეთ სენსიტიურ თემას უკავშირდება, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლება. თუმცა, „ზოგიერთი გამოხატვა თავად წარმოადგენს საფრთხეს დემოკრატიული საზოგადოებისთვის, შესაბამისად, მისი შეზღუდვა სახელმწიფოს მხრიდან არ არის აღქმული, როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ... სწორედ ამ კატეგორიაში არის მოქცეული, ევროპის ბევრ სახელმწიფოში, სიძულვილის ენა, რომელიც დღემდე სერიოზულ პრობლემად რჩება ბევრი ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში“ (საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა).

იმ ქვეყნებშიც კი, სადაც სიძულვილის ენის იურიდიული განსაზღვრებები არ არსებობს, არსებობს რეგულაციები, რომლებიც კრძალავს დანაშაულის ხელშემწყობ თუ წამქეზებელ, ღირსების შემლახველ, აგრეთვე, ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის წინააღმდეგ შეუწყნარებლობის, ძალადობის, შუღლის გამოწვევის საფრთხის შემცველი ენის გამოყენებას.

აღსანიშნავია, რომ სიძულვილის ენა გამოხატვის მხოლოდ ზეპირსიტყვიერ ან წერილობით ვერბალურ საშუალებებს არ უკავშირდება. მისი გამოხატვა შესაძლებელია, აგრეთვე, არავერბალური კომუნიკაციის საშუალებებითაც: სიმბოლო, ნახატი, სურათი, ვიდეო, ემოციის ამსახველი ხატი, მიმიკა, ხმის ტემბრი და ა. შ. ინტერნეტის საყოველთაო გამოყენებასთან ერთად უფრო და უფრო მრავალფეროვან და ფართო მასშტაბიან ხასიათს იძენს მისი გავრცელების საშუალებებიც.

შესაბამისად, როგორც თვითონ ტერმინი, ისე, მასთან დაკავშირებული საკითხები უფრო და უფრო აქტუალური ხდება გლობალური მასშტაბით და საერთაშორისო

დემოკრატიული სტრუქტურების განსაკუთრებული ინტერესის ობიექტს წარმოადგენს. საერთაშორისო რეგულაციები, ზოგადად, ადამიანის ღირსების დაცვაზეა ორიენტირებული და, აქედან გამომდინარე, მისი შელახვის, შეურაცხყოფის წინააღმდეგ არის მიმართული, „ვინაიდან ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის თანდაყოლილი **ღირსება** და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება მსოფლიოში წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს“ - ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, პრეამბულა (დეკლარაცია, პრეამბულა, 1948).

დეკლარაციის 1 მუხლში მითითებულია, რომ „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით“, ხოლო მუხლი 2-ის მიხედვით, „ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა წმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი თუ სხვა მდგომარეობისა“ (დეკლარაცია, მუხლი 2, 1948).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10-ე მუხლის მე-2-ე პუნქტში დეკლარირებულია, რომ „ამ (ადამიანის) თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან

მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან **ღირსების** დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“ (კონვენცია, 1948).

სიძულვილის ენის შესახებ დისკუსიების დაწყება მეორე მსოფლიო ომის ეპოქას - ნაციზმისა და ტოტალიტარიზმის აღზევებას უკავშირდება, რაც მრავალ საერთაშორისო კონვენციასა თუ სხვა დოკუმენტებშია ასახული. მაგალითად:

გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენციაში, რომელიც ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1946 წლის 11 დეკემბრის 96 (I) რეზოლუციას, დეკლარირებულია, რომ დასჯადია პირდაპირი და საჯარო წაქეზება გენოციდის ჩადენისათვის (კონვენცია, 1946).

საერთაშორისო კონვენციაში რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად, დაგმობილია ყოველგვარი პროპაგანდა და ორგანიზაცია, „რომელიც დაფუძნებულია ერთი რასის, ერთი ფერის ან ეთნიკური წარმოშობის პირთა ჯგუფის უპირატესობის იდეებსა და თეორიაზე, რომელიც ცდილობს გაამართლოს ან ხელი შეუწყოს რასობრივ სიძულვილსა და დისკრიმინაციის ნებისმიერ ფორმას (მუხლი 4) და ა.შ (კონვენცია, 1966).

სავარაუდოდ, ეს ვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ ფაქტორს, რის გამოც, ზოგიერთი მკვლევარი ან პოლიტიკოსი, სიძულვილის ენას, ძირითადად, მხოლოდ რასობრივ, ეთნიკურ ან უმცირესობათა ჯგუფების დისკრიმინაციასთან აიგივებს, თუმცა, მთელ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოში, უფრო და უფრო აქტუალური ხდება სიძულვილის ენის გამოყენება სოციალურ და პოლიტიკურ დისკურსებში, რაც სიძულვილის ენის გაგების უფრო ფართო კონტექსტს გულისხმობს.

სიძულვილის ენის უფრო ფართო გაგება ჩადებულია, როგორც თვითონ საერთაშორისო დოკუმენტებში, ისე სოციალურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის მკვლევრების დეფინიციებში.

ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ციტირებული დეფინიცია სიძულვილის ენის შესახებ არის ევროსაბჭოს მიერ შემოთავაზებული განმარტება. მინისტრთა კომიტეტის 1997 წელს მიღებული რეკომენდაცით, სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებული შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმს, ეთნოცენტრიზმს, დისკრიმინაციასა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატულ მტრობას (Recommendation No.20, 1997).

შუღლის სხვა ფორმების - როგორც დისკრიმინაციის ფორმების გავრცელების შესაძლო სიტუაციების გათვალისწინება გულისხმობს, რომ სიძულვილის ენას აქვს „ღია განსაზღვრება“ - იგი ექვემდებარება ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზს და იძლევა იმის ალბათობას რომ ნებისმიერ მომენტში შესაძლოა „ახალი“ სამიზნე ობიექტი, ან ახალი დისკრიმინაციის საფუძველი გაჩნდეს.

ზოგადად, ადამიანის ღირსების ხელყოფის წინააღმდეგ სულისკვეთებითაა გამსჭვალული 1989 წლის „ევროპული კონვენცია ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ“ (Convention, 1989); 2015 წლის „ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია“ N15-ის მიხედვით, პარლამენტში და სახელმწიფო მოხელეების მხრიდან უხეში ტონის გამოყენებამ, შეურაცხმყოფელი და შეუწყნარებელი დისკურსის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რომელსაც სულ უფრო მძაფრდება მაღალი რანგის პოლიტიკოსის მიერ სიძულვილის ენის შემცველი განაცხადებით (Recommendation No15, 2015) და ა.შ.

უზოგადესი გაგებით, სიძულვილის ენა „შეიძლება განისაზღვროს, როგორც ნებისმიერი გამონათქვამი, რომელიც სხვის შეურაცხყოფას იწვევს“ (Lewis, 2012).

სიძულვილის ენა არის მეტყველება ან სხვა გამომხატველი ქცევა, რომელიც გარკვეულწილად მჭიდროდაა დაკავშირებული ჯგუფების ან პირთა კლასებისადმი სიძულვილთან, რომლებიც გამოვლენილია გარკვეული აღწერილობით (მაგ: რასა, ეთნიკურობა, ეროვნება, მოქალაქეობა) (BROWN, 2015);

სიძულვილის ენა, მაგალითად, არის სიტყვიერი აგრესიის ფორმა (→ ვერბალური აგრესიულობა), რომელიც გამოხატავს სიძულვილს, ზიზღს, დაცინვას ან მუქარას კონკრეტული ჯგუფის ან ადამიანების მიმართ (Asante, 1998, pp. 87– 98);

სიძულვილის ენა მიზნად ისახავს „სამიზნე ჯგუფების დაზიანებას, დეჰუმანიზაციას, შევიწროებას, დაშინებას, დამცირებას, დეგრადირებას და მსხვერპლს და მათ მიმართ მგრძნობელობისა და სისასტიკის გაღვივებას” (Gagliardone, 2014); იგი ეხება გამონათქვამებს, რომლებიც მხარს უჭერენ ზიანის მიყენებას (კერძოდ, დისკრიმინაციას, მტრობას ან ძალადობას) მიზნის საფუძველზე, ხშირად ემუქრება ან წაახალისებს ძალადობრივ ქმედებებს, ან ვრცელდება ასევე გამონათქვამებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ცრურწმენებისა და შეუწყნარებლობის ატმოსფეროს შექმნას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მიზნობრივი დისკრიმინაცია, მტრობა და ძალადობრივი თავდასხმები ... სიძულვილის ენის კონცეფცია შესაძლოა მანიპულირებისკენ იყოს მიდრეკილი: სიძულვილის ენის გაღვივების ბრალდება შეიძლება გადიოდეს პოლიტიკურ ოპონენტებს შორის, ან გამოიყენოს ხელისუფლებამ განსხვავებული აზრისა და კრიტიკის შესაჩერებლად (Gagliardone, 2015);

სიძულვილის ენა, როგორც „სახიფათო მეტყველება“ მიმართულია ზიანის მიყენებისკენ და აძლიერებს ძალადობას ერთი ჯგუფის მიერ, მეორე ჯგუფის წინააღმდეგ“ (Benesch S, 2012);

სიძულვილის ენა ახდენს საზოგადოების გარკვეული დაუცველი ჯგუფების დისკრიმინაციას, იწვევს სიძულვილსა და მტრობას (KRSTIĆ, 2020);

დეფინიციათა ასეთი ფართო სპექტრის მიუხედავად, შესაძლებელია იმ ზოგადი ნიშან-თვისებების გამოყოფა, რომლებიც სიძულვილის ენის იდენტიფიცირების საფუძველს წარმოადგენს:

იგი მოიცავს სხვადასხვა ტიპის ემოციურად ნეგატიურ გამონათქვამებს, გააჩნია სამიზნე ობიექტი პიროვნების ან ადამიანთა ჯგუფის სახით, მიზნად ისახავს ადრესატის დაკნინებას, უარყოფითი იმიჯისა და ნეგატიური სოციალური სტატუსის ფორმირებას, ხორციელდება თავდასხმის ფორმით და მისი გამოყენების შედეგები დამაზიანებელია ადრესატისათვის.

წარმოდგენილი ნაშრომი ეყრდნობა სიძულვილის ენის გაგების ზემოაღნიშნულ ზოგად მახასიათებლებს და ფოკუსირებულია პოლიტიკის დისკურსში სიძულვილის ენის ვერბალური ფორმების გამოყენების კვლევაზე.

1.2 სიძულვილის ენა და საერთაშორისო სამართალი

„საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“ საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ განხორციელებული პროექტის („ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“) ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით ჩაატარა კვლევა, სახელწოდებით „სიძულვილის ენის აღმოფხვრა პოლიტიკურ დისკურსში - სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან თვითრეგულაციის მექანიზმებისკენ“, სადაც კარგად არის განმარტებული სიძულვილის ენის საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპები და აღწერილია ის ნორმები რითაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სიძულვილის ენა რეგულირდება.

კვლევის შესავალში აღნიშნულია, რომ გამოხატვის თავისუფლება მრავალი საერთაშორისო დოკუმენტით არის დაცული. მიუხედავად ამისა, არსად, არც ერთ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება არ ითვლება აბსოლუტურად. შეზღუდვების საფუძველთა ჩამონათვალი განსხვავდება ერთმანეთისაგან ქვეყნების მიხედვით და განსხვავებული პრაქტიკა არსებობს სიძულვილის ენის რეგულაციის თვალსაზრისითაც (GDI).

ჯერ კიდევ 1948 წლის 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 1 მუხლში მითითებულია, რომ ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით. მუხლი 2-ის მიხედვით, ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა წმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი თუ სხვა მდგომარეობისა (ECHR, 1948).

ადამიანის უფლებების პირველი გლობალური ხელშეკრულება, რომელიც კონკრეტულად მიკერძოებულობის ყველაზე საშინელ ფორმებს ეხება, არის კონვენცია გენოციდის დანაშაულის პრევენციისა და დასჯის შესახებ, რომელიც ერთხმად მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1946 წელს (კონვენცია, 1946).

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით, გამოხატვის ან გაერთიანების თავისუფლება შეზღუდვა დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საფრთხეს უქმნის ეროვნულ უშიშროებას ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ან აუცილებელია უწესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად (UDHR, 1948).

1989 წლის **„ევროპული კონვენცია ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ“** ასევე აღნიშნავს ადამიანის ღირსების პატივისცემის აუცილებლობას და სიძულვილის ენის წახალისების აკრძალვას. მნიშვნელოვანია, რომ იგი ასევე ამახვილებს ყურადღებას „პოლიტიკოსების როლზე და სხვა საზოგადოებრივი აზრის შემქმნელ ჯგუფების გავლენაზე ” (Convention, 1989);

რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ **„საერთაშორისო კონვენციის“** მე-4 და მე-6 მუხლებში კრძალავს დისკრიმინაციულ მეტყველებას და მოქმედებას მნიშვნელოვნად უფრო ფართო მასშტაბით. ეს ავალდებულებს სახელმწიფოებს სიძულვილის ენის კრიმინალიზება მოახდინონ (ICERD, 1966);

2003 წლის **„კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი“** კრძალავს რასისტული და ქსენოფობიური მასალების გავრცელებას (Cybercrime, 2003);

2007 წლის **„ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია N11“** სახელმწიფოებისგან ითხოვს რასისტული დანაშაულების საფუძვლიან გამოძიებას (ECRI, 2007);

2015 წლის **„ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია“ N15**-ის მიხედვით, პარლამენტში და სახელმწიფო მოხელეების მხრიდან უხეში ტონის გამოყენებამ, შეურაცხმყოფელი და შეუწყნარებელი დისკურსის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რომელიც სულ უფრო მძაფრდება მაღალი რანგის პოლიტიკოსის მიერ სიძულვილის ენის შემცველი განაცხადებით (ECRI, 2015);

მსოფლიოში თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოებების ერთ-ერთი მთავარი სიგნალი არის სიტყვის თავისუფლების უფლება. ეს ნიშნავს, რომ ადამიანებს არსებითად აქვთ უფლება გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები ცხოვრების ყველა ასპექტთან დაკავშირებით. ვინაიდან დღეს განსაკუთრებით მძაფრი, დამამცირებელი და დეჰუმანიზებელი გზავნილების ტალღები კონკრეტული პირების, ან ინდივიდუალური ჯგუფების მიმართ მათი პოლიტიკური კუთვნილების, რელიგიური მრწამსის, ეთნიკური ნიშნის, სექსუალური ორიენტაციის, ინვალიდობის და სხვა მიზეზების გამო კიდევ უფრო მძაფრდება და ფართოვდება სადავო ხდება, უნდა ჩაითვალოს თუ არა სიძულვილის ენა უბრალოდ თავისუფალ სიტყვად.

კვლევის ავტორთა მოსაზრებით, დიამეტრიულად საწინააღმდეგო პოზიციების ფართო სპექტრი არსებობს. ერთი აზროვნების სკოლა აშკარად უარყოფს ამ ორს შორის ყოველგვარ სეგრეგაციას და, ამრიგად, ხელს უწყობს სიძულვილის ენის მაქსიმალურ გამოხატვას თავისუფალ სიტყვასთან ინტეგრირებას. სხვა აზროვნების სკოლა აღიარებს სიძულვილის ენას, როგორც ცალკეულ და საკმაოდ საშიშ ფენომენს, რომელიც უნდა აღიკვეთოს სანქციებით ოფიციალური და / ან კერძო საყვედურების, აგრეთვე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით (GDI).

რეკომენდაციებმა და წარსულის გამოცდილებამ (ნაცისტური იდეოლოგია) გამოიწვია ის ფაქტი, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში რეგულაციები დაწესდა სიძულვილის ენის შესაჩერებლად. მაგ:საფრანგეთის, ნიდერლანდების, დანიისა

და დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობით, დასჯადია რასისტული დისკრიმინაციისაკენ, სიძულვილისაკენ ან ძალადობისაკენ წაქეზება.

მეორე მხრივ, ამერიკის კონსტიტუცია და ასევე ამერიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ცხადყოფენ, რომ ამერიკელებისათვის გამოხატვის თავისუფლებას ერთ–ერთი მნიშვნელოვანი როლი უჭირავს და მისი შეზღუდვა მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევებშია შესაძლებელი. შესაბამისად სიძულვილის ენა ამერიკული მიდგომით არ არის დაასჯადი ქმედება და იგი ფაქტიურად გამოხატვის ერთ–ერთ ლეგიტიმურ ფორმადაა მიჩნეული, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ასეთი გამოხატვა აშკარა და მყისიერ საფრთხეს ქმნის დემოკრატიულ საზოგადოებაში.

არიზონას უნივერსიტეტის, სამართლის პროფესორის მასაროს აზრით, პირის მხოლოდ მიზანმიმართული შეურაცხყოფა რასის, სქესის, რელიგიის, ეთნიკური წარმოშობის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა დაცული მახასიათებლების საფუძველზე უნდა კლასიფიცირდეს სიძულვილის ენად და აიკრძალოს (Massaro, 1991).

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მიხედვით, ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. მისი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სხვათა უფლებების დაცვის აუცილებლობის შემთხვევაში. კონსტიტუციის 24–ე მუხლით კი, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“ (კონსტიტუცია, 1995).

1997 წელს მიღებულ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–11 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით დაუშვებელია ან მანიფესტაციის ორგანიზებისას და ჩატარებისას ... ისეთი მოწოდება რომელიც არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ,

რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს“ (კანონი, 1997);

საქართველოში 2014 წლამდე სისხლის სამართლის 142-ე პრიმა მუხლი ითვალისწინებდა პირის დასჯას დისკრიმინაციისთვის. 2014 წელს კი საქართველოს პარლამენტმა მიიღო ანტიდისკრიმინიციული კანონი. ამ კანონის მიღებას ხელი შეუწყო ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პროექტმა. 2013 წელს საქართველოს დაეკისრა ვალდებულება მიეღო კანონი, რომელიც დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების აღმოფხვრისკენ იქნებოდა მიმართული. 2014 წელს კი ანტიდისკრიმინაციული კანონი ოფიციალურად შევიდა ძალაში. აღსანიშნავია, რომ ამ კანონის შემუშავება იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელდა (კანონი, 2014).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს (კოდექსი, 1999);

დემოკრატიულ საზოგადოებაშიც კი გასათვალისწინებელია, თუ ვინ არის შეურაცხმყოფელი ან შეურაცხყოფილი ან ცილისწამების ობიექტი - საჯარო თუ კერძო პირი.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საზოგადოებრივი აუცილებლობის დადასტურება ბევრად უფრო რთული ხდება, მაშინ როცა საქმე ეხება ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს, ან თანამდებობის პირს, რადგან მათ თმენის მეტი ვალდებულება ეკისრებათ და ყოველი მოქმედება, რომელიც მათი, როგორც საჯარო პირის საქმიანობას უკავშირდება, მოქცეულია საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესისა და დაკვირვების ქვეშ, თუმცა ქართველი პოლიტიკოსები თავის დაცვას და საკუთარი სიმართლის დამტკიცებას ორმაგი შეურაცხმყოფელი თავდასხმებით ცდილობენ და ამით ხშირ შემთხვევაში დაპირისპირების პროვოცირებასაც ახდენენ, რადგან ლიდერთა გამოსვლები ასახვას ჰპოვებენ საკუთარ მომხრეებში და იწვევენ მათ მიბაძვას. გამოდის, რომ ერთი არასწორად ნათქვამი სიტყვა ან მოქნეული მუშტი ვრცელდება მთელ საზოგადოებაზე და იწვევს ამომრჩეველთა ფართო მასის დაპირისპირებას არა მხოლოდ კამათის, შეურაცხყოფის, არამედ ფიზიკური დაპირისპირების დონეზეც.

1.3 ინვექტივი

სიძულვილის ენის საწყისები შესაძლოა ვეძიოთ ადამიანური კულტურის ღრმა წარსულში. ფსიქოანალიზის ფუძემდებელმა ზიგმუდ ფროიდმა თქვა: „ადამიანი, რომელმაც პირველად შეძლო შუბის ნაცვლად შეურაცხმყოფელი სიტყვა ეხმარა, იყო ცივილიზაციის დამაარსებელი”. ამგვარად, სიძულვილის ენის გამოყენება კულტურის ფენომენია და ერთგვარი შემოქმედებითი აქტია, რომელიც აყალიბებს ადამიანის უნივერსალურ დამოკიდებულებას სამყაროსადმი. ასეა თუ ისე, შეიძლება ითქვას, რომ ამ ენას უნდა ჰქონდეს საწყისი წერტილი, რომელიც ბიძგს მისცემდა მის წარმოშობას. მისი არსიდან გამომდინარე, სიძულვილის ენის ჩანასახი უნდა მოვიძიოთ უძველესი კულტურული ფენომენის ინვექტივის წიაღში, რომელიც თავისი არსით გულისხმობს ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ მკვეთრ, შეურაცხმყოფელ გამოსვლას ან ლანძღვას. სავარაუდოდ, სწორედ ინვექტივის არსებობას გულისხმობდა ფროიდი შეურაცხმყოფელი სიტყვის გამოყენებაში.

სიტყვა „ინვექტივის“ ლათ. „Invectiva“ ლათინური ფუძე აქვს, რომელიც მომდინარეობს სიტყვიდან „invehor“, რაც თავდასხმას, შეტევას ნიშნავს. იგი განმარტებულია როგორც უხამსი ტირადა, რომელიც ვინმეს შეურაცხყოფას ემსახურება.

„ინვექტიური ლექსიკის ძირითად ნაწილს შეადგენს საგინებელი ლექსიკა, დაკავშირებული დიალექტებთან, არალიტერატურულ, „პოპულარულ“ ენასთან და ჟარგონებთან და ხასიათდება უხეში, უარყოფითი და ცინიკური ექსპრესიულობით“ (Горбаневский, 2001).

ეს არის ლექსიკური ერთეულები, რომელიც საშუალებას აძლევს მოსაუბრეს უარყოფითი ემოციების გამოხატვით მოახდინოს მოწინააღმდეგის ნეგატიური შეფასების დემონსტრირება და პიროვნების გაუფასურება (Аристова, 2000).

ფრანგი მეცნიერი დ. ლაგორგეტი გამოყოფს ინვექტივის 3 კატეგორიას, რომლებიც ადამიანს გაანაწყენებს:

1) შედარება ცხოველებთან და უსულო საგნებთან;

2) შედარება ნეგატიური დატვირთვის მქონე ხალხთან, პროფესიებთან;

3) ადამიანის თანდაყოლილი მახასიათებლების დაცინვა/დამცირება (რასობრივი - სექსუალური) (Lagorgette, 2008, გვ. 7-10).

ინვექტივის სოციალური თვისება გულისხმობს ადამიანის დევალვაციას, იმიჯის შელახვას საზოგადოებაში, შურაცხყოფის, დაცინვის/ირონიის გამოყენების გზით. ამ დროს ეჭვქვეშ დგება ადამიანის არსი, მისი პიროვნება, მორალური ღირსება, გონებრივი შესაძლებლობები, ფიზიკური გარეგნული მხარი, პიროვნების თვისებები, ზნეობა, ფსიქიკური შესაძლებლობები. ხშირად მას ბრალად ედება "ცუდი, უღირსი ჯგუფის" წევრობა ან თავის ჯგუფში უღირსად არის გამოცხადებული.

სიძულვილის ენა სიტყვას იყენებს როგორც მაგიურ იარაღს იმისთვის, რომ პირდაპირი ზიანი მიაყენოს ადამიანს. ამერიკელი პროფესორი რიჩარდ დელგადოს მიხედვით, სწორედ „სიტყვებია შეურაცხმყოფელი, ჭრილობის მიმყენებელი და ზიანის მომტანი, ასევე სიტყვებთან ერთად მნიშვნელოვანია ტონი და კონტექსტი“ (Delgado, 2009, pp. 354-370).

ინვექტივისთვის სიტყვა იმავე ძალისაა როგორც სიძულვილის ენისთვის. სიძულვილის ეფექტი იზრდება, როცა მას შეურაცხმყოფელი მნიშვნელობა გააჩნია. ისევე როგორც ინვექტივით გამოხატული შეურაცხყოფები, ასევე სიძულვილის ენით წარმოთქმული დამამცირებელი ეპითეტები დროთა განმავლობაში იცვლებოდა და გააჩნია ნაციონალურ - სპეციფიკური ხასიათი. მაგ: უწმაწური, უხამსი შეიძლება იყოს ამ მომენტში და ამ მოცემულ ნაციონალურ

კულტურაში. აღსანიშნავია, რომ ინვექტივის თავისებურება როგორც სიტყვიერი გამოხატვის საშუალება კავშირშია მთქმელის სოციალურ მდგომარეობასთან.

ინვექტივას ხშირად თან ახლავს უცენზურო სიტყვებიც. მას ორმხრივი გამოხატულება აქვს: ერთი, როცა უშვერი სიტყვების გამოყენებით ინვექტივა უკიდურესი აღშფოთების, გაბრაზების, უარყოფითი ემოციის გამოხატვის სიტყვიერი საშუალებაა (ექსპრესიული განმუხტვა) და მეორე, როცა მისი საშუალებით მოლაპარაკე მხოლოდ ყურადღების მიპყრობას ცდილობს (ინსტრუმენტი). ინვექტივის მსგავსად, სიძულვილის ენას ორივე მათგანი ახასიათებს. პოლიტიკოსები ორივე ფორმას მიმართავენ:

1. ემოციის განმუხტვისთვის;
2. რათა გააქტიურდნენ ადამიანთა ცნობიერებაში.

ინვექტიური ლექსიკის სხვადასხვა კლასიფიკაცია არსებობს. ერთ-ერთია რაუსონი-ს კლასიფიკაცია, რომელიც გამოყოფს ღვთის დამგმობ ინვექტივს, რომელიც ეხება წმინდა ცნებებს, ადამიანის სხეულის ნაწილების დასახელებას და ადამიანების შეურაცხყოფას ეთნიკური განსხვავებულობის, პოლიტიკური შეხედულებების, სექსუალური, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების მიხედვით (Rawson, 1989).

შესაბამისად, შესაძლებელია ვიპოვოთ მრავალი პარალელი. საერთო ნიშან-თვისება ინვექტივსა და სიძულვილის ენას შორის. ინვექტივის მსგავსად სიძულვილის ენაც:

- <u>კულტურის ფენომენია;</u>
- <u>განსაზღვრულია კონკრეტული კულტურის შიგნით ჩამოყალიბებული ტრადიციებით;</u>
- <u>გამოიყენება სუბიექტის სოციალური დისკრედიტაციისთვის;</u>

- რეალიზდება სპეციალური ტექსტით;
- ტექსტი უშუალოდ მიმართულია სუბიექტზე;
- ტექსტის შინაარსი კულტურულად არის ფორმირებული;
- არის ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესის ნაწილი;
- დამოკიდებულია ისტორიულ, სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებებზე;
- წარმოშობს ნაციონალიზმითა და ეთნოცენტრიზმით გამოხატულ აგრესიულ არატოლერანტულობას.

1.4 ზოოშედარება

ინვექტივის მსგავსად, სიძულვილის ენისთვის დამახასიათებელია სხვების დასამცირებლად ცხოველებთან შედარება ან ფიზიკური მახასიათებლით ან ხასიათის თვისებებით. ცხოველებთან ასოცირების მაგალითები ყველა ნაციონალური კულტურისთვისაა დამახასიათებელი. ამ ასოციაციების დახმარებით, ინდივიდი ბრალს სდებს ოპონენტს იმაში, რომ მას აქვს გარკვეული უარყოფითი თვისებები, რომელსაც ნაციონალური ტრადიცია მიაწერს ამა თუ იმ ცხოველს. ცნობილია, რომ ინვექტივის შემთხვევაში დაბრალების უდიდეს ნაწილს აქვს ფარული ან გამოხატული სექსუალური ქვეტექსტი. ამასთან შესაძლებელია კომპლიმენტური ზოომიმართვებიც. მაგ: რუსულ ენაში - „сокол ти мой, ясний,“ „შევარდენო ჩემო ნათელო“, глупий, как индюк, “სულელი როგორც ინდაური“. თხუნელა ესპანელებთან სიჩლუნგესთან, ჩეჩენ-ინგუშებთან კამეჩი უსუფთაობასთან, ხოლო ინდოეთში ყვავი სალანძღავ სიტყვასთან ასოცირდება. საოცარია, მაგრამ ფრანგებისთვის აქლემი ჭუჭყიანი და ბოღმიანი კაცის სიმბოლოა, მაშინ როცა ყირგიზებისთვის აქლემი ამტანობის და კეთილსინდისიერების ეტალონია. ცხოველი ღორი, თითქმის ყველა კულტურისთვის შეურაცხმყოფელია. მაგ: ჩინეთში ღორი-ჩლუნგ ადამიანს, იტალიურში ღმერთის გინებას, რუსულში კი სალანძღავ სიტყვას ნიშნავს. მეორე პოპულარული ცხოველი არის ძაღლი. თუმცა, სიტყვა „ძაღლი“ სტილისტურად ნეიტრალური სიტყვაა, ამიტომ მას სხვადასხვა ენაში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ძვ.ეგვიპტეში, ძვ.ინდოეთში და ძველ სპარტაში ძაღლი წმინდა ცხოველად აღიქმებოდა და მას პატივისცემის ნიშნად ხმარობდნენ. რუსეთში და უნგრეთში, სიტყვა ძაღლი ასოცირდება დედის გინებასთან. იაპონლებისა და ბერძნებისთვისაც ცხოველი ძაღლი სამარცხვინო საქციელის ექვივალენტია. რაც შეეხება ქართულ ენაში ცხოველთა სახელების გამოყენებას აღნიშნული თვალსაზრისით, იგი გარკვეულწილად კულტურულ სემანტიკას მოიაზრებს. მაგ: ქართულ ენაში, ბატთან შედარება ნიშნავს დაბნეულობას და მოუწესრიგებლობას,

ვირი-სიჯიუტეს, ღორი-გაუმაძღრობას და სიბინძურეს, მელა-ეშმაკობას, გველი-მწარე ენას, ქათამი - დაბნეულობას, ცხვარი-მორჩილებას. ასევე საინტერესოა გამონათქვამები: „ქათამივით ორი ფეხი აბია“, „ძაღლივით დაწანწალებ“. ჩვენს შემთხვევაში პოლიტიკოსის პირიდან ნასროლი ფრაზები: „ხალხი მეწველ ძროხად ჰყავს წარმოდგენილი”, „დამფრთხალი ვირთხა”, „შეშინებული თაგვი”, ძირს ამ სისტემაში ჰპოვებს. აქაც აშკარა გავლენაა ინვექტივისა სიძულვილის ენაზე.

1.5 სიძულვილის ენის ფორმები

სიძულვილის ენა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. იგი პრაქტიკულად ნებისმიერ კულტურაში პოპულარულია. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი. სიძულვილის ენის ფორმებიდან პრესაში ყველაზე ხშირად ოპონენტების დისკრიმინაციის (ცხოველებთან, ფრინველებთან შედარება), დემონიზაციის, ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანებთან შედარების შემთხვევები და იდეოლოგიურ, ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე გაკეთებული განცხადებები გვხვდება.

პოლიტიკოსები საკუთარი რეიტინგის ამაღლებისთვის სხვა პარტიის წევრებს სიძულვილის ენით ეპაექრებიან, რომელშიც ერთიანდება შემდეგი:

- **ცხოველების სახელები** (საქონელი) - ქართულ პოლიტიკაში ცხოველი „ თხა„ და „ღორი“ დიდი პოპულარობით სარგებლობს. მაგ: „წვერებიანი თხა“, „იდეალური ღორი“, „მშიშარა ვირთხა“, რომელნიც როგორც მამრობითი ასევე მდედრობითი სქესის ადამიანების მისამართით გამოიყენება, რათა მოხდეს მათი პიროვნული შეურაცხყოფა.
- **ადამიანის სხეულის ნაწილების გაჟღერება** - (უკანალი), ფალოსი;
- **სისასტიკესთან დაკავშირებული პროფესიები და საქმიანობები** - (ჯალათი). „სისხლიანი ჯალათი“, „საქართველოს ჯალათი“;
- **კულტურული ღირებულებების ხელყოფა:** - „მატერიალური და სულიერი საუნჯის ქურდი“.
- **„გონებრივი და ფიზიკური ნაკლოვანებები“** - „კრეტინი“, „მახინჯი“, „მწვალებელი“, „უგუნური“, „მკვლელი“, ბურატინო ; „დედა ბუ“; „ბავშვების ყლაპია“, „პირმონგრეული“;

- **ნეგატიური დატვირთვის მქონე საკუთარი სახელები** - „იუდა“, „ჰიტლერი“, „ჰაკიმ ფაშა“;
- **ასევე ნეგატიური დატვირთვის მქონე სიტყვები:** „გოიმი“;
- **რელიგიური და იდეოლოგიური მიმდინარეობები** - „ფაშისტი“, „წითელი“, „ურწმონო“;
- და ბოლოს, ჰოლანდიის მსგავსად, საქართველოშიც **აგრესიულ ურთიერთობაში დაავადებები უარყოფით ეპითეტებად გამოიყენება.** პოლიტიკოსები ერთმანეთს ხშირად უსვამენ სამედიცინო „დიაგნოზს“. მაგ: „არანორმალურია“, „ისტერიკა სჭირს“, „კლიმაქსიანია“, „ჭლექიანია“.

სიძულვილის ენას ფართო არეალი აქვს და ის შეიძლება მოიცავდეს:

- **ფიზიკური ნაკლის გამო შეურაცხყოფას და დაცინვას;**
- **ეთნიკური წარმომავლობის გამო შეურაცხყოფას და დაცინვას;**
- **რელიგიური მრწამსის გამო შეურაცხყოფას და დაცნვას;**
- **სექსუალური ორიენტაციის გამო შეურაცხყოფას და დაცინვას;**
- **სომატური ნერვიული სისტემის მოშლის გამო შეურაცხყოფას და დაცინვას, რაც ითვალისწინებს სენსორული და მოტორული უნარების მოშლას (უნებლიე მოძრაობებს, ხარვეზებს მეტყველებაში);**
- **პოლიტიკური მრწამსის და ორიენტაციის გამო შეურაცხყოფას და დაცინვას;**
- **სოციალური გემოვნების გამო შეურაცხყოფას და დაცინვას (ოჯახის წევრების, ახლო ნათესავების, გაკრიტიკება ვიზუალის, საქციელის ან სოციალური მდგომარეობის გამო);**
- **სქესის გამო შეურაცხყოფას და დაცინვას და სხვა.**

1.6 სიძულვილის ენა და ასერტიულობა

<u>სიძულვილის ენა არის საკუთარი გრძნობების, განცდების, დამოკიდებულებების უხეშად, სხვების პიროვნების დამამცირებლად და დასაკნინებლად გამოყენება. თუმცა ეს არ არის ერთადერთი გზა საკუთარი დამოკიდებულების დაფიქსირებისა. იგივეს გამოვლენა შეიძლება ლოიალურადაც, თუმცა ამისთვის საჭიროა ადამიანს გააჩნდეს უნარი გამოხატოს საკუთარი სურვილები, გრძნობები, საჭიროებები და დაიცვას საკუთარი პიროვნება ისე, რომ ანგარიში გაუწიოს სხვების გრძნობებს და</u> არ დაარღვიოს მათი უფლებები. ამ უნარს ასერტიულობის სახელით იცნობენ, რაც დესტრუქციული დაპირისპირების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა. იგი უბრალოდ ამარტივებს ადამიანთა შორის კომუნიკაციას. ასევე, საკუთარი საჭიროებებისა და მოთხოვნების პირდაპირ, მშვიდად და ნათლად გამოხატვას, გამოთქმული მოსაზრების სწორად გაგებას უწყობს ხელს და ორივე მხარის ნერვულ სისტემასა და დროსაც ზოგავს.

ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ასერტიული ქცევა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კონფლიქტის მოგვარებას და დესტრუქციული დაპირისპირების თავიდან აცილებას. ამ მხრივ, მას აგრესიულ და პასიურ ქცევასთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტერმინი ასერტიულობა თავისი არსით ტერმინის „სიძულვილის ენის'' საპირისპიროს უნდა ასახავდეს.

ასერტიული უნარების მქონე ადამიანი :

- ანგარიშს უწევს სხვების გრძნობებსა და უფლებებს;
- სხვებს ყურადღებით უსმენს და მათ შესატყვის უკუკავშირს აძლევს, თუმცა ამავე დროს, ანგარიშს უწევს სხვების გრძნობებსა და უფლებებს;
- მოლაპარაკებისა და კომპრომისისადმი ღიაა, თუმცა არა საკუთარი სურვილებისა და უფლებების დათმობის ხარჯზე;

- შეუძლია პირდაპირ გამოხატოს თხოვნა და სხვის თხოვნაზე უარით, ასევე პირდაპირ პასუხობს;
- ადვილად შეუძლია ქათინაურის თქმა და მიღება;
- არც საუბრის დაწყება უჭირს და არც დასრულება;
- კრიტიკასაც მტრული და თავდაცვითი პოზიციის გარეშე იღებს;

იმ ადამიანის ქცევის სტილი, რომელიც არ მიმართავს სიძულვილის ენას შემდეგია:

- მისი ხმა მშვიდი, მტკიცე და კარგად რეგულირებულია;
- თვალებით კონტაქტის დამყარებისას თავს კომფორტულად გრძნობს, თუმცა დაჟინებული მზერა არ ახასიათებს;
- თვალებით კონტაქტი ღია და გულწრფელი აქვს, პოზა კი გამართული;
- მისგან სიძლიერე და ემპათია ვლინდება (Garner, 2012).

ასერტიული ადამიანები პატივს სცემენ მეორე ადამიანის თავაზიანობას, გონიერებასა და გაწონასწორებულობას. შედეგად, ასერტიულობა ურთიერთობის მახასიათებელი ხდება, რაც ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ამგვარად, ასერტიული უნარის მქონე ადამიანისათვის სიძულვილის ენის გამოყენებას აზრი ეკარგება - მთელი მისი ქცევის სტილი ორიენტირებულია: ურთიერთობებში ბალანსის შენარჩუნებასა და სხვა ადამიანების პატივისცემაზე. შესაბამისად, თუ ასერტიული უნარის განვითარება მოხდა ადამიანში, მაშინ მისთვის პრიორიტეტული აღარ იქნება სიძულვილის ენის გამოყენება, რითაც აგრესიის გამოვლენის საჭიროება მოისპობა და კონფლიქტის წარმოშობის/გამწვავების საფრთხეც ნაკლებად შეიქმნება.

1.7 მასმედიის როლი სიძულვილის ენასთან მიმართებაში

მედია ინგლისური medium-ის ,,საშუალების" მრავლობით ფორმას წარმოადგენს და მოიცავს ინფორმაციულ საშუალებათა ყოველგვარ სახეობას უძველესი დროიდან დაწყებული დღევანდელი უახლესი ინფორმაციული გლობალური სუპერმაგისტრალების ჩათვლით. მასმედია მასობრივი საშუალებებია. მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოებაში არსებულ სოციალურ რეალიებს, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას და ამდენად გავლენას ახდენს მოცემული საზოგადოების ცხოვრების წესის ყველა ძირითად პარამეტრზე.

ე.წ. „ჯადოსნური ტყვიის“ თეორიის მიხედვით, მასმედიის საშუალებები (ან სპიკერი) იმდენად ძლიერია, რომ მათ შეუძლია აუდიტორიას ინფორმაცია ტყვიის მსგავსად მიაწოდოს (Nwabueze&Okonkwo, 2018).

მრავალ ფუნქციას შორის, რომელიც მასობრიივ ინფორმაციის საშუალებებს გააჩნია არის მისი **საინფორმაციო ფუნქცია.** ჟურნალისტს შეუძლია ამა თუ იმ ფაქტის წარმოჩენა სხვადასხვა სახით, რის საშუალებითაც აკეთებს კონკრეტულ აქცენტებს მომხდარი მოვლენების შეფასების დროს. მართალია ტექსტს არ ამახინჯებენ, არ ცვლაინ ჟურნალისტები და სიტყვასიტყვით იმეორებენ, თუმცა სასურველი აქცენტები კეთდება ვიდეომასალის მონტაჟით.

მასმედიის საშუალებით ამომრჩეველს მიეწოდება საჭირო და ყოვლისმომცველი ინფორმაცია თანამდებობის პირებისა და ინსტიტუტების შესახებ. მაგალითად: 2000 წელს სერბეთში წინასაარჩევნო კამპანიის დროს რამდენიმე დამოუკიდებელმა მედიასაშუალებამ ხელი შეუწყო მილოშევიჩის პოპულარობის შემცირებას. მედიამ გააშუქა ხმის გაყალბების ფაქტები, რის გამოც სერბები აღშფოთებულნი იყვნენ და გამოვიდნენ ქუჩაში. ამ მედიასაშუალებების გარეშე, ხალხის მობილიზება გაცილებით რთული იქნებოდა (McFaul, 2005, გვ. 11-12).

- ასევე მნიშვნელოვანია **საზოგადოების მობილიზების** ფუნქციაც, რომელიც ძირითადად პოლიტიკური ნიშნით ხორციელდება. ასეთი ხშირად ხდება უკანასკნელ წლებში საქართველოში. მაგ: (ვარდების რევოლუცია, 2007 წლის ნოემბრის მოვლენები).
- მეორე ასევე უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, რომელიც მასმედიას გააჩნია არის მისი **პროპაგანდისტული ფუნქცია,** რომლის უმთავრეს არსს წარმოადგენს აუდიტორიაზე მუდმივი, მიზანმიმართული ზემოქმედება გარკვეული სახის ცხოვრების წესის, პოლიტიკური, სულიერი და ზნეობრივი ფასეულობების დასამკვიდრებლად.

მედიის, როგორც საზოგადოების **განმანათლებლის ფუნქცია,** როდესაც ამომრჩეველს აწვდის ინფორმაციას ოფიციალური პირების საქციელის სრულფასოვნად შეფასებისთვის. ასევე, როდესაც მედიასაშუალებები ავრცელებენ ინფორმაცას საარჩევნო მოვლენის შესახებ, აუდიტორიას შეიძლება მიეწოდოს ისეთი დეტალები როგორიცაა ხმის მიცემის ადგილები, ამომრჩეველთა რეგისტრაციის აუცილებლობა, ხმების დათვლის მეთოდი და სხვა (Media and Elections, 1998-2021).

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჟურნალისტიკა არის ერთი მხრივ, საზოგადოებრივი აზრის გამოხატვის, ხოლო მეორე მხრივ, მისი შექმნის საშუალება. სწორედ ამიტომაც არის მისი წვლილი უაღრესად დიდი პოლიტიკაში.

თუ წინასაარჩევნო პერიოდში რომელიმე კანდიდატი სხვებზე უფრო ხშირად ჩანს ტელეეკრანებზე ეს მის სასარგებლოდ მეტყველებს. ამიტომაც ეკრანზე ყოფნის ხანგძლიობამ შესაძლოა გადამწყვეტი როლი ითამაშოს კანდიდატის გამარჯვებაში. პოლიტიკური ინფორმაციის მიმღებლობა შაპანის მტკიცებით, იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ხდება ერთი და იგივე ინფორმაციის

კვლავწარმოება მედიის სხვადასხვა საშუალებებში. რაც უფრო მეტად ხდება ინფორმაციის კვლავწარმოება, მით მეტია მისი სიმბოლური ღირებულება.

ჩვენ ეპოქაში ძირითადი პოლიტიკური დისკურსი ღიაა იმისთვის, რომ იგი წარმოდგენილ იქნას მედიაში. ეს არის არა მხოლოდ სურვილი, არამედ აუცილებლობა; პოლიტიკის მედიატიზაციის პირობებში, პოლიტიკოსები ნებისმიერ განცხადებას, ნებისმიერ თემაზე საუბარსა თუ გამოჩენას საინფორმაციო ველში, პოლიტიკური სიტყვის თქმის ჟანრში აქცევენ და ცდილობენ ხშირად მოხვდნენ ამ ველში, რადგანაც ესმით მედიატიზაციის მნიშვნელობა.

პოლიტიკური ველი კონკრეტულ პროდუქტს ქმნის. ფრანგი სოციოლოგის ბურდიეს აზრით, პროდუქტი, რომელსაც პოლიტიკის ველი გვთავაზობს, არის სოციალური სამყაროს გამოხატვისა და აღქმის ინსტრუმენტები. მოსახლეობაში აზრთა გადანაწილება კონკრეტული ჯგუფების მიერ ამ ინსტრუმენტების ფლობასა და მათდამი ხელმისაწვდომობაზეა დამოკიდებული, ამიტომაც პოლიტიკოსები საეთერო დროს ხშირად იყენებენ საკუთარი მოსაზრებების გასაჟღერებლად. საზოგადოებასთან დასაახლოებლად და საკუთარი პოლიტიკური კარიერის გასაუმჯობესებლად. ბურდიე ამტკიცებს, რომ პოლიტიკაზე მომუშავე ჟურნალისტები, რომელთა კომპეტენციაში შედის პოლიტიკური სამყაროს ცოდნა, ფლობენ ცოდნას არა დაკვირვებაზე ან კვლევაზე დაყრდნობით, არამედ პირად კონტაქტებსა და ჭორებზე დაყრდნობით. მათ აინტერესებთ თავად თამაში და მოთამაშეები და არა თამაშის ფსონი, უშუალოდ პოლიტიკური ტაქტიკა, დებატების არსი; მათი ინტერესის სფეროა პოლიტიკური ველის აგენტის გამოსვლის ეფექტი და არა თავად გამოსვლის შინაარსი (Bourdieu, 1998).

სწორედ ამიტომაც დღეს საინფორმაციო ეთერი ღიაა სიძულვილის ენისთვის, რომელიც განუწყვეტლივ გამოიყენება პოლიტიკოსთა მიერ პირდაპირ ეთერში.

ჟურნალისტები საუბრის ამ ტიპს არც კი უგულებელყოფენ, რადგან შეურაცხყოფებით გამოწვეული ეფექტი საზოგადოების უმრავლესობისთვის იწვევს ინტერესს და ყურებადს ხდის გადაცემას.

მასმედიის საშუალებით ინფორმაცია ხელმისაწვდომია მრავალრიცხოვან და მრავალ სხვადასხვა ადგილას მყოფი ანონიმური ადამიანისათვის. იგი გვევლინება სიძულვილის ენის გამტარად და არის შუამავალი გამჟღერებელსა და მსმენელს შორის. მას რეალურად გააჩნია ბერკეტი მაგალითად ცენზურა, რომელიც აკრძალავდა ან შეზღუდავდა მაინც მსგავსი ტიპის საუბარს, თუმცა პირიქით, პოპულარიზაციას უწევს მას ზემოთაღნიშნული მიზეზის გამო.

მასმედიას სწორედ რომ შესწევს უნარი მოსახლეობაში შექმნას განწყობა. მაგ:ტელეკომპანიამ შესაძლოა დეპუტატის გამოსვლის დროს აჩვენოს ისეთი ფრაგმენტები, ისეთი თანმიმდევრობით, რომ საზოგადოება განაწყოს დადებითად ან უარყოფითად კონკრეტული სუბიექტის მიმართ.

როგორც ვიცით, ჟურნალისტი ვალდებულია ბალანსი დაიცვას ორივე მხარის მოსაზრებებს შორის, რასაც იშვიათად ვხვდებით ერთ სტატიაში. რიგ შემთხვევაში არის საკმაოდ მძიმე ბრალდებები, მაგრამ ასეთ საკითხებზე არასდროს არის ბრალდების მხარის პასუხები. თავიდან ამბროლაურში მაია ფანჯიკიძის „იგივე დედა ბუ” კანდიდატურა უნდა დაეყენებინათ, მაგრამ მიხვდნენ, „დედა ბუზე“ მეტად ამბროლაურის ტყეებში რომ ღამ-ღამობით ბუ ჭყივის, ის უფრო ცნობადი სახე იქნებოდა. ამიტომ, საიდანღაც დავით დარახველიძე გამოქექეს (Press.ge).

სხვადასხვა ჟურნალისტების მიერ მომზადებული სტატიების ეპითეტები ხშირად ემთხვევა ერთმანეთს.მაგ:

- „წმინდა ბიძინა მდიდარი “ (27 აგვისტო);
- „რუსეთუმი, პუტინისტი“ (18 ივლისი);
- „ლაჩარი, არაკაცი“ (19 ივლისი);

- „ინტელექტუალურემოციურშეტევიანი“ (27 აგვისტო);
- „არაჯანსაღი ფსიქიკის ადამიანი“ (31 აგვისტო);
- „მიცვალებულები ადგნენ, პოლიტიკური გვამები“ (3 სექტემბერი) (press.ge).

მასმედიას უდიდესი როლი აქვს მსოფლმხედველობის, მოვლენის მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, როდესაც მოსახლეობის ფართო მასები პირდაპირი ეთერით ისმენენ როგორ საუბრობს სიძულვილის ენით მათი სიმპათიით გამსჭვალული პოლიტიკოსი, როგორ აყენებს სიტყვიერ და პირად შეურაცხყოფას პოლიტიკური ოპონენტის, მაყურებელი თვლის, რომ ამის უფლება მასაც აქვს. აქედან გამომდინარე მასმედია ნებსით თუ უნებურად ასრულებს ზოგჯერ გამტარის, ზოგჯერ მაპროვოცირებლის როლს, რაც უარყოფითად აისახება როგორც საზოგადოებაზე, ასევე მთელ ქვეყანაზე, ამიტომ ვფიქრობ სწორედ მასმედიას აქვს ერთ-ერთი ძლიერი ბერკეტი ამ აგრესიის შესაჩერებლად. კონკრეტულად თუ მასმედია ან თავად ჟურნალისტი თავის გადაცემაში პოლიტიკურ ოპონენტებს ერთმანეთის შეურაცხყოფის საშუალებას არ მისცემს, ეს ნაყოფს გამოიღებს და შეაჩერებს ან მინიმუმ შეასუსტებს როგორც სიძულვილის ენას ასევე ფიზიკურ დაპირისპირებას.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ჟურნალისტიკის ეთიკა და კანონშიც არსებობს ჩანაწერი პირის სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ, კანონი ბუნდოვანია და ცალსახად ვერ განსაზღვრავს დაზარალებულს და დამნაშავეს. მაგ:არსებობს ჟურნალისტიკის ეთიკის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს ჟურნალისტის ქცევის ნორმებს. კოდექსს არ აქვს კანონის ფუნქცია და მისი დარღვევისთვის არავინ ისჯება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი როგორც მოცემულობა უნდა უარვყოთ. საკითხი შეიძლება ასე დაისვას. რამდენად იცავენ ჟურნალისტები მათთვის და მათთივე მონაწილეობით შექმნილ ეთიკის კოდექსის ნორმებს.

კანონში მაუწყებლობის შესახებ მუხლი 56 „პროგრამული შეზღუდვები“ ცალსახადაა განმარტებული, რომ იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვათა შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობის აშკარა საფრთხეს ქმნის. 3-4 ნაწილში იკრძალება მოქალაქის ღირსების და უფლებათა შემლახავი პროგრამები.

განსაკუთრებით საინტერესოა მე-4 პუნქტი, რომელიც აღნიშნავს, რომ არ უნდა შეილახოს მოქალაქის ღირსება. სწორედ ჩემი აზრით, აქ არის ხარვეზი, რადგან არც ერთი კანონი არ განსაზღვრავს რა შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის ან მოქალაქის უფლებათა შელახვად. არის შემთხვევები, როდესაც პირის მიერ სხვისი მისამართით გაჟღერებულია გარკვეული აზრი, რომელსაც ფაქტებით ამყარებს. მსგავსი შემთხვევა უკვე აღარ ითვლება ცილისწამებად და სამართლებრივი პასუხისმგებლობა გადადის იმ პირზე ვის მიმართაც გაკეთდა ბრალდების განცხადება. თუმცა, ასევე არის შემთხვევები, როდესაც ხშირად პოლიტიკოსის მიერ გაჟღერებულია ფრაზები, რომლებიც არც ფაქტებითაა გამყარებული და არც დოკუმენტალური მასალით, რაც უკვე ცილისწამებად და ღირსების შელახვად ითვლება და პასუხისმგებლობა ეკისრება ცილისმწამებელს. მსგავსი შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში მეტად მცირეა თუმცა მაინც არსებობს.

თავი 2 - ფსიქოლოგიური თეორიები

2.1 „სოციალური ურთიერთდამოკიდებულების თეორია“

კურტ ლევინის მოწაფემ, ამერიკელმა სოციალურმა ფსიქოლოგმა, მორტონ დოიჩმა ჩამოაყალიბა თეორია, რომელიც თავდაპირველად „თანამშრომლობისა და კონკურენციის თეორიის“ სახელით იყო ცნობილი. მოგვიანებით თეორიას დაერქვა ამჟამინდელი სახელი „სოციალური ურთიერთდამოკიდებულების თეორია“. მორტონ დოიჩის მიხედვით, კონფლიქტი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის ადგილი აქვს ქმედებათა შეუთავსებლობას (Deutsch, 1969).

სოციალური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის მიხედვით, კონფლიქტური სიტუაციის ძირითად თვისებას წარმოადგენს თანამშრომლობით ურთიერთობასა და დესტრუქციულ შეჯიბრს შორის განსხვავების არსებობა. მორტონი ურთიერთობის ორ ტიპს გამოყოფს:

ა)თანამშრომლობითი (დაწინაურებითი) რომლის დროსაც კონფლიქტში ჩათრეული ინდივიდი თავის წარმატებას სხვა ადამიანის წარმატებასთან აკავშირებს;

ბ)კონკურენტული ურთიერთობა, რომლის დროსაც ერთი პიროვნების წარმატება მეორის წარუმატებლობით მიიღწევა (Deutsch, 2015), ერთის ჩაძირვა ნიშნავს მეორის გადარჩენას და, პირიქით (Coleman and Deutsch, 2015).

თანამშრომლობითი ურთიერთობების დროს:

1.ხორციელდება ეფექტური კომუნიკაცია, იდეები ვერბალიზდება და ჯგუფის წევრები ყურადღებიანები არიან ერთმანეთის მიმართ;

2.წევრები კმაყოფილნი არიან ჯგუფითა და მისი გადაწყვეტილებებით;

3.ცდილობენ მოიპოვონ კოლეგების პატივისცემა და ვალდებულება სხვა წევრების წინაშე;

4.ხდება ძალისხმევის კოორდინაცია, შრომის განაწილება;

5.სხვისი აღიარება და პატივისცემა სხვისი საჭიროებების გათვალისწინებით.

ამის საპირისპიროდ, კონკურენციის პირობებში:

1.კომუნიკაცია გაუფასურებულია, მიმართავენ დეზინფორმაციას;

2.ყურადღების გამახვილება ხდება ადამიანის ნეგატიურ თვისებებზე და უგულებელყოფენ დადებითს;

3.უთანხმოებისა და იდეების კრიტიკული უარყოფის განმეორებითი გამოცდილება ამცირებს როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვის მიმართ ნდობას;

4.კონფლიქტის მხარეები ცდილობენ გააძლიერონ საკუთარი ძალა და შეამცირონ სხვისი ძალაუფლება, რადგან სხვისი ძალაუფლების ნებისმიერი ზრდა საფრთხის შემქმნელად მიიჩნევა;

5.კონკურენტული პროცესი ასტიმულირებს მოსაზრებას, რომ კონფლიქტის მოგვარება შეიძლება ფსიქოლოგიური და ფიზიკური მუქარითა და ძალადობით (Deutsch, 2015).

დოიჩის მოსაზრებით, კონკურენციის პირობებში ორივე მხარეს სწამს, რომ მოწინააღმდეგე არასანდო და ბოროტი პიროვნებაა, ამიტომ ორივე თავდაცვისა და თავდასხმის საშუალებების ძიების პროცესშია. ფიქრობენ მატერიალურ ჯილდოსა და რეპუტაციაზე.

მორტონი აღნიშნავდა, რომ კონკურენციაც შეიძლება იყოს კონსტრუქციული და დესტრუქციული. მაგ: კონსტრუქციულ კონკურენციაში როგორც დამარცხებულები, ასევე გამარჯვებულები გამოცდილებას იძენენ. ამრიგად, ჩოგბურთის მატჩში, კონკურენცია კონსტრუქციულ სახეს იღებს. აქ

გამარჯვებული სთავაზობს დამარცხებულს გაუმჯობესებას, რადგან ხდება უნარ-ჩვევების დახვეწა, გავარჯიშება და გამოცდილების მიღება. კონსტრუქციული დებატების დროსაც არ არსებობს წაგებული მხარე. განსხვავებული აზრების დაფიქსირებისას ორივე მხარე იღებს სარგებელს და მეტ ცოდნას თავდაპირველ, სადაო საკითხზე (Deutsch, 1973).

მორტონ დოიჩის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია სოციალური კონტექსტის გათვალისწინება, რაც მდგომარეობს სხვის მოლოდინებში. თუ კონსტრუქციული მოგვარების ტიპის არჩევა მას უსუსური, წარუმატებელი და მშიშარა ადამიანის იარლიყს მიაკერებს, მაშინ პიროვნება თავს შეიკავებს და აუცილებლად გაითვალისწინებს სხვათა აზრებს. გამოდის, რომ ადამიანმა რომ გამოხატოს კონსტრუქციული პოტენციალი, საჭიროა სოციალური კონტექსტი, და კულტურა აძლევდეს ამის საშუალებას (Coleman and Deutsch, 2015).

2.2 განწყობის ფსიქოლოგია

ქართველი ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებლის მოსაზრებით, ინდივიდისთვის, როგორც საზოგადოების წევრისთვის, აუცილებელია მეტყველების უნარი, რომელიც უპირველეს ყოვლისა, სოციალური ხასიათის მოქმედების პირობებში იჩენს თავს.

სიტყვის ფაქტს, ისევე როგორც აზრის ფაქტს წინ უსწრებს მათი სუბიექტი, ადამიანის პიროვნება, რომელიც მიისწრაფვის სიტყვებში გამოხატოს ის, რისი თქმაც სურს, (მისი ფსიქიკური აქტივობის პროდუქტია). „გამოთქმული აზრი ადამიანის აქტივობის პროდუქტია, ადამიანისა, რომელიც მიისწრაფვის გამოთქვას რაღაც, რათა გარკვეულ მიზანს მიაღწიოს, მიისწრაფვის მისცეს იმას, რაც მას აინტერესებდა, საზოგადოების სხვა წევრებისთვის მისაწვდომი აზრის სიტყვიერი ფორმა” გამოდის, მისი ინდივიდუალური ფსიქიკის მექანიზმი ერთდროულად მისი სოციალურად წარმართული აქტივობის ორგანოდაც იქცევა (უზნაძე, 2009, გვ209).

დიმიტრი უზნაძის „განწყობის ფსიქოლოგიის“ მიხედვით, ნებისმიერი ფსიქიკური აქტივობის და ქცევის საფუძველია განწყობა, რომლის წარმოქმნაც სამი კომპონენტის: მოთხოვნილების, მისი დამაკმაყოფილებელი ობიექტისა და ინსტრუმენტული შესაძლებლობების არსებობას გულისხმობს (უზნაძე, 2009).

„მოთხოვნილება“ ფსიქო - ფიზიკური ორგანიზმის ყოველ მდგომარეობას შეიძლება ეწოდოს, რომელიც, საჭიროებს რა გარემოს შეცვლას, ამისთვის აუცილებელი აქტივობის იმპულსებს იძლევა. მოთხოვნილება კონკრეტულ ფორმას პოულობს, იგი ინდივიდუალურად განსაზღვრულ მოთხოვნილებად ხდება, რომლის დაკმაყოფილებაც მხოლოდ მოცემული სიტუაციის კონკრეტულ პირობებშია შესაძლებელი.

განწყობის თეორიის თანახმად, ქცევა ვერ განხორციელდება თუ ადამიანს არ შეუმუშავდა განწყობა, ანუ ქცევისადმი მზაობა. ეს მზაობა კი მას მხოლოდ

მოთხოვნილების საფუძველზე ვერ გაუჩნდება, საჭიროა სათანადო სიტუაციაც, ანუ სხვა სიტყვებით, გარემო პირობები (უზნაძე, 2009). ამრიგად, განწყობას არა მარტო მოთხოვნილების მდგომარეობა ქმნის თავისთავად და არც მარტო ობიექტური სიტუაცია. იმისათვის, რომ განწყობა გაჩნდეს, მოთხოვნილება თავისი დაკმაყოფილების პირობების შემცვლელს ობიექტურ სიტუაციას უნდა შეხვდეს.

მაღალკონკურენტული, უფრო მეტიც, ხშირად მტრული, პოლიტიკური გარემო, რომელიც პოლიტიკოსთა შორის პოლარიზებულ ინტერესთა კონფლიქტით არის გაჯერებული, ქმნის განწყობას, რომ აგრესია, საკუთარი ძალის დემონსტრირება და კონკურენტის „გაცამტვერება“ პოლიტიკოსის ინტერესთა რეალიზების აუცილებელი საშუალებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის თავად აღიქმება სუსტად როგორც სხვა პოლიტიკოსების, ისე საზოგადოების თვალში.

ამრიგად, ასეთ გარემოში თვითდამკვიდრებისა და ვერტიკალური მობილობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტს კონკურენტი პოლიტიკოსები/მათზე უპირატესობის მოპოვება წარმოადგენს, ხოლო სიძულვილის ენის გამოყენება-გავრცელება და შესაბამისი საშუალებები (მათ შორის, მედია) განიხილება, როგორც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ეფექტური ინსტრუმენტული შესაძლებლობები, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს იმას, რომ მთავარი აქცენტები კონკურენტების დევალვაციაზე კეთდება და არა - პირად პოზიტიურ მიღწევებზე.

გამოდის, რომ ქცევას განწყობა განსაზღვრავს, თუ ქცევა განწყობის შესატყვისად წარიმართება, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სიტუაციის შესაფერისად, მაშასადამე, მიზანშეწონილად მიმდინარეობს: ცოცხალი არსების ქცევას მიზანშეწონილი ხასიათი აქვს. ასეთ დროს პოლიტიკოსისთვის აღიარების მოთხოვნილება იმდენად ძლიერია, რომ აღძრავს სუბიექტს მოქმედებისკენ. ამ შემთხვევაში ქცევა მიზანმიმართულია. მიზანშეწონილ ქცევას კი მოთხოვნილების ფაქტი უდევს საფუძვლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განწყობის თეორიის მიხედვით, არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, პოლიტიკოსის მოთხოვნილებად შესაძლოა, განვიხილოთ წინსვლის, თვითდამკვიდრების სურვილი, რისთვისაც ცდილობს და იბრძვის მიზანმიმართულად. ეს შესაძლოა იყოს სოციოგენური მოთხოვნილების ტიპი, სათავისო ურთიერთობა, (რომელიც გულისხმობს პრესტიჟს, ყურადღების ცენტრში ყოფნას, პირადი ღირსების დაცვას, შეჯიბრს, ძალაუფლებას, სიავეს, შურს, სხვებისთვის ზიანის მიყენებას, სხვების დაცინვას და დამცირებას) (ჩხარტიშვილი, 1974), ხოლო ასეთ დროს პოლიტიკური პოლარიზებული, კონკურენტული გარემო კი ის აუცილებელი სიტუაციაა, სადაც პოლიტიკოსს ოპონენტის დევალვაციის/განადგურების განწყობა ექმნება. ამ შემთხვევაში ეფექტური იარაღი, უფრო მეტიც, აუცილებელი ინსტრუმენტი, მიზნის მიღწევის ქმედითი საშუალება პოლიტიკოსის მიერ სიძულვილის ენის გამოყენებაა.

დიმიტრი უზნაძის მოსაზრებით, სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა განწყობის სახით მოცემული. მაშასადამე, იმ სპეციფიკურ მდგომარეობას, რომელიც სუბიექტში მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტური სიტუაციის ზეგავლენის შედეგად ჩნდება, განწყობა შეგვიძლია ვუწოდოთ. მაშასადამე, ცოცხალი არსების ქცევას გარემო განსაზღვრავს. მაგრამ ეს განსაზღვრა მექანიკური ხასიათის როდია: გარემო თვითონ ქცევის აქტებზე კი არ მოქმედობს, უშუალოდ, იგი პირდაპირ კი არ იწვევს მას. არამედ, იგი სუბიექტზე მოქმედებს, მას ცვლის მთელი სიტუაციის შესაფერისად, მასში გარკვეული ქცევის განწყობას იწვევს. თვითონ ქცევის აქტებს კი უშუალოდ ამიერიდან ამ გარკვეული განწყობის მქონე სუბიექტი განსაზღვრავს. იგი იმ აქტებს და პროცესებს, ერთი სიტყვით, იმ ქცევას მიმართავს, რომლის განწყობაც მას სიტუაციის ზემოქმედების შედეგად აქვს შემუშავებული.

ამ ბრძოლისთვის პოლიტიკოსს აქვს შესაბამისი სიტუაციაც და აქტივობის შესაძლებლობანი. მაგალითად, ობიექტი რომელზეც შეტევას განახორციელებს და მასმედია, რისი საშუალებითაც მისი ქცევა სააშკარაოზე გამოვა. ამ ბრძოლის გზაზე, ეს კომპონენტები ერთმანეთთან თანხვედრაში მოდის, იქმნება განწყობა, რომელიც ვერბალური აგრესიის განმსაზღვრელი ფაქტორია ან შეიძლება ითქვას წინაპირობაა.

ვინაიდან დღევანდელ რეალობაში ქართული პოლიტიკა მეტად პოლარიზებული და კონკურენტულია, არსებული გარემო პოლიტიკოსს უბიძგებს აგრესიული დისკურსისკენ. ამ პირობებში, პოლიტიკოსთა მიერ პოპულარობის მოხვეჭა და მეტოქეზე გამარჯვება მათ მიერ შერჩეული ტაქტიკით/მიზანმიმართული ქცევით, ოპონენტის პიროვნული დაკნინების გზით ხდება შესაძლებელი. მეტოქეზე გამარჯვება და მისი დაჩრდილვა არა საკუთარი ღირსების წინწამოწევით, არამედ ოპონენტის ნაკლოვანებებზე ხაზგასმის გზითაა შესაძლებელი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიტიკოსს აქვს თვითდამკვიდრების საკუთარი თავის აქტუალიზების/მოთხოვნილება, სიტუაცია, სადაც შესაძლებელია ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება და ინსტრუმენტი, რისი საშუალებითაც იქმნება ის ორი აუცილებელი პირობა, რომლის ურთიერთქმედებითაც ქცევა ხორციელდება. ამ დროს იქმნება აქტუალური განწყობა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ერთხელ მიღებული განწყობა არ იკარგება, რომ იგი სუბიექტს რჩება, როგორც ხელახალი აქტუალიზაციის მზაობა – სათანადო პირობების განმეორების შემთხვევებში. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მზაობა ყოველთვის ერთნაირი არაა. იგი უთუოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მტკიცე იყო ის განწყობა, რომელიც ამ მზაობის სახით შერჩა სუბიექტს. მაგრამ ჩნდება კითხვა, რაზეა თვით ეს სიმტკიცე დამოკიდებული? უდავოა: რაც უფრო ხშირად ვიწვევთ ერთსა და იმავე განწყობას, მით უფრო მტკიცე ხდება იგი და მით უფრო ძლიერი

აქტუალიზაციის მზაობა უჩნდება მას. გამოდის განწყობის სიმტკიცეს განმეორება განსაზღვრავს.

გარდა ამისა, არის შემთხვევები, რომ სუბიექტზე ესა თუ ის მოვლენა, თუ სიტუაცია, განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს ხოლმე. ასეთ შემთხვევებში სუბიექტს არაჩვეულებრივი მტკიცე განწყობა უჩნდება, განწყობა, რომელიც აქტუალიზაციის განსაკუთრებით ძლიერი მზაობით ხასიათდება. ამრიგად, ხშირი განმეორების თუ დიდი პიროვნული წონის გამო რომელიმე გარკვეული განწყობა შეიძლება იმდენად ადვილად აგზნებადი, იმდენად ჩვეული გახდეს, რომ იგი არა შესატყვისი გამღიზიანებლის ზემოქმედების შემთხვევაშიც ადვილად აქტუალდებოდეს და ამით ადეკვატურ განწყობას გამოვლენის შესაძლებლობას ართმევდეს. ასეთს განწყობას შეიძლება **ფიქსირებული განწყობა** ვუწოდოთ. ეს არის მოთხოვნილების წარმატებით დაკმაყოფილების შემდეგ დაფიქსირებული განწყობები. ქცევის ზოგიერთი ფაქტორის აღმოცენების დროს, ახალი განწყობების ფორმირების მაგიერ, მის ადგილს შესატყვისი ფიქსირებული განწყობები იკავებს (ნადიაშვილი, 1985).

როდესაც სიტუაციური განწყობა, პირველადი, აქტუალური გარემოსა და მოთხოვნილების კვალობაზე იქმნება, მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციას ერგება და მხოლოდ აწმყოში არსებობს. თუმცა, თუ ამ დროს ქცევა უარყოფითად არ იქნება შეფასებული/დაბრკოლება არ იარსებებს და უფრო მეტიც, მოწონებული იქნება თანაგუნდელების მიერ, მაშინ, მსგავსი ტიპის ქცევა შეუფერხებლად განხორციელდება, რადგან როგორც წინა თავში ვნახეთ კანონით პრაქტიკაში არ ისჯება, მორალურად თანამოაზრეებისთვის და ამომრჩევლების მხრიდან წახალისებულია და ამიტომაც ამ შემთხვევაში, ინდივიდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად უპრობლემოდ ქმნის განწყობას და განწყობა უპრობლემოდ გადადის ქცევაში.

ადამიანის გონებაში პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილებებია შენახული. ამდენად, ადამიანები კავშირს ამყარებენ სოციალური განწყობის ობიექტსა და შესაბამის წინა გამოცდილებას შორის. როდესაც მსგავსი ფიქსირებული განწყობის მრავალჯერ გაფიქსირება ხდება კიდევ, ყალიბდება ამჯერად **დისპოზიციური განწყობა**, რომელშიც „მყარი ქრონიკული მდგომარეობა იგულისხმება, რომელიც გამოცდილების პროცესში ჩამოყალიბდა“. ისინი „პიროვნების თვისებას, მის კუთვნილებას წარმოადგენენ“ და გავლენას ახდენენ „ადამიანის აქტივობაზე“ (ნადირაშვილი, 1985. გვ.164). რეალურად მასში არის ასახული გამოცდილების განმავლობაში შეძენილი დამოკიდებულებები გარესამყაროსა და მოვლენების მიმართ, ისინი განსაზღვრავენ „რა საქმეს მიემხრობა ან რის წინააღმდეგ იბრძოლებს“ ის ფიქსირებული განწყობის მსგავსად, ქცევის დასრულების შემდგომ „ისევ ინახება პიროვნების ფსიქიკურ შესაძლებლობათა არსენალში“ და „ყოველთვის იცვლება და მდიდრდება იმ გამოცდილებით, რაც მან ქცევის განხორციელების დროს შეიძინა“ (ნადირაშვილი, 1985. გვ.164) ჯერ სიტუაციური განწყობა ყალიბდება, რომლის მრავალჯერადი გაფიქსირების შედეგად ვიღებთ ფიქსირებულს და საბოლოოდ მივდივართ დისპოზიციურ განწყობამდე, რომელიც ინდივიდის ნიშნად, კუთვნილებად ქცეული მახასიათებელია.

ქართული ფსიქოლოგიის სკოლის მიხედვით, დისპოზიციური განწყობის ფორმირებაზე გავლენას ახდენს სოციალური გარემოს ისეთი ფაქტორებიც, როგორებიცაა სოციალური მხარდაჭერა, მიბაძვა, როლის შესრულება და სხვა (ნადირაშვილი, 1985). მართალია, სხვის განწყობებს საკუთარ განწყობად ვერ აქცევ, უბრალოდ იღებ მის ელემენტებს, მასში არსებულ რესურსებს, აქცევ განწყობის ფაქტორებად და ასუბიექტურებ შენი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ჰქმნი სიტუაციურ განწყობას და მხოლოდ ამის შემდგომ, თუ მრავალჯერ გაფიქსირდა, იქცევა ფიქსირებულად, რომელიც უკვე წარმოადგენს ინდივიდის კუთვნილ განწყობას. ამიტომაც აზრის დაფიქსირება, ვერბალური აგრესიით, სიძულვილის ენის გამოყენებით თითქმის ნორმად იქცა. აღმოჩნდა,

რომ პოლიტიკოსი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უფრო მარტივად ახერხებს როდესაც იყენებს სიძულვილის ენას. თუმცა, გასათვალისწინებელი ის ფაქტიც რომ საზოგადოებაში არსებული სოციალური ნორმები, ნორმატიული ქცევისთვის მზაობები მაშინვე ინდივიდის განწყობად ვერ იქცევა, ინდივიდი მხოლოდ იმის გამო, რომ სხვა ამ ნორმატიული სისტემით მოქმედებს ვერ აიძულებს მას მსგავსად მოიქცეს, არამედ უნდა მოხდეს შეფასება და მისი შემადგენელი ელემენტების ინდივიდუალურ მოთხოვნილებებთან, ფასეულობებთან მორგება, ამის შედეგად კი უკვე შეიძლება ინტერნალიზდეს და წარმოქმნას სიტუაციური, ერთჯერადი განწყობა, ხოლო სამომავლოდ ფიქსირებულის ჩამოყალიბება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად განმეორდება და განმტკიცდება ამგვარი სიტუაციური განწყობა. ამ დროს მნიშვნელოვანია გარემოს ფაქტორიც. ანუ განწყობა წარმოიქმნება სათანადო აღმძვრელის არსებობის დროს ანუ ის მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც სათანადო აღმძვრელი აქვს, რომელიც არის სიტუაცია.

ვინაიდან მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება, ქცევა წახალისებულია და გამოცდილებიდანაც დადებითი იმპულსები მოდის, მსგავსი ტიპის აქტიობის განხორციელებას ხელისშემშლელი ფაქტორი არ აქვს. ამიტომაც, ერთიდაიმავე ხასიათის ქცევის მრავალჯერ შესრულების შემდეგ ამ ქცევათა საფუძვლად მდებარე განწყობა პიროვნების დისპოზიციურ ნიშნად იქცევა. გამოდის, სიძულვილის ენა პიროვნების ნიშნადაც იქცევა, რომელიც ქცევის წინარე განწყობის ფიქსაციის საფუძველზე იქმნება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართულ პოლიტიკაში ერთმანეთის ლანძღვა პოლიტიკოსებს წინასწარი განწყობის სახით აქვთ მოცემული, რაც შესაძლოა გამოცდილებითაა ფორმირებული ან გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ მსგავსი ტიპის აქტივობა, კინკლაობა განმეორებადი ქცევაა და მათთვის განმტკიცებული სახით, ტენდენციად

ვლინდება. თითქოს ერთმანეთის დანახვა ხდება მათთვის სტიმული, მოქმედების დამწყები, მამოძრავებელი ძალა, რაც მოქმედებისკენ - ამ შემთხვევაში ლანძღვისკენ უბიძგებს. მოცემულ სიტუაციაში შესაძლოა ლანძღვის „საჭიროება არ იდგეს“, მაგრამ წინა სიტუაციებში შექმნილი განწყობა იმდენად განმტკიცებული და ფიქსირებულია, რომ პირველხანებში არ იცვლება და განაგრძობს არსებობას (უზნაძე, 1940).

დღევანდელი პოლიტიკური დისკურსი სიძულვილის ენის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია, სადაც ვერბალური აგრესია ერთი მხრივ, მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის საჭირო სტრატეგიად და თანდათანობით პიროვნულ მოთხოვნილებად გადაქცეული აქტია, რასაც ჩვენს მიერ პოლიტიკური დისკურსის ანალიზისა და სიღრმისეული ანალიზის შედეგებიც ადასტურებს. ჩატარებული დისკურსის ანალიზის შედეგების მიხედვითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღევანდელ პირობებში ქალი პოლიტიკოსების მიერ გამოყენებული სიძულვილის ენა წინასწარგანზრახული, მიზანმიმართული და მიზნის მიღწევის ერთ-ერთი დაგეგმილი საშუალებაა, ხოლო პოლიტიკოსები სიძულვილის ენის გამოყენებას ძირითადად არაჯანსაღ კონკურენტულ გარემოს, პოლარიზებულ პოლიტიკურ ველს უკავშირებენ.

2.3 კვლევის ძირითადი ჰიპოთეზა

მორტონ დოიჩის „სოციალური ურთიერთდამოკიდებულებისა“ და დიმიტრი უზნაძის „განწყობის ფსიქოლოგიის“ საფუძველზე ვივარაუდეთ, რომ თანამედროვე საქართველოში არსებულ მაღალკონკურენტულ, მაგრამ, ხშირად დესტრუქციულ: არაჯანსაღ, მტრულ, პოლარიზებულ ინტერესთა კონფლიქტით გაჯერებულ, სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში/ველში - (განწყობის აღმოცენების ერთ-ერთ მთავარ პირობაში - სიტუაციაში) - თვითდამკვიდრებისა და ვერტიკალური მობილობის მოთხოვნილება პოლიტიკოსებს უქმნის განწყობას, რომ აგრესია, ძალის დემონსტრირება და კონკურენტის „გაცამტვერება“ ინტერესთა რეალიზების აუცილებელი საშუალებაა - მათი გამოყენების გარეშე, პოლიტიკოსი თავად გამოჩნდება სუსტი როგორც კონკურენტების, ისე - საზოგადოების თვალში - „**უსუსურის, წარუმატებლისა და მშიშარას“ იარლიყი მიეკერება** (Coleman and Deutsch, 2015). სიძულვილის ენის გამოყენება კი განიხილება, როგორც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების/მიზნის მიღწევის აუცილებელი ინსტრუმენტი და ეფექტური საშუალება.

3 თავი - დისკურსის ანალიზი

3.1 სიძულვილის ენა პოლიტიკურ დისკურსში - საქართველოს ქალ პოლიტიკოსთა ქეისი

სიძულვილის ენის, როგორც პოლიტიკურად აქტუალური ფენომენის კვლევის ამ ეტაპზე პოლიტიკოს ქალთა შერჩევა მოტივირებული იყო, ერთი მხრივ, იმით, რომ საქართველოში, კაცებთან შედარებით, ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი პოლიტიკაში ლიდერის/გადაწყვეტილების მიმღების პოზიციებზე და, შესაბამისად, მსგავსი ტიპის კვლევებისას ნაკლებად ხდება მათზე ფოკუსირება. მეორე მხრივ, სტერეოტიპულად, ქალების მხრიდან ნაკლებია აგრესიის მოლოდინი, მათ შორის, ვერბალურ დონეზე. ვინაიდან საქართველოში საკვლევი პერიოდის პოლიტიკური დისკურსი აშკარა და მაღალი ხარისხის აგრესიულობით გამოირჩევა, მნიშვნელოვანი იყო იმაზე დაკვირვება, არსებობს თუ არა გენდერული განსხვავება ამ თვალსაზრისით და მხოლოდ ქალებზე დაკვირვება მოგვცემდა თუ არა ზოგადი ფონიდან განსხვავებულ შედეგებს.

არსებობს სტერეოტიპი, რომ პოლიტიკა თამაშია წესების გარეშე, სადაც გადარჩებიან მხოლოდ ძლიერები. სხვა გენდერული სტერეოტიპების მიხედვით, ქალი სუსტი არსებაა; იგი უფრო მგრძნობიარე, ემოციური, რბილი და ნაკლებად ფიცხია, ვიდრე მამაკაცი; მამაკაცთან შედარებით მეტ ყურადღებას აქცევს ეთიკის ნორმებს, მხარს უჭერს კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას, სწრაფად არ იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და ნაკლებად აგრესიულია.

მეორე მხრივ, დღეს ბევრს მსჯელობენ იმის შესახებ, რომ საქართველოში მიმდინარეობს გენდერულ ფუნქციათა გადანაწილება, სტატუსებისა და როლების ცვლილება, გენდერულ ურთიერთობათა მარეგულირებელი ტრადიციული სტერეოტიპების უარყოფა.

საინტერესოა, რეალურად რა სტრატეგიები გააჩნიათ ქალ პოლიტიკოსებს საქართველოში, რა გზებს და საშუალებებს მიმართავენ ისინი დღეისათვის არსებულ საკმაოდ მძიმე კონკურენტულ პოლიტიკურ გარემოში თავის დასამკვიდრებლად? რამდენად აქტუალურია აგრესია და სიძულვილის ენა ქალის პოლიტიკურ დისკურსში? სწორედ ამ ძირითადი კითხვებიდან გამომდინარე დაიგეგმა ქალ პოლიტიკოსთა დისკურსის კვლევა.

<u>კვლევის მიზანი:</u> კვლევის მიზანს წარმოადგენს პოლიტიკურ დისკურსში სიძულვილის ენის გამოყენების ანალიზი საქართველოს ქალ პოლიტიკოსთა მაგალითზე.

კვლევის მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- პოლიტიკურ დისკურსში სიძულვილის ენის გამოყენების ზოგადი ანალიზი;
- პოლიტიკური დისკურსის კონსტრუირების ლოგიკის/სტრატეგიული მიდგომის იდენტიფიცირება თითოეული შერჩეული პოლიტიკოსისათვის;
- პოლიტიკური დისკურსის კონსტრუირების ძირითადი მეთოდების/ტექნიკების იდენტიფიცირება თითოეული შერჩეული პოლიტიკოსისათვის;
- პოლიტიკური დისკურსის კონსტრუირების ლოგიკის/სტრატეგიული მიდგომისა და მეთოდების/ტექნიკების შედარებითი ანალიზი;
- სიძულვილის ენის გამოყენების სპეციფიკისა და როლის იდენტიფიცირება პოლიტიკური დისკურსის კონსტრუირებისას როგორც ინდივიდუალურ, ისე - ზოგად დონეზე.

<u>კვლევის მეთოდი:</u> დისკურსის ანალიზი.

ძირითად არგუმენტაციულ მეთოდებს/ტექნიკებსა და ენობრივ მარკერებს წარმოადგენს: ფასეულობათა არგუმენტი; ავტორიტეტების არგუმენტი;

დეიქტიკური სიტყვები/ფრაზები; სხვადასხვა სტილისტური ხერხები და ღირებულებათა გამომხატველი ენობრივი კონსტრუქტები.

კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩოსა და კონკრეტული დიზაინის შემუშავება განხორციელდა შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით: ჩამ პერელმანი: „არგუმენტის განხილვა“, ახალი რიტორიკა (Perelman & Olbrechts-Tyteca, 1989); ჯონ ოსტინი: „როგორ გავაკეთოთ საქმეები სიტყვებით“ (Austin, 1962); ფრანს ჰ.ვან ემერენი: „არგუმენტაციის თეორია ახალი რიტორიკის შემდეგ“ (Eemeren, Frans H. van, 2009, pp. 119-147); აილეტ კუპერიდა სკოტ რივზი: „დისკურსის ანალიზი“ (Ayelet Kuper & Scott Reeves); სტივ ოსვალდი და ალენ რიჰსი: „მეტაფორა, როგორც არგუმენტი” (Oswald, S Rihs, 2013); ლინ ფრეიზერი, ლორი ტაფტი და თომ როპერი სტატია „პარალელური სტრუქტურა“: წინადადების გააზრების გამარტივების წყარო (Roeper, 1984).

<u>**შერჩევა:**</u> კვლევისთვის შეირჩა განსხვავებული პარტიული კუთვნილებისა და იდეოლოგიის მქონე, აქტიური, პოპულარული და წარმატებული ხუთი პოლიტიკოსი ქალი, რომელთაც მაღალი პოლიტიკური თანამდებობები უკავიათ ან ეკავათ უახლოესი 10 წლის განმავლობაში:

- იუსტიციის მინისტრი (კვლევის ჩატარების პერიოდში): თ.წ.
- პარლამენტის ყოფილი ვიცე-სპიკერი, ამჟამად ოპოზიციური პარტიის ლიდერი: ი.ი.
- ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი, პარლამენტარი (კვლევის ჩატარების პერიოდში): ი.ნ.
- პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერი: ნ.ბ.
- ყოფილი მინისტრი, ამჟამად ოპოზიციური განწყობის პოლიტიკოსი: თ.ხ.

დაკვირვების უშუალო ობიექტებად შეირჩა მათ მიერ პოპულარულ ბეჭდვით მედიასა და ინტერნეტ გამოცემებში („ალია“, „ასავალ-დასავალი“, „კვირის პალიტრა“, „24 საათი“, „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „პრაიმტაიმი“; „გზა“, „თბილისელები“, „რეიტინგი“, „სარკე“, „ტაბულა“; www.for.ge, www.ambebi.ge , www.presa.ge, www.news.ge, www.droni.ge, www.netgazeti.ge, www.liberalige) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მიცემული ინტერვიუები და პოლიტიკური დისკუსიის ტექსტები. სულ დამუშავდა და გაანალიზდა 489 ტექსტი.

დისკურსის ანალიზის შედეგები კვლევის ძირითადი ჰიპოთეზის სასარგებლოდ მეტყველებს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ გაანალიზებულ ტექსტებში ნათლად გამოიკვეთა მორტონ დოიჩის თანამშრომლობისა და კონკურენციის თეორიის დებულებების მხარდამჭერი შედეგები: ქალ პოლიტიკოსთა ტექსტებში ხდება ყურადღების გამახვილება ოპონენტების ნეგატიურ თვისებებზე და უგულებელყოფილია დადებითი; სიძულვილის ენის გამოყენება ხდება მიზანმიმართულად, როგორც ფსიქოლოგიური მუქარის ან/და ძალადობის ფორმა, რაც მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის დევალვაციის/დასუსტების ფონზე საკუთარი, ძლიერი პოლიტიკოსის იმიჯის ფორმირებას/საკუთარ გაძლიერებას.

3.2 დისკურსის ანალიზის თეორიული საფუძვლები

ცნება „დისკურსი“ სხვადასხვა გაგებით გამოიყენება. მაგალითად, როგორც: სოციალური პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტი; ენა, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ სოციალურ სფეროსთან ან პრაქტიკასთან; სამყაროს ასპექტების ასახვის გზა, რომელიც კონკრეტულ სოციალურ პერსპექტივას უკავშირდება და ა.შ. (Fairclough, 2013, pp. 269-278).

ამერიკელი მეცნიერი დებორა შიფრინი, რომელიც დისკურსის ანალიზსა და სოციოლინგვისტიკის სფეროებს იკვლევს, მიიჩნევს, რომ დისკურსი არის სიტყვები, გამონათქვამები, როგორც ენის წარმოების ერთეულები/ელემენტები, რომლებიც კონტექსტურია (Schiffri, 1996).

ენათმეცნიერების სფეროში ტერმინი „დისკურსის ანალიზი” პირველად ზელინგ ჰარისმა გამოიყენა 1952 წელს. მიჩნეულია, რომ, როგორც მიმდინარეობა, იგი მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან ყალიბდება (Harris, 1952), (Zajacova, 2002, p. 27).

თუმცა, ჯერ კიდევ ძვ.წ. მე-4 საუკუნეში, არისტოტელემ თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომში - „რიტორიკა“ - აჩვენა, რომ რიტორიკული მეთოდი წარმოადგენს „დარწმუნების ხელოვნებას”, დარწმუნების საშუალებას (არისტოტელე, 1981).

არისტოტელეს მიხედვით, ორატორმა, მიზნის მისაღწევად, უნდა გაითვალისწინოს იმ აუდიტორიის ღირებულებები, მოსაზრებები და რწმენა, რომელსაც ის მიმართავს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ არგუმენტირებული დისკურსი სოციალური და კულტურული კონტექსტით განისაზღვრება.

არისტოტელე დარწმუნების სამ ძირითად განზომილებას/საშუალებას განიხილავს: ლოგოსს, ეთოსსა და პათოსს.

არისტოტელესთვის ლოგოსი ნიშნავს დარწმუნებას, მსჯელობის გამოყენებით, რომელიც მოიცავს კრიტიკულ შემეცნებას, ანალიტიკურ უნარებს, კარგ მეხსიერებასა და მიზანმიმართულ ქცევას, რის გამოც ყველაზე მნიშვნელოვან არგუმენტად განიხილება. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ლოგოსი არის გონივრული, ლოგიკური და არგუმენტირებული დისკურსი.

ეთოსი გულისხმობს ორატორის დამაჯერებლობას. იგი წარმოადგენს სტილს, რომლის მეშვეობითაც ორატორი/მოსაუბრე ცდილობს აუდიტორიის ყურადღების მიპყრობას რწმენის მოპოვების მიზნით. ეთოსი ეხება ორატორის მიმართ ნდობას. თუ მომხსენებელი დამაჯერებელია, აუდიტორია მას „მისდევს“/ენდობა.
არისტოტელე ეთოსს უწოდებს ორატორის სახეს. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის „დისკურსის მიერ შექმნილი სახე".

ფრანგი ენათმეცნიერი დომინიკ მენგენოს მიხედვით, „ორატორის ეთოსი დაკავშირებულია მის სიტყვასთან და როლთან, რომელიც შეესაბამება მის დისკურსს, მაგრამ არა პიროვნებას” (Maingueneau, 1993, p. 66). ეთოსის ძირითადი კომპონენტებია სწორი დამოკიდებულებები, პატივისცემა და კეთილგანწყობა.

რუმინელი ფილოსოფოსი რუთ ამოსი განასხვავებს წინასწარ და დისკურსულ ეთოსს. მისი განმარტებით, წინასწარი ეთოსი არის ის, რაც აუდიტორიამ წინასწარ იცის მომხსენებლის (მწერლის) შესახებ, ხოლო დისკურსის ეთოსი, ეს არის ეთოსი, რომელიც შექმნილია უშუალოდ კონკრეტული სიტუაციისთვის და დისკურსის დროს (Amossy, 2000, p. 63).

პათოსი აუდიტორიასთან პირდაპირ კავშირში განიხილება. აუდიტორია არის მომხსენებლის კოლექტიური საგანი, რომელზეც ორატორი ცდილობს გავლენა მოახდინოს საკუთარი არგუმენტებით. ამრიგად, აუდიტორიის არსებობა კომუნიკაციის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. არისტოტელეს მიხედვით, „რიტორიკა“ არის ძალა, რომლის ზემოქმედებითაც მწერლის/ორატორის გზავნილს აუდიტორია „გადაჰყავს“ სასურველ/ხელსაყრელ ემოციურ მდგომარეობაში.

შესაბამისად, კარგმა ორატორმა დანამდვილებით უნდა იცოდეს, თუ რომელი ემოცია მოახდენს გავლენას აუდიტორიაზე, მათი სოციალური სტატუსის, ასაკისა და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით. ამასთან, მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ გამოხატვა, არამედ ისიც, თუ როგორ შეუძლია მას დისკურსის მეშვეობით გამოიწვიოს მისთვის ხელსაყრელი ემოციები: სიბრაზე, შეურაცხყოფა, თანაგრძნობა, შიში, დაბნეულობა და ა.შ (Amossy, 2000, p. 178).

არისტოტელეს ნაშრომის ერთ-ერთი თავი სახელწოდებით "წიგნი II" ეძღვნება თემას, რომელიც ემოციებს სამ ასპექტში მიმოიხილავს: რა პირობებში განიცდის ემოციას აუდიტორია, რომელი კატეგორიის მიმართ არის მგრძნობიარე და რა არის მისი მოტივაცია (არისტოტელე, 1981).

მენგენო თავის სტატიაში „დისკურსის ანალიზი და მისი საზღვრები“, დისკურსს მიიჩნევს, „სუპერლინგვისტიკის” სახეობად, სადაც ფორმა და ფუნქცია, სისტემა და მისი გამოყენება თანაარსებობენ“ (Mainguaineau, 1999, pp. 61-70). როგორც მენგენო აღნიშნავს, იმავე სტატიაში, დისკურსის ანალიზი არის ახალი და ამავდროულად ძველი დისციპლინა. იგი კონტაქტში შედის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგთან, რის გამოც დისკურსის ანალიზი იღებს მრავალფეროვან სახეს. შეერთებულ შტატებში ანთროპოლოგიამ და

სოციოლოგიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს დისკურსის ანალიზის კონსტიტუციაში, ხოლო სამოცდაათიანი წლების საფრანგეთში მასზე დიდი გავლენა იქონია ფსიქოანალიზმა. მენგენოს მიხედვით, „დისკურსის ანალიზი" შეგვიძლია ვუწოდოთ, ნებისმიერ გამოკვლევას, რომელიც ეხება წინადადებაზე მეტი განზომილების ვერბალურ მასალას“ (Mainguaineau, 1999, pp. 61-70).

ფრანგ სოციალურ თეორეტიკოსსა და ფილოსოფოს მიშელ ფუკოსთან დისკურსის ანალიზის ფორმა „ცდილობს აჩვენოს“, თუ როგორ ემსახურება კულტურაში საუბრისა და წერის ჩვეულებრივი ხერხები პოლიტიკურ ან იდეოლოგიურ ფუნქციებს, რომ ისინი ზღუდავს ან ახასიათებს, როგორ ფიქრობენ და მოქმედებენ ადამიანები, როგორც სოციალური არსებები (Foucault, 1970).

დომენიკ მენგენო დისკურსის პრაგმატულ ფუნქციებს უკავშირებს ენობრივ „გამოთქმის“ თეორიებს და მიშელ ფუკოს აზროვნების ზოგიერთ ასპექტს. დომინიკ მენგენოს თანახმად, დისკურსი უკავშირდება მოსაუბრის მიზანს და დროთა განმავლობაში ვითარდება. მეორე მხრივ, ეს არის ინტერაქტიული და კონტექსტუალური ხასიათის მოქმედების ფორმა, ხელს უწყობს კონტექსტის განსაზღვრას, რაც შეიძლება შეიცვალოს წარმოთქმის დროს. იგი სტანდარტებით რეგულირდება და ბოლოს ინტერდისკურსში ხვდება. შესაძლებელია, ის უფრო ენის გაგების გზად მივიჩნიოთ (Maingueneau, & Charaudeau & Raymond, 2002).

3.3 პოლიტიკური დისკურსი

პოლიტიკური დისკურსი ინტერდისციპლინური კვლევის საგანია. რიგი ჰუმანიტარული მეცნიერებები: ლინგვისტიკა, პოლიტიკა, ისტორია, სტატისტიკა, სოციოლოგია, კომუნიკაციის თეორია, სოციო-ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია, არგუმენტაციის თეორიები, ანთროპოლოგია სხვადასხვა ასპექტით იკვლევს მას.

პოლიტიკური დისკურსის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს პოლიტიკური კომუნიკაცია წარმოადგენს. „პოლიტიკური კომუნიკაცია, ესაა სივრცე, სადაც სამ სუბიექტს შორის, რომელთაც აქვთ უფლება გამოხატონ საჯაროდ თავიანთი აზრი პოლიტიკაზე - პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და საზოგადოებრივი აზრი - მიმდინარეობს დისკურსების გაცვლა-გამოცვლა“ (Ollivier-Yaniv, 2010, p. 33).

ჟაკ გერსტლე, საფრანგეთში პოლიტიკური კომუნიკაციის ერთ-ერთი წამყვანი მკვლევარი, ხაზს უსვამს პოლიტიკური კომუნიკაციის ფენომენის სიძველეს და აღნიშნავს, რომ პოლიტიკური კომუნიკაცია, თანამედროვე გაგებით, თითქმის ანტიკური პერიოდის გაგების იდენტურია და ცდილობს მსმენელებს ის პოლიტიკური არჩევანი, მიაღებინოს, რომელსაც სთავაზობენ (Gerstle, 2008).

ბეილონი თვლის, რომ პოლიტიკური კომუნიკაციის ფენომენი მდგომარეობს მესიჯის კარგ გადაცემაში, რომელიც ხორციელდება, ზოგადად, ზედა პოზიციაზე მდგომი მეტყველისაგან და მიმართულია მსმენელისაკენ, ხალხისაკენ.
მეტყველისა და მსმენელის ურთიერთობები პირველ ადგილზეა. შექცევადი და გახსნილი ურთიერთობები ქმნის დემოკრატიულ სტილს, ხოლო შეუქცევადი და ფარული ურთიერთობები - დესპოტურ სტილს (baylon, 1996).

პოლიტიკური დისკურსის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის ბუფონი ასახელებს, აგრეთვე, პოლიტიკური მმართველობის ფორმას (დემოკრატიული,

ავტორიტარული), კომუნიკაციის არხის სპეციფიკას, პოლიტიკური ძალისადმი კუთვნილებას, ფუნქციას, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებას (Buffon, 2002).

პოლიტიკური დისკურსის ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, მისი კვლევა უმთავრესად, არა რომელიმე ერთი კონკრეტული დისციპლინის ფარგლებში, არამედ ერთდროულად სხვადასხვა მეცნიერებებზე დაყრდნობით ხდება. პოლიტიკური დისკურსის საყოველთაოდ გაზიარებული განსაზღვრება არ არსებობს. თანამედროვე მეცნიერებაში ძირითადად დისკურსის შემდეგი განსაზღვრებები გამოიყოფა:

ბონაფუსი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური დისკურსი არის სოციალური მოქმედების და ურთიერთქმედების ფორმა, ეს არის პოლიტიკური ფორმა პოლიტიკური პროცესის განსახორციელებლად. ფართო გაგებით კი, ნებისმიერი დისკურსი პოლიტიკურია, თუ იგი საზოგადოებრივ მოწყობას ეხება (Bonnafous, 2003).

რუთ ამოსის განმარტებით, „პოლიტიკური დისკურსის საგნის ჰორიზონტი იწყება პოლიტიკოსთა პროფესიული დისკურსებით და ვრცელდება ნებისმიერ დისკურსზე, რომელიც ეხება საზოგადოებრივ საკითხებს საზოგადოებრივ სივრცეში“ (Amossy, 2010, pp. 13-21).

პოლ დრიუს თანახმად, უფრო ქმედებაზე ორიენტირებული გზის გათვალისწინებით, შეიძლება ვთქვათ, რომ დისკურსი პოლიტიკურია, როდესაც იგი ასრულებს პოლიტიკურ აქტს პოლიტიკურ ინსტიტუტში, როგორიცაა მმართველობა, კანონმდებლობა, საარჩევნო კამპანია (Drew, 1992).

ჰოლანდიელი ლინგვისტი ვან დიკი განმარტავს, რომ პოლიტიკური დისკურსი არის ჟანრის გარკვეული კლასი, რომელიც განისაზღვრება პოლიტიკით (Dijk, 1988). დიკის მოსაზრებით, არაფორმალურ გარემოში, პოლიტიკოსის საუბარი მეგობრებთან არ ითვლება პოლიტიკურ დისკურსად. დისკურსი პოლიტიკურია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ინსტიტუციურ გარემოში ხორციელდება და განმცხადებელი მიმართვას პროფესიულ როლში ახორციელებს (Dijk, 2002).

ვან დიკი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური დისკურსი ხორციელდება პოლიტიკურ გარემოში. მაგალითად, პარლამენტის სესიების დროს, მთავრობის, პარტიების შეხვედრაზე, მიტინგებზე, სატელევიზიო გამოსვლებში, პრესკონფერენციები მასმედიაში (Dijk, 2012, pp. 1-44). ეს საქმიანობა პოლიტიკური სფეროს ნაწილია და იცავს ნორმებს და წესებს. ზემოხსენებული მაგალითებიდან ნათელი ეფინება, პოლიტიკოსების საქმიანობასა და მოღვაწეობას, რაც მას საკუთარი პიროვნულობის საჯარო დემონსტრირების საშუალებას აძლევს.

ბეილონი თავის ნაშრომში „სოციოლინგვისტიკა“, პოლიტიკურ დისკურსს შემდეგნაირად განმარტავს: „დისკურსი პოლიტიკურია, თუ იგი წარმოთქმულია პოლიტიკოსის მიერ პოლიტიკური მიზნით“ (Baylon, 1996). იგი მიიჩნევს, რომ დისკურსი პოლიტიკური ხდება პოლიტიკურ-საკომუნიკაციო სიტუაციით, მეტყველის პიროვნებით, მეტაენით, რაც წარმოადგენს შესწავლის ობიექტს, ხოლო სოციოლინგვისტიკის მიერ პოლიტიკური დისკურსის კვლევა მხოლოდ პირველი მოკრძალებული ნაბიჯია დისკურსის ზოგადი თეორიისაკენ, რომლის მიზანიცაა ენის შესწავლა სოციალურ-კულტურულ კონტექსტში (Baylon, 1996).

გოფმანი პოლიტიკურ ცხოვრებას თეატრალურ წარმოდგენას ადარებს: როდესაც პოლიტიკოსი შეხვდება ამომრჩეველს ან მასმედიის წარმომადგენელს, ცდილობს საკუთარი თავის წარმოჩენას დადებითი კუთხით, საკუთარი ქცევით და საუბრით

მასზე შთაბეჭდილების მოხდენას. პოლიტიკოსის ქცევის ანალიზისთვის გოფმანს შემოაქვს თეატრისა და სცენის მეტაფორა. ვინაიდან შემსრულებელი და მაყურებელი ერთ სივრცეში იმყოფებიან, აუდიტორია შემსრულებლის ქცევას აკვირდება. ამიტომ სცენაზე ყოფნის დროს ინდივიდებს მორგებული აქვთ კოსტიუმი, აკონტროლებენ მანერას, როლის შესრულების ტექნიკას, ჩაცმულობას და სახეს. მათ აქვთ წინასწარგანზრახული მიზანი და დაწერილი განსაზღვრული თამაშის წესები. მეორე შემთხვევაში, კულუარებში, აუდიტორიას არ აქვს დაკვირვების საშუალება. პოლიტიკოსებს არ სურთ ისინი კულუარებში დაინახონ, თუ როგორ არიგებს მრჩეველი, ან როგორ ვარჯიშობს იგი (Goffman, 1959, pp. 525-537).

გაცილებით რთულია „კულუარული“ პოლიტიკოსების ყოველდღიური ცხოვრების შესწავლა. პოლიტიკოსთა ყოველდღიური ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით, არაპროგნოზირებადი შემთხვევებით, რის საშუალებითაც მათ შეიძინეს ცოდნა, რიტუალები, ნორმები, ტაქტიკა. როგორც ვოდაკი აღნიშნავს, გამოცდილმა პოლიტიკოსებმა იციან ამ ცოდნის მართვა, თუ როგორ გაუმკლავდნენ ასეთ სიტუაციებს. ისინი ახერხებენ წესრიგის დამყარებას არეულობაში (Wodak, 1996). პოლიტიკოსი თავად ქმნის საკუთარ დღის წესრიგს და ირჩევს მოქმედების სტრატეგიებს.

ინტერდისციპლინურ მიდგომაზე დაფუძნებული ანალიზი განავითარა პატრიკ შაროდომ თავის უმნიშვნელოვანეს ნაშრომში „პოლიტიკური დისკურსი, ძალაუფლების ნიღაბი“ (Charaudeau, 2005, pp. 207-213). ნაშრომი ეხება პოლიტიკური დისკურსის საკითხს ენის თვალსაზრისით. ამ კუთხით, პოლიტიკური დისკურსი არის სოციალური პრაქტიკა, რომლის მეშვეობითაც იდეები და მოსაზრებები ვრცელდება საზოგადოებრივ სივრცეში, სადაც სხვადასხვა მსახიობი ერთმანეთის პირისპირ დგას, რომლებიც პატივს სცემენ

კომუნიკაციის სისტემის გარკვეულ წესებს, მაგრამ პოლიტიკური დისკურსი ასევე განპირობებულია სხვებზე ზემოქმედების სურვილითა და საჭიროებით.

შაროდო თავის ნაშრომში „პოლიტიკური დისკურსი, ძალაუფლების ნიღაბი“ (2005). დისკურსის განსაზღვრისას ენას აკავშირებს მოქმედებასთან. მიიჩნევს, რომ პოლიტიკური დისკურსი არის დარწმუნების სივრცე, რომელიც აშენებს და ინარჩუნებს ლეგიტიმურობას, პოლიტიკის „გასაკეთებლად“.

შაროდო ავითარებს ორიგინალურ შეხედულებებს ეთოსთან დაკავშირებით. იგი მიიჩნევს, რომ პოლიტიკოსი თავად ქმნის, აშენებს და ავითარებს ღირებულებების სისტემას. ფრანგი ნაციონალისტი პოლიტიკოსის ჯ.მ. ლე პენის დახასიათებისას შაროდო აღნიშნავს, რომ იგი ეთოსს აშენებს მასიური სხეულით, ფიზიკური ქცევით, მკაცრი ორატორული ხმით, მისი გარეგნობით, სიტყვებით, რომლებიც უპირისპირდებიან მოწინააღმდეგეს, აყენებენ შეურაცხყოფას, ისევე მისი იდეებით, რომელთა შინაარსი და განხორციელება ხდება ძალაუფლების იმიჯით. ეთოსის თვისებების უმეტესობა ამბივალენტურია: მაგალითად:

- ინტელექტი / ეშმაკობა;
- თანაგრძნობა / სისუსტე;

რომლებიც მოსაუბრის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მოქმედებს და მათი შედეგები ძირითადად არაპროგნოზირებადია (აუდიტორიიდან და გარემოებებიდან გამომდინარე) (Charaudeau, 2005, pp. 207-213).

შაროდო პოლიტიკური დისკურსის პროდუცირებისას გამოყოფს: აზროვნების სისტემას კომენტარსა და საკომუნიკაციო აქტს. მათი წარმოთქმის ადგილის გათვალისწინებით, იგი პოლიტიკური დისკურსის სამ დეფინიციას იძლევა:

- „პოლიტიკური დისკურსი, როგორც აზროვნების სისტემა, დისკურსული ქმედების შედეგია, რომელიც იმ პრინციპებზე დაყრდნობით, რომელზეც უნდა იგებოდეს პოზიციები და მოსაზრებები, ცდილობს შექმნას პოლიტიკური იდეალურობა“ (Charaudeau, & Maingueneau, 2002);

- პოლიტიკური დისკურსი, როგორც კომენტარი, აუცილებლად პოლიტიკური მიზნებისკენ არ არის მიმართული. მართალია, დისკურსის თემაა პოლიტიკა, მაგრამ იგი შეიძლება იყოს ხანმოკლე, შეწყდეს ისე, რომ არ მოხდეს აზრის ჩამოყალიბება ან პოზიციის მიღება. პოლიტიკური კომენტარის განსაკუთრებული მახასითებელი არის ის, რომ იგი სუბიექტს მოქმედებისკენ არ უბიძგებს (Charaudeau, 2005);

- „პოლიტიკური დისკურსი, როგორც საკომუნიკაციო აქტი, უშუალოდ ეხება იმ პოლიტიკური კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირებს, რომლის მიზანიცაა ზეგავლენა მოახდინონ ამ აქტში მონაწილეთა შეხედულებებზე, რათა მიაღწიონ მათ მიმხრობას, უარყოფას ან კონსენსუსს (Charaudeau, 2005). პატრიკ შარადოს ნაშრომი “Le discours politique”, როგორც სოციალური გავლენის ლოგიკის ნაწილი, მინიმუმამდე ამცირებს არგუმენტაციას, როგორც დარწმუნების დასაბუთებულ შეცვლას, რომელიც გაგებულია, როგორც ცდუნება, თუნდაც მანიპულირება. მისივე თქმით, მაქსიმუმ, პოლიტიკოსს ევალება "შესთავაზოს მარტივი მიზეზობრივი მსჯელობა ძლიერი რწმენის საფუძველზე და გააძლიეროს ისინი არგუმენტების წარდგენით, რომლებიც მიზნად ისახავს მტკიცებულების ეფექტს" (Charaudeau, 2005). ვინაიდან პოლიტიკა ძალაუფლებისა და გავლენის ადგილია.

3.4 არგუმენტაცია პოლიტიკურ დისკურსში

ვოლტონის აზრით, პოლიტიკური დისკურსი მკვეთრად არგუმენტაციული ხასიათისაა. არგუმენტაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც თანმიმდევრული მსჯელობა. პოლიტიკური არგუმენტაცია დაკავშირებულია როგორც კონსენსუსის ძიებასთან, ასევე კონფლიქტის განეიტრალებასთან, რაც საშუალებას აძლევს პოლიტიკოსს არგუმენტირებულად მიიჩნიოს თავისი გადაწყვეტილებები. ასეთ დროს სასურველია მოხდეს განსხვავებული აზრის, როგორც კონფლიქტის შემადგენელი ნაწილის გადაფასება (რაც დღეს პოლიტიკოსისთვის წარუმატებლობად აღარ მიიჩნევა) (Wolton, 1995, p. 13).

ბუფონის მოსაზრების თანახმად, პოლიტიკური დისკურსი ქმედებასთან უშუალო კავშირშია: „იყო პოლიტიკოსი, ნიშნავს ისაუბრო და იმოქმედო საზოგადოებრივ სფეროში. სამოქალაქო რიტორიკა განიხილავს, უპირველეს ყოვლისა, მოტივებსა და შედეგებს საზოგადო საქმეების შესახებ” (Buffon, 2002).

ბუფონის აზრით, პოლიტიკური არგუმენტაციის ჩარჩოს აუდიტორია და შეზღუდული დისკურსი შეადგენს. პოლიტიკოსი აუდიტორიას მეცნიერი სამგვარად ყოფს:

- ელექტორატი;
- ოპოზიცია;
- მომხრეები.

პოლიტიკოსმა საკუთარი დისკურსით ერთდროულად უნდა მოახერხოს საკუთარი მომხრეების შენარჩუნება, მოწინააღმდეგის დისკვალიფიკაცია და

ელექტორატის დარწმუნება საკუთარი ქმედების რელევანტურობაში (Buffon, 2002, pp. 330-332).

ელექტორატის მიმართ პოლიტიკოსი ძირითადად ორმხრივი მიმართულებით მუშაობს. ერთი მხრივ, იგი უნდა შეეცადოს მისი პოტენციური ამომრჩევლების მსგავსი, მათთან ახლოს მდგომი გამოჩნდეს და ამით მათთან იდენტიფიკაცია უზრუნველყოს, ხოლო მეორე მხრივ, მოსახლეობას თავისი კომპეტენტურობა უნდა დაუმტკიცოს, მათი ნდობა მოიპოვოს, რისთვისაც თავი მათგან განსხვავებულად უნდა წარმოაჩინოს. ამდენად, პოლიტიკური ლიდერის დისკურსი ერთდროულად როგორც მოსახლეობასთან იდენტიფიკაციას, ასევე მისგან დისტანციურობას უნდა გამოხატავდეს. პოლიტიკოსის მხრიდან გასათვალისწინებელია, აგრეთვე, საზოგადოების ტენდენციაც, რომლის მიხედვითაც, იგი დეპოლიტიზებისაკენ არის მიმართული, მოსახლეობა საარჩევნო პროგრამების, საარჩევნო სიტყვების პოლიტიკური შინაარსის მიმართ უფრო და უფრო ნაკლებ ინტერესს იჩენს.

მისი ყურადღება უმთავრესად თვითონ პოლიტიკოსის სიტყვის ფორმაზეა გადატანილი. ამასთანავე, პოლიტიკური დისკურსის მსმენელში მუდმივად იგულისხმება პოლიტიკური ოპოზიცია, რომლის ინსტიტუციური ფუნქცია მოწინააღმდეგის მიერ წამოყენებული წინადადებების და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კრიტიკით განისაზღვრება, ამიტომ პოლიტიკური დისკურსი პოლემიკურ ხასიათს ატარებს. რაც შეეხება, თვითონ პოლიტიკურ დისკურსს, იგი, ბუფონის აზრით, შეზღუდულია. პოლიტიკოსს დიდი სიფრთხილე სჭირდება თითოეული სიტყვის შერჩევისას (Buffon, 2002).

ბუფონი თვლის, რომ პოლიტიკოსი არ არის საკუთარი სიტყვის სუვერენული ოსტატი, ვინაიდან პოლიტიკოსს აქვს კონტროლის ვალდებულება, ამ პირობებში,

სიტყვით მისი გამოსვლის უფლება ხშირად იზღუდება გარკვეული სიტყვების წარმოთქმის მოვალეობა/ვალდებულების გამო. მაგალითად: მისალმების, ინაუგურაციის, ტრაგიკული მოვლენების ან ხსოვნის გამოსვლები. პოლიტიკური დისკურსი სტრუქტურირებულია, აღინიშნება მთელი რიგი ფასეულობებით და საერთო კავშირებით, რომლებიც მერყეობს ხალხის სუვერენიტეტიდან თავისუფლებამდე, კერძოდ, კანონის თანასწორობით, ტოლერანტობითა და უსაფრთხოებით (Buffon, 2002, pp. 334-335).

3.5 ფასეულობათა არგუმენტი

ქალი პოლიტიკოსები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ინტენსიურად იყენებენ როგორც აბსტრაქტულ (მაგ. დემოკრატია, სამართლიანობა, თანასწორობა და ა.შ.) ისე კონკრეტულ (მაგ. საკუთრება, შვილი, ოჯახი) ფასეულობათა არგუმენტებს (Perelman & Olbrechts-Tyteca, 1989).

საკვლევ პოლიტიკურ დისკურსში ერთ-ერთ ყველაზე ინტენსიურად გამოყენებად ფასეულობას დემოკრატია წარმოადგენს. ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ დემოკრატია/თანამედროვე დემოკრატიულ სამყაროსთან ინტეგრირება დამოუკიდებელი საქართველოს ყველაზე დიდ მიღწევად მიიჩნევა. შესაბამისად, ქალი პოლიტიკოსები ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ მათი ოპონენტები დემოკრატიის პრინციპებს ლახავენ, აქედან გამომდინარე, თვითონ გამოდიან დემოკრატიის მოწინააღმდეგეთა მამხილებელნი, ანუ, „დემოკრატიის დამცველები და გარანტორები“.

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, შეინიშნება განსხვავება ცნება „დემოკრატიის“ კონკრეტულ ნიშან-თვისებათა ხაზგასმის თვალსაზრისით. თუ მმართველი პარტიის წარმომადგენელ, მოქმედ მინისტრის დისკურსში „დემოკრატია“ პირველ რიგში გვხვდება „ადამიანის თავისუფლებასთან“, „თანასწორობასთან“ და „დამოუკიდებელ სასამართლოსთან“ ერთად, ვიცე-სპიკერის (რომელიც არ ეკუთვნის მმართველ პარტიას, თუმცა, არც მისი რადიკალური მოწინააღმდეგეა) დისკურსში დემოკრატია ცხოვრებისა და დასაქმების დონეების გაუმჯობესებას უკავშირდება; ყოფილი პარლამენტის თავჯდომარე ამ სიტყვას, უმთავრესად, ქვეყნის შიგნით ძალაუფლების განაწილებისა და საგარეო ურთიერთობების პრიზმაში განიხილავს, ხოლო რადიკალურად ოპოზიციური განწყობის პოლიტიკოსთა დისკურსში იგი, ძირითადად, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან არის ასოცირებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიტიკური ოპონენტის ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენა ქალი პოლიტიკოსებისთვის პრიორიტეტულია. საკუთარი იმიჯის კონსტრუირებას ისინი ძირითადად ოპონენტის განადგურებული იმიჯის ფონზე ცდილობენ. თუმცა, ცხადია, არის მომენტები, როდესაც სიტუაცია საკუთრივ მათი მახასიათებლების წარმოჩენას, ანუ იმ კონკრეტული პოზიტიური ნიშან-თვისებების დასახელებას გულისხმობს, რაც დადებითი იმიჯის მაკონსტრუირებელი ელემენტების ფუქციას უნდა ასრულებდეს (ოპონირების პროცესისგან დამოუკიდებლად). ამ შემთხვევაშიც, დისკურსის ანალიზი ერთგვაროვან სურათს გვიჩვენებს. მნიშვნელოვნად განსხვავებული დისკურსები არც დადებითი კონტექსტის მაკონსტრუირებელი ელემენტების გამოყენების თვალსაზრისით შეინიშნება.

ფასეულობათა არგუმენტის/საზოგადოების მიერ აღიარებულ ფასეულობათა გამომხატველი სიტყვების გამოყენება ამ მიზნითაც ინტენსიურად ხდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დადებითი კონტექსტის მაკონსტრუირებელი ფრაზები უფრო მწირია, ვიდრე - უარყოფითის და დადებითი იმიჯის კონსტრუირება უფრო ფართო კონტექსტში ხშირად, მაინც ოპონენტთან დაპირისპირების ფონზეა გადაწყვეტილი.

თ.წ.-ს დისკურში ვხვდებით ფასეულობათა არგუმენტების უამრავ მაგალითს. პოლიტიკოსი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს აბსტრაქტული ტიპის ფასეულობებზე. მაგალითად: „ევროპული საქართველო“, „დამოუკიდებელი სასამართლო“, „თავისუფალი სიტყვა“, „სტრასბურგის სასამართლო“, „თავისუფალი არჩევანი“, „უფლება“, „მორალი“, „სიამაყე“, „თანასწორობა“, „უსაფრთხოება“, „ინსტიტუტი“, „ქვეყანა“. შედარებით ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ თ.წ. მაინც იყენებს კონკრეტული ფასეულობების აღმნიშვნელ სიტყვებს: „საქართველოს მოქალაქეობა“, „ეპოქა”, „ოჯახი“; „შვილი“, „სისტემა“.

- *„წინა ხელისუფლება იყო კლანი და მას სათავეში ედგა აწ უკვე ბრალდებული მიშა სააკაშვილი, რომლის კაპრიზებზე დადიოდა მთელი ქვეყანა, რომელმაც ხელი დააფარა გირგვლიანის საქმეს. მე ეს არ მითქვამს ღმერთმა დამიფაროს, ეს თქვა სტრასბურგის სასამართლომ“. თ.წ.*
- *„რომ გამოგიკრავთ ყველგან და ჩვენთვის ბანერი აღარ დატოვეთ ძლიერი სოფელიო. რომელ ძლიერ სოფელზე ლაპარაკობთ. თქვენს ხელში არ იყო სოფელი. თქვენ არ იყავით, რომ კანალიზაციას მიეცით ბადაგონის საუკეთესო ღვინო. კიდევ ბევრი სასაცილო დაპირება გაქვთ“. თ.წ.*

ი.ი.-ს დისკურსში თანაბრად ვხვდებით როგორც კონკრეტულ, ასევე აბსტრაქტულ ფასეულობათა გამოყენების მაგალითებს: პირველ რიგში, ის აქცენტს აკეთებს „სამშობლოზე“, „საქართველოზე“, „ქართველ ხალხზე“, „ქართველ ერზე“, „ეროვნულ სულისკვეთებაზე“, მას მოსდევს „სამართლიანობა“, „გამჭირვალე არჩევნები”, „საერთაშორისო კანონმდებლობა“, „მომავალი“, „პატრიოტიზმი“, „აზროვნება“, „ზნეობა“, „თვითმყოფადობა“, „იდენტობა“, „კანონი“.

- *„მე ვისურვებდი, რომ ჩვენ გვყავდეს მინისტრები როცა საარჩევნო კამპანიაში არიან ჩართულები მაქსიმალურად შეინარჩუნებენ, დაიცავენ კანონს, არ ვამბობ მხოლოდ ამას, შეინარჩუნებენ ზნეობას და არ დაკარგავენ სახეს. თქვენ სახე დაკარგეთ საგარეჯოს არჩევნებში. ისევე როგორც მიშა გიორგაძე თქვენც აგებთ პასუხს დრო მოვა“.ი.ი.*
- *„სათვალიდან უყურებთ საქართველოს და საქართველო აქ არის, ქვევით. დღეს მთავარი გამოწვევა იცით რა არის . თბილისშიც და საქართველოშიც. სიღატაკე, შიმშილი. ადამიანები არიან ბანკების მძევლები. ათასობით ადამიანს წაართვეს სოციალური დახმარება“, ეს ირმა ინაშვილის მონაცემები არ არის, ეს UNICEF -ის მონაცემებია“. ი.ი.*

- *„დღევანდელ ვითარებაში, როცა საარჩევნო სისტემა ჯიბეში უდევს „ქართულ ოცნებას“. დღევანდელ ვითარებაში, როცა კონსტიტუცია ჩაიდეს ჯიბეში, როდესაც რბილი დიქტატურის დამყარების ნიშნებია პირდაპირ გეუბნებით და ეს რბილი დიქტატურა გულისხმობს იმას, რომ აღარ აწამებენ მართალია პატიმრებს ეს კარგია ძალიან“. ი.ი.*
- *„ამ ქვეყანაში ხომ უნდა დამთავრდეს ეს სიმახინჯე. ასე დადუმებული რომ სხედხართ „ქართული ოცნების” დეპუტატი კაცები, ხმა რომ ვერ ამოგიღიათ, ახია თქვენზე რაც ხდება. ერთი მაინც გაექაჩეთ რომელიმეს, მაგის თავიც არ გაქვთ, რომ გაექაჩოთ და გაიყვანოთ დარბაზიდან და პირში უთხრათ სათქმელი“. ი.ი.*

თ.წ.-ს მსგავსად, ი.ნ.-ს დისკურსში არგუმენტების გამოყენების თვალსაზრისით, ხშირად გვხვდება აბსტრაქტული ტიპის ფასეულობები: „დემოკრატია“, „თავისუფალი გარემო“, „უფლება“, „დამოუკიდებელი მედია“, „ინსტიტუტი“, „სახელმწიფო“, „ქვეყანა“, „არჩევნები“, „ეკონომიკური გარემო“, „საინვესტიციო გარემო“, „უმუშევრობა“, „სიღარიბე“, „სტაბილურობა“.

- *„ეს არის პირდაპირი გამოცხადებული ქრონიკა და შეტევა დემოკრატიაზე, ეს არის ჯვაროსნული ლაშქრობა დემოკრატიის წინააღმდეგ,“. ი.ნ.*
- *„ეს არის ჯვაროსნული ლაშქრობა დემოკრატიაზე, ეს არის არა მხოლოდ ზეწოლა დამოუკიდებელ მედიაზე, არამედ არის იმის დასაწყისი, რომ პრემიერ მინისტრი ივანიშვილი იწყებს გადამწყვეტ ბრძოლას დემოკრატიის წინააღმდეგ. ამ ქვეყანაში დემოკრატიას ჰყავს თავისი დამცველები და ივანიშვილს არ შეუძლია გააკეთოს ის, რაც თვითონ უნდა”. ი.ნ.*
- *„სოზარ სუბარი არის ჩვეულებრივი მატყუარა“. ი.ნ.*
- *„სასჯელაღსრულების სამინისტრო უუნარო“. ი.ნ.*

- *„თავხედობს ჭიკაიძე, მაგრამ არ მგონია, მას ეს გაეგზედა“. ი.ნ.*

ნ.ბ.-ს მიერ გამოყენებულ ფასეულობებს შორის უფრო კონკრეტული ტიპის არგუმენტები იქცევს ყურადღებას: „მოქალაქე“, „რუსეთი“, „საქართველო“, „დედა“, „ოჯახი“, „პარტია“, „საკუთრების უფლება“, „გენდერი“, „ქალები“. ასევე ვხვდებით, აბსტრაქტული ფასეულობების მქონე მაგალითებს: „უთანასწორობა“, „ნიჭიერება“, „ეკონომიკური აღიარება“, „სოციალური აღიარება“, თუმცა თ.წ.-სა და ი.ნ.-გან განსხვავებით ნ.ბ.-თან ნაკლებია აბსტრაქტული ფასეულობების გამოყენების შემთხვევები:

- *„უხერხულობა იცით რა არის? ჩვენი მთავრობა სამი დღის განმავლობაში „ტროლებს“ რომ ამუშავებდა და ისტერიკა იყო გამართული იმაზე, რომ ვიღაცას შეუძლია და გამბედაობა აქვს, ელაპარაკოს პრობლემების მქონე მეორე მხარეს. როცა უუნარო ხელისუფლება გვყავს და კაცი რომ ვიყო ცოტა სხვანაირი ტერმინოლოგიის გამოყენება ჩემს ხასიათში შედიოდეს, ვიტყოდი რა ჰქვია ამ ხელისუფლებას. აი, ეს არის უხერხულობა, როცა ასეთი ხელისუფლება გვყავს“. ნ.ბ.*
- *„ეს იყო მაჩვენებელი იმისა, რომ ქვეყანა ქვეყანა აღარ არის, ბიძინა ივანიშვილი სახელმწიფოდ საქართველოს არ თვლის, ის მას უყურებს როგორც კერძო კომპანიას. ლაპარაკობდა როგორც ბიზნესმენი, რომელიც საუბრობდა, რომ ამას იყიდის, იმას გაყიდის, ამის ფულს გადაიხდის, იმას დათმობს, ეს არ არის პოლიტიკური კრიტერიუმებით საუბარი, სამარცხვინო იყო, როდესაც ადამიანმა თავის თავზე აიღო ყველანაირი პასუხისმგებლობა 2012 წელს, ახლა ყველას გადააბრალა ის პრობლემები, რაც არსებობს ქვეყანაში, საკუთარი თავის გარდა.“. ნ.ბ.*

თ.ხ. ი.ი-ს მსგავსად, იყენებს როგორც აბსტრაქტული ტიპის („განათლება“, „სახელმწიფო“, „სინდისი“, „კმაყოფილება“, „მწუხარება“, „დამოუკიდებლობა“,

„გამჭირვალე არჩევნები“, „თავისუფალი სიტყვა“, „ბრძოლა“, „რეფორმა“), ასევე კონკრეტული ტიპის ფასეულობათა გამომხატველ სიტყვებს/ფრაზებს: („ბავშვი“, „კონსტიტუცია“, „ბაღი“, „საქართველო“, „კანონი“, „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, პროკურორი“, „დედა“, „არასამთავრობო ორგანიზაცია“):

- *„არჩილ კბილაშვილს კანონი არ დაურღვევია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, რომელსაც იყენებს უმცირესობა, უსინდისოდ წერია შავი თეთრზე რომ აი ეს გამონაკლისი, რომლის გამოყენებაც შეუძლია პროკურორს“. თ.ხ.*
- *„საქართველო არის ქვეყანა, სადაც გამოხატვის თავისუფლება არის დაცული. აქციების ჩატარების უფლება ყველას აქვს. წინა ხელისუფლების დროს კი ჰქონდათ განცდა, რომ თუ აქციას მოაწყობდნენ, მათ დაიჭერდნენ და სამშობლოს მოღალატის მუხლით გაუშვებდნენ ციხეში. კონტრაქციების ორგანიზატორებთან უფრო მექნება პრეტენზია, იმიტომ, რომ არ სჭირდება ევრაზიულ კავშირს კონტრაქცია, მიუშვან, მოითხოვოს ლენინი ოცმა კაცმა. ეს მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა“. თ.ხ.*

3.6 ავტორიტეტის არგუმენტი

პოლიტიკური დისკურსისთვის ავტორიტეტის არგუმენტი უაღრესად მნიშვნელოვანია. არგუმენტაციაში ავტორიტეტი ცვალებადი ფენომენია. ერთი და იგივე ავტორიტეტის დასახელებამ ერთი აუდიტორიის წინაშე, შეიძლება არგუმენტაცია გააძლიეროს, ხოლო მეორე აუდიტორიის წინაშე, პირიქით, არგუმენტატორისადმი მსმენელთა აზრების მიმხრობას ხელი შეუშალოს. ავტორიტეტად მეტყველმა შეიძლება გამოიყენოს კონკრეტული სახელი, მიღებული აზრი, დოქტრინა, რელიგია, ბიბლია ან ადამიანთა ესა თუ ის კატეგორია: მეცნიერი, ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი (Eemeren, 2009).

კვლევის შედეგების მიხედვით, საკვლევ დისკურსში ადგილობრივი გავლენიანი პოლიტიკოსებისა თუ საზოგადო მოღვაწეების სახელების გამოყენება შედარებით იშვიათია. ავტორიტეტულობის თვალსაზრისით, აქცენტი უფრო საერთაშორისო დემოკრატიულ ინსტიტუტებზეა გადატანილი.

გამონაკლისებად შეიძლება განვიხილოთ ბიძინა ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილი. თუმცა, თითოეული მათგანის მიმართ დამოკიდებულება ამბივალენტურია და პოზიტიურ ავტორიტეტად მათი მოხსენიება ხდება მხოლოდ საკუთარი პარტიის წარმომადგენელთა ან მხარდამჭერთა მიერ. მოწინააღმდეგეთა მხრიდან კი თითოეული მათგანი განიხილება როგორც მთავარი ნეგატიური აქტორი და პოლიტიკურ შეცდომებზე/არასწორ, ნეგატიურ პოლიტიკურ ქმედებებზე ძირითადი პასუხისმგებელი პირი.

თ.წ. ავტორიტეტის კონტექსტში ძირითად საკუთარ გუნდს მოიაზრებს, რითაც მთლიანი გუნდის იმიჯის გაძლიერებასა და ხაზგასმას ცდილობს. მისთვის დამახასიათებელია, აგრეთვე, ევროპარლამენტის, სტრასბურგის სასამართლოსა და სხვა საერთაშორისო დემოკრატიული სტრუქტურების ავტორიტეტებად მიჩნევა/მოხსენიება.

- *„მე მინდა მადლობა გადავუხადო ივანიშვილს, რადგან მან შეძლო შეუძლებელი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დასრულება, რაც საქართველოს ხალხს ეჩვენებოდა მიუღწევლად, ბიძინა ივანიშვილმა ძალების გაერთიანებით გააკეთა და ამისთვის მას ყველა ჩვენგანისგან ეკუთვნის მადლობა". თ.წ.*
- *„ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო" (სააკაშვილის მისამართით) თ.წ.*

ი.ი.-ს დისკურსში ბიძინა ივანიშვილი ფიქსირდება როგორც ავტორიტეტი, რომლის დამსახურებითაც „ქართველმა ერმა ამოისუნთქა და მიაღწია სასურველ მიზანს“.

- *„მე გულწრფელად მინდა გითხრათ: მე ვაფასებ იმას რაც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა ქართველ ხალხთან ერთად 2012 წელს. მან ბოროტი მმართველობა მოაშორა ამ ქვეყანას". ი.ი.*
- *„სააკაშვილს კი, სკაიპებით რომ დარბის საქართველოს რეგიონებში, აქედან ვეუბნები: ჩამოგიყვანთ ყურებით. ამას თუ დღევანდელი ხელისუფლება ვერ აკეთებს, სხვა ხელისუფლება მოვა საქართველოს სათავეში და ის გაგასამართლებთ". ი.ი.*

ი.ნ.-ს დისკურსში არ არის ავტორიტეტად მოხსენიებული საზოგადო მოღვაწეები ან ცნობილი პიროვნებები. პოლიტიკოსი, თ.წ.-ს მსგავსად, საკუთარი ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის დემონსტრირებას ახდენს. ი.ნ.-ს დისკურსშიც ავტორიტეტია ბიძინა ივანიშვილი, მხოლოდ ნეგატიურ ასპექტში, რომელსაც ადანაშაულებს ქვეყანაში არსებული ყველა უარყოფითი მოვლენის გამო.

- *„ეს ყველაფერი იმას ამტკიცებს, რომ ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც კარგად იცის, რომ ქართველი ხალხი სახლში გაუშვებს, ამ მეთოდებით, პოლიტიკური ოპონენტების დევნით, ცდილობს, რომ მოისუფთაოს გარემო, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეს, ჩაებღაუჭოს სკამს.“. ი.ნ.*

ნ.ბ.-ს დისკურსში პოზიტიური ავტორიტეტი კონკრეტული პიროვნება არ არის, მაგრამ ხშირად ახსენებს ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტს, როგორც ნეგატიურ ფაქტორს.

- *„ეს განცხადება არის აბსოლუტურად შედეგი იმ უგუნური პოლიტიკისა და არასახელმწიფოებრივი პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებს ბიძინა ივანიშვილი და მისი ხელისუფლება ამ წლების განმავლობაში“. ნ.ბ.*
- *„ეს არის წარმოუდგენელი რამ და კეთდება ერთადერთი მიზნით, რომ ბიძინა ივანიშვილმა აკონტროლოს ყველა და ყველაფერი. ეს არის პოლიციური სახელმწიფო, ეს საბჭოთა კავშირის სისტემაც კი არ არის, უფრო უარესია“. ნ.ბ.*
- *„საკაშვილი გახლავთ პოლიტიკური ცხოველი“. ნ.ბ.*
- *„მე პოროშენკოს ვაფრთხილებდი არ გაეკეთებინა ის რაც გააკეთა, როდესაც შეიკედლა საკაშვილი თავისი დამნაშავე თანამზრახველებით და ლამის ეროვნულ გმირად გამოაცხადა“. ნ.ბ.*

თ.ხ.-თვის ავტორიტეტი „გაეროს ადამიანთა უფლებათა კომიტეტი“, „საქართველოს კონსტიტუცია“ და „პროფესიონალიზმია“, რაც მისი პოლიტიკური განაცხადების საყრდენს წარმოადგენს.

- *„განათლება და განათლებული ადამიანი რომ ოცნების პრიორიტეტი არ არის ეს გავიგეთ, არ არის საიდუმლო. წელიწადზე მეტი განათლების მინისტრი გვყავდა, რომელიც ზღაპრის გმირებს ებრძოდა და ვერც ერთი მნიშვნელოვანი ძვრის განხორციელება ვერ გაბედა სისტემაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ დანარჩენიც ასე უნდა ვფიქრობდეთ“. თ.ხ.*
- *„მკვდრები არ დგებიან“ (იგულისხმება მიხეილ საკაშვილი) თ.ხ.*

3.7 ენობრივი მარკერები

პრაგმატიკა

საკვლევი პოლიტიკური დისკურსის ანალიზი ენობრივი მარკერების (გრამატიკული და სტილისტური ერთეულების) მიხედვით, აგრეთვე სიძულვილის ენის ინტენსიურ და მიზანმიმართულ გამოყენებას მოწმობს. ამასთან, ისინი, ხშირად, სწორედ სიძულვილის ენის ეფექტის გამაძლიერებელ საშუალებებს/ტექნიკებს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, შერჩეულ ქალ პოლიტიკოსთა დისკურსებს შორის განსხვავება არ იკვეთება.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ამერიკელმა ფილოსოფოსმა ჩარლზ მორისმა მეცნიერებაში შემოიტანა ტერმინი „პრაგმატიკა“ (Morris, 1938), რომელიც იკვლევს ენობრივი ნიშნების გამომყენებელთან დამოკიდებულებას (თევდორაძე, 2016).

ამერიკელი მკვლევრის, ჯონ ოსტინის მიხედვით, პრაგმატიკის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორია არის კონტექსტი. არსებობს კონტექსტის 2 სახე: ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური. ექსტრალინგვისტური კონტექსტი ითვალისწინებს მოლაპარაკის სოციალურ სტატუსს, მის კომპეტენციას, ვითარებას, რომელშიც გამოიყენება ენა და კონკრეტული ვითარების განმსაზღვრელი სხვადასხვა პარამეტრები. ლინგვისტური კონტექსტი კი ახორციელებს კონკრეტული გამოთქმის დეტერმინაციას ყოველივე იმის საფუძველზე, რაც უკვე ითქვა თემის შესახებ და რის თქმასაც აპირებს მოლაპარაკე გამოთქმის შემდეგ თემასთან დაკავშირებით.

ჯონ ოსტინმა მეცნიერებაში შემოიტანა „პერფორმატიული გამოთქმის“ ცნება: ენობრივი აქტივობის იმგვარი ფორმა, რომელიც გამოთქმა/მოქმედებას წარმოადგენს. მაგალითად: „ვამბობ“, „გარქმევ სახელს“, „ვაცხადებ“, „ვამტკიცებ“, „ვაფრთხილებ“, „ვგულისხმობ“, „გნიშნავ“, „ვკრძალავ“, „გპირდები“, „გიანდერძებ“ და ა. შ (Austin, 1962, pp. 4-13).

პერფორმატივი მეტყველი სუბიექტის ქმედებას გულისხმობს. ეფექტური არგუმენტაცია კი, დისკურსული საშუალებებით, მეტყველის მიერ მსმენელზე მოხდენილ გავლენად მიიჩნევა, რის საბოლოო მიზანსაც, ხშირ შემთხვევაში, მსმენელის მეტყველის სურვილისამებრ ამოქმედება წარმოადგენს.

ორივე შემთხვევაში ვერბალური რესურსებით გამოწვეულ ქმედებასთან გვაქვს საქმე. ოღონდ, პერფორმატივის შემთხვევაში, მეტყველის თქმის და ქმედების დრო ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ, როდესაც არგუმენტაციაში მეტყველის თქმა მსმენელის ქმედებას დროში წინ უსწრებს. ამასთან, პერფორმატივის შემთხვევაში მოქმედების სუბიექტი თვითონ მეტყველია, ხოლო არგუმენტაციაში - მსმენელი.

პრაგმატიკის კონტექსტში საკვლევი დისკურსები ცალკეული ასპექტების მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა, სიძულვილის ენის გამოყენება პოლიტიკოსთა საერთო მახასიათებელს წარმოადგენს:

თ.წ.-ს დისკურსი ზომიერი ინფორმაციულობით გამოირჩევა. იგი ძირითადად საკითხის ირგვლივ საუბრობს. ცდილობს, არ თქვას საჭიროზე მეტი, თავიდან აიცილოს ორაზროვნება და დისკურსში გამოკვეთოს საკითხები, რომლებიც საზოგადოებაში მისთვის პრიორიტეტულ წარმოდგენების შექმნას ემსახურება. თ.წ.-ს საუბრის ტონი მომთხოვნი, მკაცრი და ოფიციალურია. იგი სათქმელს პირდაპირ აფიქსირებს:

- *„თავი ტყუილებით გაქვთ გამოჭედილი. შაბათს დილით 10 საათზე მობრძანდით და დაგათვალიერებინებთ ლილოს საჯარო რეესტრის არქივს. შაბათს დილით მოხვალთ და გაჩვენებთ როგორ გახსენით ის, რაც მე გავხსენი.*
  -ფოტო სურათებს გაჩვენებთ.
  -არ მჭირდება ფოტოები. თქვენი დრო ჩავლილია და ნუ გაქვთ იმის იმედი, რომ დემაგოგიით იუსტიციაში დაბრუნდებით. ვერ დაბრუნდებით“. თ.წ.

- *„მინდა, კომისიის სახელით დავგმო ის განცხადებები, რასაც ტელევიზიით ვისმენთ ხოლმე, როდესაც, მაგალითად, მოწვეული სტუმრების ზოგიერთი წარმომადგენელი ტელევიზიით სხვა წარმომადგენელს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებს, უწოდებს „კლოუნს", „არასერიოზულს" და ამისათვის იყენებს სხდომისას ჩუმად გადაღებულ კადრებს და „ფეისბუქზე" მიდის ერთმანეთის გაშარჟება. ეს ფორმატი შექმნილია პარტიებისთვის და პარტიების წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ მინდა, უმორჩილესად ვთხოვო, რომ ყველანი მოიქცნენ ზრდასრული ადამიანებივით და ერთმანეთს არ მიაყენონ შეურაცხყოფა ფარულად ჩაწერილი, „ფეისბუქზე" გავრცელებული კადრებით".თ.წ.*
- *„თუ ადამიანი სინდისთან მწყრალად არ არის და თუ მადლიერების განცდა უფალმა არ წაართვა, ასეთი ადამიანები თავისით იტყვიან მადლობას, რადგან ამის დანახვა შეუძლებელია. მე მინდა დღეს სხვანაირი მადლობა ვთქვა, რადგან სამწუხაროდ, დღეს მან თქვა, რომ არ მოვალ, იმიტომ რომ მადლობის მოსმენა არ მიყვარსო. ეს მართლაც, ასეა მაგრამ მე მაინც ვუხდი მადლობას ბიძინა ივანიშვილს". თ.წ.*

ი.ი.-ის დისკურსში თემის ირგვლივ საჭიროზე მეტი ინფორმაცია და ემოცია ფიგურირებს. მისი ტექსტების ამოსავალი წერტილია ხალხის კეთილდღეობაზე აპელირება, რაც პირდაპირ კავშირშია სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან. ამიტომაც, მის დისკურსში ძირითადად ფიგურირებს სიტყვები: „სოციალურად დაუცველი", „მშიერი", „სამართლიანობა", „სიღატაკე". პოლიტიკოსი გამჭვირვალობას ქადაგებს, თავადაც საზოგადოების ყველა ფენისთვის გასაგები ენით საუბრობს და თ.წ.-ს მსგავსად ცდილობს, რაც შეიძლება, პირდაპირი გზით („შეულამაზებლად") წარმოაჩინოს საკუთარი პოზიცია, თუმცა, თ.წ-სგან განსხვავებით ი.ი.-ს დისკურსში ხშირად ფიგურირებს არაკორექტული გამონათქვამები:

- *„დაპატიჟებული არ ვიყავი, მაგრამ დემოკრატია იმას ნიშნავს, რომ მე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მაქვს უფლება მოვიდე, გავაკეთო მოხსენება, მივიღო მონაწილეობა და მოვისმინო. ეს არის თქვენი დემოკრატია? მე კონკრეტულად ბატონ ბოკერიას ვუწოდებ მატყუარას და მინდა ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების წინაშე გავაკეთო განმარტება და ავხსნა ვინ ვართ ჩვენ“. ი.ი.*
- *„მე მინდა ამ ნაციონალური მოძრაობის მანიაკებსა და სადისტებს ვუთხრა, რომ დაუსჯელი არ დარჩება ეს დანაშაული, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართულ ციხეებში. პატიმართა წამება არის ყველაზე დიდი დანაშაული ყველა საერთაშორისო კანონმდებლობით“. ი.ი.*

ი.ნ.-ს დისკურსი გამოირჩევა შემფასებლური ხასიათით. იგი ძირითადად ოპონენტების კრიტიკას მიმართავს. მისი ნათქვამი ნ.ბ.-სა და თ.წ.-ს მსგავსად, მკაცრი, ოფიციალური და მომთხოვნია. მისთვის დამახასიათებელია კონკრეტული საკითხის შესახებ საუბარი. ი.ნ.-ს დისკურსი ი.ი.-ს დისკურსისგან განსხვავებით ნაკლებად ემოციური, თუმცა თ.ხ.-ს მსგავსად, კატეგორიულია. ის ხშირად ცდილობს საკუთარი ახსნა მოუძებნოს პოლიტიკოსთა მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და გამოკვეთოს ნეგატიური მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, რისთვისაც ძირითადად იყენებს სიტყვებს: „იმიტომ მოიქცა, რომ“, „მას სურდა“, „მგონია“, „მჯერა“„მინდა ჩემი შეხედულება გაგაცნოთ“ და სხვა.

- *„როგორ მოახერხეთ, რომ შევარდნაძისა და საბჭოთა არმიის ტრადიციები დააბრუნეთ ქართულ ჯარში. ვგულისხმობ, კრწანისის სასწავლო ცენტრში მომხდარ ფაქტს, რომელიც ასევე „რუსთავი 2”-მა გამოააშკარავა, თქვენ რომ არ მოგწონთ, მათ რომ არ გაეკეთებინათ ეს, ალბათ ისევე მიაჩუმათებდით, როგორც სხვა შემთხვევაში ახერხებდით“.ი.ნ.*

- *„რაც შეეხება ვითარების საერთო შეფასებას, ეს არ არის მხოლოდ დღევანდელი დღის შედეგი. ჩვენ წლების წინ ვაფრთხილებდით ხელისუფლებას, რომ პანკისში ვითარება უკვე აღარ ექვემდებარება კონტროლს. ის სურათი რაც დღეს ჩვენ გვაქვს, ადასტურებს ჩვენს სიმართლეს, ჩვენ სამართლიან მოთხოვნებს. რესურსები გადანაწილებულია არაადეკვატურად და ჩვენი სპეცსამსახურები უთვალთვალებენ იმ ადამიანებს, ვისაც აქვს ხელისუფლებისაგან განსხვავებული პოზიცია და არა იმ ადამიანებს, ვინც საფრთხეს უქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას“. ი.ნ.*

ნ.ბ. სათქმელს მკაფიოდ აფიქსირებს. თ.წ.-ს მსგავსად ნ.ბ.-ს საუბრის ტონი ხშირ შემთხვევაში მომთხოვნი და მკაცრია. მისი დისკურსი ი.ი.-ს დისკურსისგან განსხვავებით ოფიციალური და კორექტულია. ცდილობს სხვა პოლიტიკოსთა ნათქვამი არგუმენტებით გააბათილოს. საუბრის დროს ხშირად იყენებს სინონიმებსა და მაღალფარდოვან სიტყვებს, ერთი მხრივ, საკუთარი თავის როგორც განათლებული, საქმის მცოდნე ,პიროვნების/პოლიტიკოსის მეორე მხრივ კი-ოპონენტის როგორც, გაუნათლებელი, არაკომპეტენტური, ნეგატიური პიროვნების/ფიგურის წარმოჩენის მიზნით:

- *„მე ვაცხადებ, რომ არ ვაპირებ ივანიშვილის მიერ დადგმულ ფარსში მონაწილეობის მიღებას“. ნ.ბ.*
- *სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ეს მთავრობა არც კომპეტენტურია და არც პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე“. ნ.ბ.*

თ.ხ. როგორც წესი, კატეგორიულია, ცდილობს ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენას და მის ტექსტებში, არგუმენტების ნაცვლად, ძირითადად ფიგურირებს ცინიკური გამოთქმები: „შავით თეთრზე წერია“, „დედას გეფიცები“, „ჭორაობა, რაც მოდაშია“ და ა.შ. რაც იმის მიმანიშნებელია, რომ მან (მათ), ვისაც ის ოპონირებას უწევს, ელემენტარული ჭეშმარიტება არ იციან. ეს ქვეტექსტი,

ამავდროულად, თვითონ თ.ხ.-ს კომპეტენციების ხაზგასმას ისახავს მიზნად: თ.ხ.-სთვის „შავით თეთრზე ნაწერი“ არის ის, რაც სხვებისთვის გაუგებარია, ან რაც სხვების ტექსტებსა თუ ქცევებში იგულისხმება. იგივე ფუნქცია აქვს მის ტექსტებში ხშირად გამეორებად ფრაზას: „დედას გეფიცები“, რის ქვეტექსტსაც თ.ხ.-ს კომპეტენციების აღიარება და ოპონენტის დისკრედიტაცია წარმოადგენს - იგულისხმება, რომ საკითხი თ.ხ.-სთვის იმდენად მარტივია, ხოლო ოპონენტი იმდენად არაკომპეტენტურია, რომ არგუმენტების გამოყენებას აზრი არ აქვს. მისი დისკურსი, თ.წ.-ს და ი.ნ.-ს მსგავსად, ძირითადად საკითხით შემოიფარგლება:

- *„არჩილ კბილაშვილს კანონი არ დაურღვევია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, რომელსაც იყენებს უმცირესობა, უსინდისოდ წერია შავი თეთრზე რომ აი ეს გამონაკლისი, რომლის გამოყენებაც შეუძლია პროკურორს“. თ.ხ.*
- *„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ პოლიტიკური პარტიებისადმი შეთავაზებულ დეკლარაციაში, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული პუნქტების ჩამატება მისასალმებელია, მაგრამ ამასთანავე უსინდისო საქციელია, ამას „დედას გეფიცები“ გარანტიები სჭირდება. „სამწუხაროდ საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც, რაც კანონშია გაწერილი, არასოდეს არ არის საკმარისი და ამას „დედას გეფიცები“ გარანტიები სჭირდება“.თ.ხ.*

3.8 მეტაფორა

მეტაფორა არის რიტორიკული საშუალება, რომელსაც არგუმენტების გაცვლის დროს სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. სტივ ოსვალდის მიხედვით, მეტაფორა არგუმენტის გამყარების ერთ-ერთი გზაა და მის მიზანს ადრესატის დარწმუნება წარმოადგენს (Oswald, 2013, pp. 133-159).

საკვლევ დისკურსებში მეტაფორა, როგორც საზოგადოების (აუდიტორიის/მკითხველის) ყურადღების მართვის (ყურადღების მიპყრობა, გამოფხიზლება ან/და გადატანა) და არგუმენტების გამოყენების საშუალება ინტენსიურად გამოიყენება - ამ თვალსაზრისით, პოლიტიკოსებს შორის განსხვავება არ შეინიშნება. მეტაფორა, ისევე, როგორც სხვა ენობრივი მარკერები, ხშირად სიძულვილის ენის ფორმით არის წარმოდგენილი ან/და სიძულვილის ენის გამოყენების ეფექტის გაძლიერებას ისახავს მიზნად.

გამოყენების სპეციფიკის თვალსაზრისით კი, თითოეული პოლიტიკოსის დისკურსი შემდეგნაირად შეიძლება დახასიათდეს:

თ.წ. ცოცხალი მეტაფორების გამოყენებით, ძირითადად, მსმენელის ყურადღების კონცენტრირებას ცდილობს საკუთარი ძალების მიმართ რწმენის გაძლიერებისა და ოპონენტის წინააღმდეგ მიმართვის მიზნით:

- *„დიახ, დღეს საქართველოში თავისუფლად სუნთქავენ, დიახ დღეს არ არის შეფარული დიქტატურა სახელით დემოკრატიული შუქურა, დიახ დღეს მთავრობა მუშაობს იმისთვის, რომ ბიზნესი რომელიც გათავისუფლდა წინ წავიდეს. დღეს ვერცერთი მოსამართლე ვერ იტყვის, რომ წულუკიანმა დაურეკა, დაარეკინა და შეაშინა. ეს იმიტომ კია არა, რომ იქ მამაკაცები სხედან და ქალი მინისტრის არ ეშინიათ. არა ესენი არიან მშიშარა ხალხი, რომლებიც იყვნენ დაშინებულები“. თ.წ.*

- *„ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგია ასეთია: ამ ქვეყანაზე ჩვენს გარეშე ქვა ქვაზე არ უნდა იყოს. უნდა დავხატოთ აპოკალიფსი, უნდა დავხატოთ უბედურება და ხალხს ვაფიქრებინოთ, რომ ქვეყანა იქცევა“. თ.წ.*
- *„კუბლაშვილი ახლა გახდა მამაცი, ადეიშვილის დროს მისი ხმა არ გამიგია, მაგრამ ამ ფსევდო სიმამაცეს წერტილი დაესმება თებერვლის ბოლოს“. თ.წ.*
- *„არა მგონია, ისეთმა ოდიოზურმა ფიგურამ, როგორიც ზურაბ ადეიშვილია, უკრაინის მომავალი შექმნას“. თ.წ.*

ი.ი.-ს დისკურსში ჭარბობს მძაფრი ხასიათის მეტაფორის გამოყენების შემთხვევები. მეტაფორის გამოყენება სიტუაციის სიმძაფრეზე ხაზგასმას ემსახურება:

- *„მათი აგრესია იმან გამოიწვია, რომ მე ვარ ერთ-ერთი ვინც დაამხო მათი რეჟიმი. და ჯერ სად არიან. ბოლო ლურსმანი მე უნდა დავაჭედო თქვენს კუბოს. თქვე ნაბიჭვრებო მართლა“. ი.ი.*
- *„ქართული ოცნების სხვა მინისტრების მსგავსად სპეციალისტი ცდილობს ადამიანებს თვალებში ნაცარი შეაყაროს“ . ი.ი.*

ი.ნ. მეტაფორებს ძირითადად ოპონენტთა ქცევაზე, მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებზე ყურადღების გადატანის მიზნით იყენებს:

- *„თქვენი კომიტეტის უპატივცემულობაა ქალბატონო სოფო, როდესაც ასეთი ცარიელი ფურცლებით მოდიხართ აქ და ტრიბუნიდან გვესაუბრებით ისე, რომ საერთოდ არაფერს ამბობთ პრობლემურ საკითხებზე. ამ პარლამენტში თქვენ გარდა, ყველა მიხვდა, რომ 9 წლის ძახილით არ უნდა გახვიდეთ ფონს. თქვენ, კომიტეტის ძალიან ცუდი თავმჯდომარე ხართ“. ი.ნ.*
- *„ბიძინა ივანიშვილის ჭარბი ნდობა და მისი რესურსი დასული არის, თითქმის, ნულზე. არავის აღარ სჯერა ამ ადამიანის. საკუთარ უმრავლესობაშიც კი, მე მგონი, მან თავისი რეიტინგი და თავისი ჭარბი ნდობა უბრალოდ დაკარგა“. ი.ნ.*

ნ.ბ.-სთან მეტაფორების ძირითად ფუნქციას მისი საკუთარი პოზიტიური იმიჯის შექმნა წარმოადგენს:

- *„ეს არის რა თქმა უნდა ძალიან სერიოზული გზავნილი სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან. მე ვთქვი, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის კონგრესმენების სენატის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებები არის უკვე წითელი შუქი ხელისუფლებისადმი ჩართული, წამზომი ჩართულია. თუ ხელისუფლება ამას ვერ გაიგებს და არჩევნებამდე ამ გზით მივა და არჩევნებზე ამას ყველაფერს არ გაითვალისწინებს, წამზომზე მიმაგრებული დეტონატორი აუცილებლად აფეთქდება“. ნ.ბ.*

თ.ხ. მეტაფორების მეშვეობით, უმთავრესად, საკუთარი თავდაჯერებულობის ხაზგასმას ცდილობს:

- *„ეს მუდმივად აჭერდებს ლურსმანს იმ პოლიტიკურ კუბოზე, რომელიც პირველ ოქტომბერს მას ქართველმა ხალხმა აჩუქა“. თ.ხ.*
- *„უარი ვუთხრათ „ფულის ტომრებს“ პოლიტიკაში“. თ.ხ.*

3.9 პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები

პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები პოლიტიკურ დისკურსში აქტიურად გამოიყენება. პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები ავლენს „პარალელური სტრუქტურის ეფექტს“ / „პარალელურ გავლენას“, რაც მომხსენებლის მიერ გარკვეული ფრაზის, სიტყვის რამდენჯერმე გამეორების შედეგად, მსმენელზე ეფექტის გაძლიერებას გულისხმობს. რაც უფრო ხშირად მეორდება ფრაზა და ესმის აუდიტორიას, მით უკეთ ხდება მისი აღქმა, დამახსოვრება და დაჯერება (frazier, 1984, pp. 421-430).

ქართველი პოლიტიკოსი ქალებიც ხშირად მიმართავენ ამგვარ ტექნიკას, ამასთან, მისი გამოყენება ხშირად დეიქტიკურ სიტყვებზე, სახელდობრ, პირის ნაცვალსახელებზე არის დაფუძნებული (Уфимцева, 1974). უფრო ხშირად კი გარკვეულ სიტყვებთან პირველი პირის კუთვნილებით ნაცვალსახელს იყენებენ, რაც მათთვის ოპონენტის მიმართ დაპირისპირებისა და სიძულვილის ენის გამოყენების და/ან გაძლიერების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

თ.წ.-სთვის დამახასიათებელია კონსტრუქციებში „თუ“ კავშირისა და კითხვით ფორმების გამეორება საკუთარი პოლიტიკური ძალის უპირატესობის ხაზგასმის მიზნით. მის დისკურსში ხშირად მეორდება სიტყვები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სურს აზრი გააძლიეროს და ნათქვამი საზოგადოებისათვის მაქსიმალურად მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი გახადოს. პოლიტიკოსი ხშირად იმეორებს პირველი და მეორე პირის როგორც მხოლობით, ასევე მრავლობით პირის ნაცვალსახელებს „მე“, „ჩემი“, „თქვენ“. ძალიან იშვიათად და თითქმის არ იყენებს მესამე პირის ნაცვალსახელს. აღსანიშნავია, რომ თ.წ. პირის ნაცვალსახელს „მე“ ხშირად დემონსტრაციულად იყენებს, რის საშუალებითაც ცდილობს საკუთარი თავის წარმოჩენას, პიროვნულობის ხაზგასმასა და მოსაზრების დაფიქსირებას. „მე”-თი გადმოსცემს მის პოლიტიკურ ხედვებს. როდესაც პოლიტიკოსი იყენებს ნაცვალსახელს „ჩვენ“, გულისხმობს საკუთარ პოლიტიკურ გუნდს:

- *„ისინი არიან სუსტი ოპონენტები, სუსტი ქალები. სუსტ ქალებს არ ვეკამათები“. თ.წ.*
- *„ბატონ პეტრეს მინდა ვუთხრა, რომ თუ კი მას სახელმწიფოებრივ აზროვნებად ის ეჩვენება, რომ შევარდნაძის დროინდელი დეპუტატია და იქიდან მოყოლებული პარლამენტში წამოწოლილა ისიც ეზარება პულტს ხელი დააჭიროს და სხვა დეპუტატებს აიძულებს მის მაგივრად მისცეს კანონპროექტებს ხმა, ეს აღარ განმეორდება. მართლაც გეთანხმებით რომ წარსული დამთავრდა. ჩვენ ის ძალა ვართ, რომელიც ახალი ძალაა, რომელიც სწორ გზაზე დააყენებს ჩვენი ქვეყნის განვითარებას“.* თ.წ.
- *„მე როცა წიგნს ვკითხულობდი თქვენ ძველბიჭობდით პლეხანოვზე, ეს არ არის ჩემი სტილი, მე ასევე გისამძიმრეთ იმას, რომ სანდრო გირგვლიანის მეგობარი ზიხართ იქ, სადაც ზიხართ, ოთო კახიძის გვერდით, გისამძიმრებთ იმედია დროებით მორალურ კრახს.“ თ.წ.*
- *„მე არ მაქვს იმის უფლება და ფუფუნება, რომ მონაწილეობა მივიღო ფსიქოზში, რომელშიც ხალხი ვინც ჩემ გადაგდომას ითხოვს, მონაწილეობს, იმიტომ, რომ მე მაქვს პასუხისმგებლობები. ხანდახან ეს პასუხისმგებლობები არის მძიმე ან ძალიან მძიმე, მაგრამ მე მას ვზიდავ და რაც მთავარია, ვამბობ სიმართლეს, რადან ვხედავდი და ვხედავ, როგორ მიმდინარეობს გამოძიება“. თ.წ.*
- *„ის ბრიფინგი რომელიც ალასანიამ შარშან, ნოემბრის თვეში ჩაატარა იყო სხვა არაფერი თუ არა დიდი სისულელე და მე ამ სიტყვის არ მომერიდება“. თ.წ.*

ი.ი. პარალელური სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებით ცდილობს ოპონენტთა კრიტიკასა და დადანაშაულებას. პოლიტიკოსი ხშირად იყენებს და იმეორებს პირველი პირის მხოლობით ნაცვალსახელს „მე“. როდესაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაზეა საუბარი, იგი ძირითადად

მიმართავს პირველი პირის მრავლობით ფორმას „ჩვენ“, რითაც მისი პარტიისადმი მიკუთვნებულობა გამოდის წინა პლანზე:

- *„ხელი გამიშვი კაცო, გირგვლიანი რომ მოკლეს სად იყავით? სად იყავით? აქ მოდით, ერთი რისი თავი გაქვთ მანახეთ?! მოდი აქა, აქ ვდგევარ, მოდით. არსად არ მივდივარ მე. აი აქ ვდგავარ. თქვენი დედა ... არა არსად არ მივდივარ“. ი.ი.*
- *„თავს ნუ იგდებთ უხერხულ მდგომარეობაში, ჩვენ ერთადერთი პოლიტიკური, საპარლამენტო ძალა ვართ ქვეყანაში, რომელიც ბოკერია-სააკაშვილიზმს ებრძვის... ხოლო ვინ ეხუტება ბოკერიას, ამისი დანახვა ძნელი არაა. ამ შეთქმულების მონაწილეებიც დაისჯებიან, დრო მოვა, ჩვენ არ დავუთმობთ ჩვენს ქვეყანას ბოკერიებს“. ი.ი.*
- *„ჩვენ რომ მოვალთ ხელისუფლებაში ყველა დაისჯებით – წინა რეჟიმის წარმომადგენლებიც და დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც, რომლებიც ხელს აფარებთ იმ წინა დამნაშავეებს“. ი.ი.*

ი.ნ. ხშირად იყენებს პირველი პირის ნაცვალსახელის მხოლობით და მრავლობით ფორმებს („მე“, „ჩვენ“), აგრეთვე, მეორე პირის ნაცვალსახელის მრავლობით ფორმას („თქვენ“). პირველი პირის ნაცვალსახელის მხოლობითი ფორმის („მე“) გამოყენებით, იგი საკუთარი თავდაჯერებულობისა და პოზიციის სიმტკიცის ხაზგასმას ცდილობს, ხოლო პირველი პირის მრავლობითი ფორმის ნაცვალსახელის („ჩვენ“) გამოყენებით, საკუთარი პარტიის/გუნდის შეკრულობისა და ერთსულოვნების დემონსტრირებას ახდენს.

მეორე პირის ნაცვალსახელის მრავლობით ფორმას („თქვენ“) ი.ნ. ძირითადად უარყოფით კონტექსტში იყენებს და მისი მეშვეობით მასსა და ოპონენტს შორის არსებული დისტანციის, დაპირისპირების, მაქსიმალური სიმძაფრით გამოხატვას ისახავს მიზნად:.

- *„ამ მთავრობის უბედურება ის არის, რომ ჯერ აკეთებენ რაღაცას და შემდეგ იწყებენ ფიქრს, რა შეიძლება მოყვეს მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. ჩვენი რჩევაა, რომ ჯერ იფიქრონ და მერე გააკეთონ საქმე“. ი.ნ.*
- *„თქვენი კომიტეტის უპატივცემულობაა ქალბატონო სოფო, როდესაც ასეთი ცარიელი ფურცლებით მოდიხართ აქ და ტრიბუნიდან გვესაუბრებით ისე, რომ საერთოდ არაფერს ამბობთ პრობლემურ საკითხებზე“. ი.ნ.*
- *„მე სერიოზულად არ აღვიქვამ დიმიტრი გაბუნიას განცხადებებს. მე ვალდებული ვიყავი, ინფორმაცია, რომელიც მქონდა, თქვენთვის გამემხილა და პროკურატურისთვის მიმეწოდებინა. რამდენად არის გაბუნია გარეული იმ კორუფციულ თუ სხვა ტიპის სქემებში, რომლის შედეგადაც მოხდა ეს შეწყალება, ეს პროკურატურამ უნდა დაადგინოს, ეს მე არ ვიცი. ის, რაც მე ვიცი 100%-ით არის ის, რომ საქართველოს უზნეო პრეზიდენტი ჰყავს და ამ უზნეო პრეზიდენტთან მუშაობს გაბუნია”. ი.ნ.*

ნ.ბ. წინა პლანზე საკუთარ მოსაზრებას აყენებს და ხშირად აფიქსირებს, რომ მოსაზრება პირადად მას ეკუთვნის. მის დისკურსში ძირითადად პირველი პირის ნაცვალსახელი „მე“ ფიგურირებს: „მე მიმაჩნია“, „მე არ მგონია“, „მე ვლაპარაკობდი“, „მე ვთვლი“, „მე ვიტყოდი“, „მე ვეთანხმები“. მის ტექსტებში ნათლად იკვეთება საკუთარი თავის როგორც პარტიის ძლიერი ლიდერისა და თავდაჯერებული პოლიტიკოსის წარმოჩენის მცდელობა:

- *„მე არ მგონია, რომ დღეს მარგველაშვილი იყოს ის ფიგურა, რომელიც შეძლებს საზოგადოების კონსოლიდაციას. ჩვენ უკვე ვნახეთ ის რამდენად უსუსური იყო, როგორც პრეზიდენტი. როდესაც ვლაპარაკობთ, რომ ქვეყანა ინგრევა და საფრთხის წინაშე ვდგავართ, არ შეიძლება ქვეყნის მთავარსარდალი იყოს ადამიანი, რომელმაც ვერ შეძლო ვერც ერთ*

პრინციპულ საკითხში შეწინააღმდეგებოდა ერთ თავგასულ მილიარდელს, თუ რა თქმა უნდა, სასახლეში დარჩენის საკითხს არ ჩავთვლით“. ნ.ბ.

- *„მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე ამას ვთვლი საქართველოს მოსახლეობის და ქართველი ერის შეურაცხყოფად იმიტომ, რომ არავის, არასდროს არ უკადრია ეს. მე ურთიერთობებს რუსეთთან, რუსეთის ხელისუფლებასთან და დეპუტატებთან გავაგრძელებ იმისათვის, რომ ნაწილობრივ მაინც შერბილდეს ის პირდაპირი ღალატი, რასაც ახორციელებენ ის ადამიანები, ვინც ვითომ ვაი პატრიოტიზმისა და ურა პატრიოტიზმის ლოზუნგებით აკეთებენ იმას“. ნ.ბ.*

თ.ხ. ერიდება პირველი პირის ნაცვალსახელების („მე“, „ჩვენ“) გამოყენებას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საკუთარ აზრს იგი ხშირად აფიქსირებს ნებისმიერ მოვლენასთან დაკავშირებით და ამ დროს ისეთ სიტყვებს იყენებს, რომლებიც „მე“-ს ლატენტურად შეიცავს: „მგონია“, „გარწმუნებთ“, „შევახსენე“, „ვიბრძოდი“, „დარწმუნებული ვარ“, „იმედი მაქვს“, „ვფიქრობ“, „მივესალმები“, „არ ვიცნობ“ და ა.შ, რაც იმის მიუხედავად რომ ერთი შეხედვით საკუთარ თავს არ ახსენებს, სიძულვილის ენის გამოყენებისას მასსა და ოპონენტებს შორის დისტანცირების განცდას ამძაფრებს და მის დადებით კონტექსტში წარმოჩენას უწყობს ხელს:

- *„მერიის წარმომადგენლები ძალიან მაგრად გაიჭედნენ, მათ შორის საბიუჯეტო პარამეტრებშიც“. თ.ხ.*
- *„არსებობენ ბინძური ადამიანები – ასეთებით სავსეა ფბ, კოტე იოსელიანიც მათ რიგებში ამაყად ჩაეწერა; თ.ხ.*
- *„ყველა სიტყვა, რომელიც ღარიბაშვილისგან მოვისმინეთ, იყო უბრალოდ წყალი. კურიოზულია მისი განცხადება სამხედრო თვითმფრინავების*

წარმოების შესახებ, არასერიოზულობის გამო. ვფიქრობ, ღარიბაშვილი არ არის ამ თანამდებობის შესაფერისი“. თ.ხ.

3.10 სიძულვილის ენის გამოყენება პოლიტიკურ დისკურსში - ზოგადი მიგნებები

დისკურსის ანალიზის შედეგების მიხედვით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ქალთა მიერ პოლიტიკაში თვითდამკვიდრებისა და კარიერული წინსვლის მიზნით გამოყენებული საშუალებები არ გამოირჩევა კონსტრუქციულობით, თავშეკავებულობითა თუ შემწყნარებლობით. სიძულვილის ენის გამოყენება მათთვის პოლიტიკური მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი, საშუალებაა და არა ემოციურ ფონზე სიტუაციურად, შემთხვევითად პროვოცირებული აქტი. შესაბამისად, მათ მიერ სიძულვილის ენის გამოყენება პრაგმატული მოსაზრებებით, მიზანმიმართულად, ამასთან ინტენსიურად ხორციელდება და მათი პოლიტიკური დისკურსის ერთ-ერთ მთავარ ღერძს წარმოადგენს.

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ქალი პოლიტიკოსები, პოლიტიკური ოპონირების, საკუთარი პოზიციის დაცვისა და წარმოჩენისას უფრო მოწინააღმდეგის დევალვაციაზე არიან ორიენტირებულნი, ვიდრე - საკუთარ მიღწევებზე. შესაბამისად, მათი როგორც ტექსტი, ისე - კონტექსტი, ხშირად არის ფოკუსირებული ოპონენტის მიერ წარსულში დაშვებულ პოლიტიკურ ან პოლიტიზებული ხასიათის შეცდომების შეხსენებასა და ამ შეცდომებიდან გამომდინარე ბრალდებებზე. საკვლევ პოლიტიკურ დისკურსში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უარყოფით კონტექსტში გამოყენებულ სიტყვა „წარსულს“ :

- *„დასანანია, რომ არხის, კერძო კომპანიის, რუსთავი 2-ის ხელმძღვანელს აქვს იმის ამბიცია, რომ თავი გაასაღოს საზოგადოებაში, თითქოს დამოუკიდებელია, მაშინ როდესაც ის თავად იყო ნაციონალური მოძრაობის იუსტიციის მინისტრი, განათლების მინისტრი, პროკურორი, გენპროკურორის მოადგილე და რეალურად მას ჰგონია,*

რომ წარსული გრძელდება, როდესაც მის კაბინეტში, ადეიშვილის კაბინეტში სასამართლო გადაწყვეტილებები იწერებოდა. ეს ეპოქა დასრულდა სამი წლის წინ, როდესაც ჩემი უფლებამოსილებები საპროკურორო დავუბრუნე პროკურორს, პროკურატურას, როდესაც მოსამართლეები გავათავისუფლე იუსტიციის სამინისტროსგან“. თ.წ.

- *„დავივიწყოთ წარსული კი არა, ყველა იქნებით მხილებულნი ქართველი ერის წინააღმდეგ დაგეგმილ შეთქმულებაში, თქვე სულგაყიდულებო, ჯერ ამაზე მეტს არ დავწერ“. ი.ი.*

- *„როგორი არაადეკვატურიც არის ის, რომ ჩვენ დღეს აქ ვხედავთ თეა წულუკიანს, წარმოდგენილს, როგორც იუსტიციის მინისტრობისას, ასეთივე არაადეკვატური გამოსვლა ჰქონდა ქალბატონ თეას. თქვენ ჩააფლავეთ მთლიანად სასამართლო რეფორმა. ამ კითხვებზე უნდა გვესაუბროთ ჩემი აზრით და არა ისევ ბოღმა ანთხიოთ როგორც ამას აკეთებთ წლების განმავლობაში. გამოდით, ნუ ხართ ჩარჩენილი წარსულში და ნუ ცდილობთ ახლა ბიძინა ივანიშვილისთვის თავის მოწონებას ამ ტრიბუნიდან, რომ რამენაირად თანამდებობა შეინარჩუნოთ. უხერხულია, აქ რომ ზიხართ, როცა მთელი არასამთავრობო სექტორი აცხადებს, რომ თქვენთან საუბარი არ უნდა“. ი.ნ.*

- *„საქართველო პანიკური და მანიაკალური შიშით შეპყრობილი პიროვნების მიერ იმართება, რომელმაც მკაფიო არჩევანი გააკეთა - ქვეყანა წარსულის ნაგვის ქექვით აცხოვროს. თქვენი ყელმოღერებული პრემიერი ორი წლის წინ გვაბრალებდა ცხრა თვის ბავშვის მკვლელობას და ახლა ადამიანის გატაცების მცდელობას გვაბრალებს. ეს არის უპასუხისმგებლო და უთავმოყვარეო ადამიანის განცხადება, რომელსაც ხელში ძალაუფლება შემთხვევით ჩაუვარდა“. ი.ნ.*

- *„მე არ მახსოვს იგივე ტიპის განცხადებები, თავდაცვის ყოფილი მინისტრის მხრიდან, მაშინ, როდესაც თავდაცვის მინისტრად ირაკლი ალასანია დაინიშნა. არც ის იყო მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოებიდან მოსული პირი. ალასანია უშიშროების სამსახურის თანამშრომელი გახლდათ - მინისტრის მოადგილე იყო, ასე რომ სპეცსამსახურის წარმომადგენელი იყო. თუმცა, როდესაც ალასანიას დანიშვნა აწყობდათ ხიდაშელს და რესპუბლიკელებს, მაშინ მათ ალასანიას წარსული არ გახსენებიათ. ეს გასაგებია, ე.წ. პროამერიკული ლობი, თავის თავს და ერთმანეთს ყველაფერს პატიობენ და ყველაფერს ათეთრებენ, მაგრამ მათი წრის მიღმა მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ კრიტიკულად გამოდიან. თან ცდილობენ, ეს კრიტიკა რაღაც ფასეულობებთან დააკავშირონ“. ნ.ბ.*
- *„ვინც დღევანდელ ვანდალიზმს წარსული დროის ვანდალიზმზე პასუხით ამართლებს, ჩვენი ქვეყნის პროგრესს და განვითარებას უშლის ხელს“. თ.ხ.*
- *„ჯამი ჭურჭელია. 1. მიშა ვერ ამარცხებს ოცნებას; 2. ვერც წარსული ერევა მომავალს; 3. ბიძინას გამარჯვება-დამარცხების გასაღები მიშას უჭირავს ხელში. თუკი მოიკლავს წარსულ დღეებსა და დიდებაზე დარდს, ბედს შეეგუება და გვერდზე გაიჩევს ოცნების პოლიტიკური დასასრული გარდაუვალია“. თ.ხ.*
- *„ყოვლად უვარგის, წარსულში ჩარჩენილ განათლების სისტემაში სინათლე თუ გამოჩნდება პირველი მივესალმები!“ თ.ხ.*

ოპონენტის დისკრედიტაციას ისინი იყენებენ როგორც საშუალებას იმისათვის, რომ შეიქმნან „უსამართლობის“, „ბოროტების“ და/ან სხვა სოციალურად მიუღებელი მოვლენებისა თუ ნეგატიური პიროვნებების წინააღმდეგ მებრძოლი პოლიტიკოსის პოზიტიური იმიჯი. ამ პროცესში ისინი ინტენსიურად იყენებენ

სიძულვილის ენას. მათი გამოთქმები ხშირად საკმაოდ აგრესიული, უხეში და შეურაცხმყოფელია, რაც არსებული სტერეოტიპების საპირისპიროდ, კონფლიქტის ესკალაციას უკავშირდება: ისინი არ ცდილობენ სიტუაციის განმუხტვას, პირიქით, მკვეთრ აქცენტებს აკეთებენ პოლიტიკური ოპონენტების სისუსტეებზე და დარტყმის ქვეშ აყენებენ მათ ღირსებას. ამასთან, ოპონენტების მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების თვალსაზრისით, საკვლევ დისკურსებს შორის, ასაკის, პარტიული კუთვნილებისა თუ რაიმე სხვა ნიშნის მიხედვით განსხვავება არ იკვეთება:

- *„მე როცა წიგნს ვკითხულობდი თქვენ ძველბიჭობდით პლეხანოვზე, ეს არ არის ჩემი სტილი, მე ასევე გისამძიმრეთ იმას, რომ სანდრო გირგვლიანის მეგობარი ზიხართ იქ, სადაც ზიხართ, ოთო კახიძის გვერდით, გისამძიმრებთ იმედია დროებით მორალურ კრახს“. თ.წ.*
- *„ხომ ეს გინდოდათ, თქვე სადისტებო, იმდენად ჩლუნგები ხართ, რომ ვერ ხვდებით: ვერავის დაავიწყებთ და არავის დაავიწყდება, რომ ხართ ადამიანის მწამებლები, გამაუპატიურებლები და მკვლელები“. ი.ი.*
- *„მღებრიშვილი არის ჩვეულებრივი „მაოხრებელი მკვდარი“. ი.ნ.*
- *„მე არ მგონია, რომ დღეს მარგველაშვილი იყოს ის ფიგურა, რომელიც შეძლებს საზოგადოების კონსოლიდაციას. ჩვენ უკვე ვნახეთ ის რამდენად უსუსური იყო, როგორც პრეზიდენტი. როდესაც ვლაპარაკობთ, რომ ქვეყანა ინგრევა და საფრთხის წინაშე ვდგავართ, არ შეიძლება ქვეყნის მთავარსარდალი იყოს ადამიანი, რომელმაც ვერ შეძლო ვერც ერთ პრინციპულ საკითხში შეწინააღმდეგებოდა ერთ თავგასულ მილიარდელს, თუ რა თქმა უნდა, სასახლეში დანარჩენის საკითხს არ ჩავთვლით“. ნ.ბ.*
- *„სამწუხაროდ, ეს ხელისუფლება აღმოჩნდა უპრეცედენტოდ წარმოუდგენლად ერთის მხრივ პრიმიტიული და მეორეს მხრივ ბინძური საკუთარ ოპონენტებთან ბრძოლაში. და მგონია, რომ ძალიან მარტივი*

მიზეზი აქვს ამას. როდესაც არ გყოფნის არც ინტელექტი, არც პატიოსნება, არც პროფესიონალიზმი, არც კვალიფიკაცია შემდეგ ხდები აი ასეთი პრიმიტიული“. თ.ხ.

4 თავი - რაოდენობრივი კვლევა

4.1 საზოგადოების დამოკიდებულება პოლიტიკაში სიძულვილის ენის გამოყენებისა და მისი შედეგების მიმართ - თბილისის მაგალითი

პოლიტიკაში სიძულვილის ენის გამოყენებისა და მისი შედეგების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების გაანალიზების მიზნით, ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა.

კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა:

- სიძულვილის ენის გამოყენების სიხშირეთა გამოვლენა პოლიტიკაში, მასმედიასა და თბილისის მოსახლეობაში;
- ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებადი სიძულვილის ენის ფორმების იდენტიფიციკაცია;
- პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების რანჟირება მათ მიერ სიძულვილის ენის გამოყენების ნიშნით;
- პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების მათ მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების ნიშნით;
- პოლიტიკაში სიძულვილის ენის გამოყენების შედეგების გამოვლენა და შეფასება;
- საზოგადოების დამოკიდებულების იდენტიფიკაცია სიძულვილის ენის გამოყენების მიმართ - შეფასება, ემოცია, პრეფერენციები.

გამოკითხვის მეთოდი: პირისპირ ინტერვიუ;

კვლევის ინსტრუმენტი: სტრუქტურირებული კითხვარი დახურული და ნახევრადღია კითხვებით.

ინტერვიუს ხანგრძლივობა: 25-30 წუთი.

მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი: მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი განხორციელდება პროგრამა SPSS-ში (23-ე ვერსია).

საველე სამუშაოების ხანგრძლივობა: 24 კალენდარული დღე.

- შეწონვისა და შერჩევის აღწერა:
- სამიზნე ჯგუფი: თბილისის ყველა სრულწლოვანი მოქალაქე (18+).
- შერჩევის ჩარჩო: 2014 წლის მოსახლეობის აღწერის ბაზა. ბაზა შეიცავს თბილისში არსებული ყველა შინამეურნეობას. ბაზაში მითითებულია შინამეურნეობათა ადგილმდებარეობა, მისამართი და სააღწერო უბნები.
- შერჩევის ტიპი: სტრატიფიცირებული, სტრატაში კლასტერული. სტრატებს წარმოადგენს თბილისი რაიონები. ხოლო შერჩევის კლასტერებს წარმოადგენს სააღწერო უბნები.
- შერჩევის აღწერა:
- შერჩევის პირველ ეტაპზე - განისაზღვრა გამოსაკითხ რესპონდენტთა რაოდენობა. ცდომილების სიმცირის უზრუნველსაყოფად შერჩევის ზომად განისაზღვრა 1000 რესპონდენტი.
- შერჩევის მეორე ეტაპზე განხორციელდა პროპორციული გადანაწილება თბილისის რაიონების მიხედვით. უბანში გამოსაკითხი რესპონდენტების რაოდენობად ავიღეთ 5 რესპონდენტი, რაც უზრუნველყოფს კლასტერული შერჩევის „დიზაინ ეფექტის“ - მცირე მნიშვნელობას.

ცხრილი 1

	პროცენტული განაწილება	გამოსაკითხი რესპონდენტების რაოდენობა	უბანში გამოსაკითხი რესპონდენტები	გამოსაკითხი უბნების რაოდენობა
მთაწმინდა	4.42%	45	5	9
ვაკე	9.17%	90	5	18
საბურთალო	12.47%	125	5	25
კრწანისი	4.15%	40	5	8
ისანი	11.36%	115	5	23
სამგორი	16.17%	165	5	33
ჩუღურეთი	6.69%	65	5	13

დიდუბე	6.53%	65	5	13
ნაძალადევი	13.58%	135	5	27
გლდანი	15.46%	155	5	31
	100.00%	1000		200

- **მესამე ეტაპზე** შერჩევის ჩარჩოდან თითოეულ სტრატაში მოხდა უბნების შერჩევა **სისტემური შემთხვევითი შერჩევის** გამოყენებით. უბნების შერჩევისას გამოყენებულ იქნა **PPS** - მეთოდი. სტრატაში შესარჩევი უბნების რაოდენობა განისაზღვრა **ცხრილი 1 -ის მიხედვით.**
- **მეოთხე ეტაპზე** თითოეულ უბანში **სისტემური შემთხვევითი შერჩევის** გამოყენებით შერჩეულ იქნა **საწყისი წერტილი (ერთი მისამართი)**. ინტერვიუერი ამ მისამართიდან იწყებდა გამოკითხვას, შემდეგ სამიზნე მისამართს წარმოადგენდა ბიჯით მეხუთე მისამართი.
- **შერჩევის მეხუთე ეტაპზე** შერჩეულ მისამართზე - შინამეურნეობაში ხორციელდებოდა რესპონდენტის შერჩევა უახლოესი დაბადების დღის მიხედვით.

შეწონვის მექანიზმი:

ბაზის შეწონვა: შეწონვის მექანიზმი დამოკიდებულია შერჩევის ეტაპებზე:

შეწონვის პირველი ეტაპი: - უბნის შერჩევა:

$\boldsymbol{N}$ **— შინამეურნეობების რაოდენობა სტრატაში**

$\boldsymbol{N_i}$ **— შინამეურნეობების რაოდენობა i - უბანში**

$\boldsymbol{k}$ **— შესარჩევი უბნების რაოდენობა.**

უბნის შერჩევაში მოხვედრის ალბათობა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\boldsymbol{P_i} = \boldsymbol{k}\frac{\boldsymbol{N_i}}{\boldsymbol{N}} \qquad (1)$$

შეწონვის მეორე ეტაპი: - უბანში შინამეურნეობის შერჩევა:

$\boldsymbol{N_i}$ **— შინამეურნეობების რაოდენობა i - უბანში**

$\boldsymbol{n_i}$ **– გამოკითხული შინამეურნეობების რაოდენობა i - უბანში**

i - უბანში k - შინამეურნეობის ალბათობა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$P(k|i) = \frac{n_i}{N_i} \qquad (2)$$

(1) და (2) ფორმულის თანახმად გვექნება:

$$P_{i,k} = P_i \times P(k|i) = \left(k\frac{N_i}{N}\right) \times \left(\frac{n_i}{N_i}\right) = \frac{kn_i}{N} \Rightarrow Weight_i = \frac{N}{kn_i} \qquad (3)$$

1. შეწონვის **მესამე ეტაპი: - უბნში შერჩეულ შინამეურნეობაში რესპონდენტის შერჩევა:**

L_{ik} - სამიზნე წევრების რაოდენობა **(ik)** - შინამეურნეობაში.

ალბათობა იმისა, რომ ჩვენთვის საჭირო რესპონდენტი მოხვდეს შერჩევაში **(ik)** შინამეურნეობიდან გამოითვლება ფორმულით:

$$P(l|ik) = \frac{1}{L_{ik}} \qquad (4)$$

შემოვიღოთ გასაშუალოებული მახასიათებლები უბნისათვის:

$$L_i = \sum_{k=1}^{n_i} L_{ik} \Rightarrow P(l|ik) = \frac{1}{L_{ik}} \approx \frac{n_i}{L_i} \Rightarrow P(l|ik) = \frac{1}{\bar{L}_i} \qquad (5)$$

(4) და (5) ფორმულის გამოყენებით გვექნება:

$$P_{ikl} = P_{ik} \times P(l|ik) = \left(\frac{kn_i}{N}\right) \times \left(\frac{1}{\bar{L}_i}\right) \Rightarrow WeightP_i = \frac{N}{kn_i} \times \bar{L}_i \qquad (6)$$

მივიღეთ წონების რესპონდენტებისათვის:

$$WeightP_i = \frac{N}{kn_i} \times \bar{L}_i \qquad (7)$$

სქესისა და ასაკის კორექტირება:

სქესი - წარმოადგენს ორ ჯგუფიან ცვლადს, 1-ქალი; 2 - კაცი.

ასაკობრივი ჯგუფი - ასაკობრივი ჯგუფის ცვლადს გააჩნია 6 კატეგორია.

1. **18-24**
2. **25-34**
3. **35-44**
4. **45-54**
5. **55-64**
6. **65 +**

სქესის და **ასაკობრივი ჯგუფი** ერთად ქმნის 6*2=12 ჯგუფს. ამ ჯგუფებს ვუწოდოთ სქესისა და ასაკის ჯგუფები.

შემოვიღოთ აღნიშვნა:

$\boldsymbol{M_L}$ — შერჩევის ჩარჩოს მიხედვით სტრატაში მოსახლეობის რაოდენობას $\boldsymbol{L}$ — სქესისა და ასაკის ჯგუფში.

$\boldsymbol{n_{i,L}}$ – გამოკითხული შინამეურნეობების რაოდენობა **i** - უბანში. $\boldsymbol{L}$ — სქესისა და ასაკის ჯგუფში.

(7) - ფორმულის გამოყენებით გვექნება:

$$\widehat{\boldsymbol{M}}_{\boldsymbol{L}} = \sum_{i=1}^{K} \boldsymbol{n_{i,L}}\, \boldsymbol{WeightP_i n_{i,L}} \neq \boldsymbol{M_L} \Rightarrow \boldsymbol{Weit_{L,kor}} = \frac{\boldsymbol{M_L}}{\widehat{\boldsymbol{M}}_{\boldsymbol{L}}} \qquad (8)$$

(7) და (8) ფორმულის ძალით, სტრატაში უბნების მიხედვით რესპონდენტების წონა განისაზღვრებით ფორმულით.

$$\boldsymbol{WeightP_{i,F}} = \boldsymbol{WeightP_i} \times \boldsymbol{Weit_{L,kor}} \qquad (9)$$

4.2 სიძულვილის ენის გამოყენება:

რესპონდენტებს გადაეცათ ბარათები, სადაც ჩამოთვლილი იყო სიძულვილის ენის გამომხატველი სიტყვები ან ფრაზები. მათ უნდა ეპასუხათ სმენიათ თუ არა თითოეული მათგანი იმ სოციალურ გარემოში, რომლის წევრებსაც ისინი წარმოადგენენ: პოლიტიკოსებისგან, მასმედიით, ნაცნობ-მეგობრებისგან, მეზობლებისგან, თანამშრომლებისგან და ა. შ.

ასევე, მათ საშუალება ჰქონდათ დაესახელებინათ სიძულვილის ენის გამომხატველი სიტყვა ან გამონათქვამი, თუ ის სმენია, მაგრამ ჩამონათვალში არ იყო მითითებული.

შედეგად გამოვლინდა სიძულვილის ენის გამომხატველი სიტყვების ან ფრაზების საკმაოდ ფართო სპექტრი, რომლის უდიდესი ნაწილი ძალიან მაღალი სიხშირეებით აღინიშნა.

განსაკუთრებით მაღალი სიხშირეებით არის წარმოდგენილი:

„მკვლელი“ - 86.1%;

„კრიმინალი“ - 85.6 % -როგორც შეურაცხმყოფელი მიმართვა;

„გიჟი“ - 83.0% ;

„რუსეთის აგენტი“ - 78.4 %;

„ბოროტი“ - 76.8 %;

„ფაშისტი“ - 76.3%;

„უგუნური“ - 74.7%;

„ფსიქოპატი“ - 74.2%;

„სისხლისმსმელი“ - 72.7%;

„ერთუჯრედიანი არსება“ - 69.6%;

„ფულის ტომარა“ - 68.6%;

ზემოაღნიშნულ ჯგუფთან შედარებით, გავრცელების ნაკლები მაჩვენებლებით ხასიათდება, თუმცა, თითოეულ შემთხვევაში 50%-ს აჭარბებს შემდეგი სიტყვების/ფრაზების გავრცელების სიხშირეები:

„მწამებელი“ - 59.8 %;

„ავადმყოფური აზროვნების ადამიანი“ - 55.7%;

„პოლიტიკური გვამი“ - 53.1%;

გავრცელების სიხშირის კლების მიხედვით მომდევნო ჯგუფად შეიძლება განვიხილოთ:

„კრიმინალური სამყაროს ადვოკატი“ - 44.8%;

„ბურატინო“ - 45.9%;

„ბოლო ლურსმანი მე უნდა დავაჭედო თქვენს კუბოს“ - 33.5 %;

„შუშის კოლბის ბინადარი“ - 29.4 %;

„თუ ჩვენ ჩარეცხილები ვართ, ისინი ტივტივებენ“ - 24.7 %;

„დედა ბუ“ - 17.5 %;

„ბავშვების ყლაპია“ - 24.7 %;

და ბოლოს, შედარებით ნაკლებად გავრცელებულ სიტყვებს/გამოთქმებს მიეკუთვნება:

„ნაძირალა“ - 5.2 %;

„კორუმპირებული“ – (როგორც შეურაცხმყოფელი მიმართვა) - 4.6%;

„სოფლელი“ – (როგორც შეურაცხმყოფელი მიმართვა) - 3.6 %.

„ფარისეველი“ -5%;

„ყალბი“ - 5%;

„მონა“ - 5%;

„რასისტი“ - 5%;

„ათეისტი“ - 5%;

„ერთ-ერთი ეთნიკური უმცირესობა (ეთიკის ნორმების შესაბამისად, კონკრეტულად არ ვასახელებთ)“ - 5%;

„წარსულის გადმონაშთი“ - 5%;

„კაციჭამია“ -5%;

„ფაროსანა“ - 5%.

კითხვაზე: „რამდენად ხშირად იყენებენ თქვენი მეგობრები, მეზობლები, თანამშრომლები სიძულვილის ენას ყოველდღიურ ცხოვრებაში“, მიღებული პასუხების მიხედვით, ირკვევა, რომ სიძულვილის ენის გამოყენება ქალაქ თბილისის მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში საკმაოდ ხშირია:

თითქმის ყოველდღე - 24.1%;

კვირაში რამდენჯერმე - 12.6%;

კვირაში ერთხელ - 5%;

თვეში რამდენჯერმე მაგრამ არა ყოველკვირა - 13.1%;

თვეში ერთხელ - 4%;

წელიწადში რამდენჯერმე - 6%;

წელიწადში ერთხელ ან უფრო იშვიათად - 3%;

როგორც წესი, არ ვიყენებ სიძულვილის ენას - 9.5%;

მიჭირს პასუხის გაცემა - 23.6%.

საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობის შეფასებით, როგორც მედიასივრცეში, ისე - პოლიტიკაში, რეგულარულად და მაღალი ინტენსივობით ხდება სიძულვილის ენის გამოყენება:

კითხვაზე: „რამდენად ხშირად იყენებს მასმედია სიძულვილის ენას“? მიღებული პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

თითქმის ყოველდღე - 43.7%;

კვირაში რამდენჯერმე, მაგრამ არა ყოველკვირა - 20.1%;

კვირაში ერთხელ - 1.5%;

თვეში რამდენჯერმე - 5.5%;

თვეში ერთხელ - 3%;

წელიწადში რამდენჯერმე - 3.5%;

წელიწადში ერთხელ ან უფრო იშვიათად - 3%;

როგორც წესი არ იყენებს სიძულვილის ენას - 4.5%;

მიჭირს პასუხის გაცემა - 15.5%.

ხოლო კითხვაზე: „რამდენად ხშირად იყენებენ პოლიტიკოსები სიძულვილის ენას?“, მიღებული პასუხები შემდეგნაირია:

თითქმის ყოველდღე - 57.8%;

კვირაში რამდენჯერმე - 13.6%;

კვირაში ერთხელ - 4.5%;

თვეში რამდენჯერმე, მაგრამ არა ყოველკვირა - 8%;

თვეში ერთხელ - 1%;

წელიწადში რამდენჯერმე - 1%;

წელიწადში ერთხელ ან უფრო იშვიათად - 1%;

როგორც წესი არ იყენებენ სიძულვილის ენას - 5%;

მიჭირს პასუხის გაცემა- 8.5%.

ზემოაღნიშნული მონაცემები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ***სიძულვილის ენა თბილისში ფართოდ არის გავრცელებული***, ამასთან სიძულვილის ენის „ტრადიციულ“, ათეულობით წლების განმავლობაში დამკვიდრებულ ზოგიერთ სიტყვას/ფრაზას **ახალი (ძირითადად პოლიტიკურ მოვლენებთან ასოცირებული) სიტყვების/ფრაზების** სიხშირეები მკვეთრად აღემატება რაც, **სიძულვილის ენის პროგრესირებად ხასიათზე მიუთითებს.**

საკვლევი პოპულაციის შეფასებით, **სიძულვილის ენის გამოყენებით, საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში პოლარულად დაპირისპირებული პარტიები: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება გამოირჩევა.** კითხვაზე: „თქვენი დაკვირვებით, რომელი პოლიტიკური პარტიები გამოირჩევა

სიძულვილის ენის გამოყენებით?“ მიღებული პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	*25.9%;*
ქართული ოცნება	*21.9%;*
ქართული მარში	*9.8%;*
ევროპული საქართველო	*7.6%;*
საქართველოს ლეიბორისტული პარტია	*7.1%;*
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	*6.9%;*
გირჩი	*5.5%;*
რესპუბლიკური პარტია	*1.9%;*
სხვა	*55%;*
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	*7.8%.*

ზოგადი კითხვების გარდა, სიძულვილის ენის გამოყენების სიხშირეების შესახებ კითხვა დაისვა კონკრეტული პოლიტიკოსების მიმართაც. კითხვა მოცემული იყო ნახევრად ღია ფორმით, ანუ რესპონდენტებს, შეთავაზებული სიის გარდა, შეეძლოთ თავადაც დაესახელებინათ ნებისმიერი პოლიტიკოსი და შეეფასებინათ ის იმ ნიშნით, თუ რამდენად ხშირად იყენებს თვითონ სიძულვილის ენას.

იერარქიული კლასტერული ანალიზის გამოყენებით, კითხვაზე: „რამდენად ხშირად იყენებს სიძულვილის ენას“, მიღებული პასუხების მიხედვით განხორციელდა მონაცემების დაყოფა 3 კატეგორიად - პოლიტიკოსთა განაწილება სამ კლასტერში:

1. პოლიტიკოსები, რომელიც თითქმის არ იყენებენ/ნაკლებად იყენებენ სიძულვილის ენას;

2. პოლიტიკოსები, რომელიც საშუალო სიხშირით იყენებენ სიძულვილის ენას;

3. პოლიტიკოსები, რომელიც ხშირად იყენებს სიძულვილის ენას.

ამის შემდეგ განვიხილეთ თითოეული პოლიტიკოსის დახასიათება ამ კლასტერებში. განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია:

რამდენად ხშირად იყენებს <u>თვითონ</u> სიძულვილის ენას?					
		QCL_L14			Total
		თითქმის არ იყენებს/ ნაკლებად იყენებს	საშუალო სიხშირით იყენებს	ხშირად იყენებს	
ndex1	ირაკლი ალასანია	68.6%	20.9%	10.5%	100.0%
	გიორგი ვაშაძე	57.5%	21.7%	20.8%	100.0%
	სალომე ზურაბიშვილი	47.5%	29.2%	23.3%	100.0%
	ირმა ნადირაშვილი	16.3%	42.4%	41.3%	100.0%
	გიგა ბოკერია	15.4%	19.9%	64.7%	100.0%
	გიორგი კვირიკაშვილი	57.1%	31.9%	11.0%	100.0%
	გუბაზ სანიკიძე	32.9%	43.0%	24.1%	100.0%
	ირმა ინაშვილი	10.6%	17.6%	71.8%	100.0%
	შალვა ნათელაშვილი	17.1%	21.4%	61.4%	100.0%
	გიორგი გაბაშვილი	23.9%	47.8%	28.4%	100.0%
	დავით ბაქრაძე	64.8%	25.0%	10.2%	100.0%
	დავით უსუფაშვილი	67.4%	25.3%	7.4%	100.0%
	თინა ხიდაშელი	44.1%	38.2%	17.6%	100.0%
	დავით ბერძენიშვილი	57.0%	31.6%	11.4%	100.0%
	ეკა ბესელია	15.0%	26.1%	58.8%	100.0%
	ნიკა მელია	9.6%	10.8%	79.6%	100.0%
	მიხეილ სააკაშვილი	9.6%	13.4%	77.1%	100.0%
	ელენე ხოშტარია	21.2%	31.9%	46.9%	100.0%
	თეა წულუკიანი	29.0%	23.7%	47.3%	100.0%
	გიორგი თარგამაძე	45.2%	27.4%	27.4%	100.0%
	კახა კალაძე	42.3%	35.1%	22.5%	100.0%
	ზვიად ძიძიგური	39.8%	33.7%	26.5%	100.0%
	გიგი წერეთელი	63.6%	23.4%	13.0%	100.0%
Total		33.1%	26.7%	40.2%	100.0%

ანალოგიური სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა, კითხვაზე: „რამდენად ხშირად გამოიყენება სიძულვილის ენა მის მიმართ”, მიღებულ მონაცემებზე, რის შედეგადაც პოლიტიკოსთა შემდეგი ჯგუფები გამოიყო:

1. პოლიტიკოსები, რომელთა მიმართ თითქმის არ იყენებენ/ნაკლებად იყენებენ სიძულვილის ენას;

2. პოლიტიკოსები, რომელთა მიმართ საშუალო სიხშირით იყენებენ სიძულვილის ენას;

3. პოლიტიკოსები, რომელთა მიმართ ხშირად იყენებს სიძულვილის ენას.

შემდგომ განხორციელდა თითოეული პოლიტიკოსის განხილვა სეგმენტის ჭრილში:

Index1 * QCL_L14_1 Crosstabulation					
% within Index1 რამდენად ხშირად გამოიყენება სიძულვილის ენა მის მიმართ?					
		QCL_L14_1			Total
		თითქმის არ გამოიყენება/ ნაკლებად გამოიყენება	საშუალო სიხშირით გამიყენება	ხშირად გამოიყენება	
Index1	ირაკლი ალასანია	35.6%	24.7%	39.7%	100.0%
	გიორგი ვაშაძე	19.1%	17.0%	63.8%	100.0%
	სალომე ზურაბიშვილი	13.6%	4.5%	81.8%	100.0%
	ირმა ნადირაშვილი	16.5%	17.6%	65.9%	100.0%
	გიგა ბოკერია	8.5%	10.2%	81.4%	100.0%
	გიორგი კვირიკაშვილი	40.9%	17.0%	42.0%	100.0%
	გუბაზ სანიკიძე	29.5%	24.4%	46.2%	100.0%
	ირმა ინაშვილი	12.6%	15.1%	72.3%	100.0%
	შალვა ნათელაშვილი	23.7%	17.5%	58.8%	100.0%
	გიორგი გაბაშვილი	25.0%	20.3%	54.7%	100.0%
	დავით ბაქრაძე	51.5%	18.4%	30.1%	100.0%
	დავით უსუფაშვილი	52.6%	20.5%	26.9%	100.0%

	თინა ხიდაშელი	36.0%	23.6%	40.4%	100.0%
	დავით ბერძენიშვილი	40.0%	24.3%	35.7%	100.0%
	ეკა ბესელია	11.5%	11.5%	77.0%	100.0%
	ნიკა მელია	5.2%	3.7%	91.0%	100.0%
	მიხეილ სააკაშვილი	6.5%	2.9%	90.6%	100.0%
	ელენე ხოშტარია	17.6%	24.5%	57.8%	100.0%
	თეა წულუკიანი	19.5%	15.0%	65.5%	100.0%
	გიორგი თარგამაძე	38.7%	14.5%	46.8%	100.0%
	კახა კალაძე	34.8%	21.7%	43.5%	100.0%
	ზვიად ძიძიგური	28.6%	18.2%	53.2%	100.0%
	გიგი წერეთელი	60.9%	14.5%	24.6%	100.0%
Total		24.7%	15.6%	59.7%	100.0%

ზემოთმოყვანილი კლასიფიკაციების შედარების საფუძველზე, გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- სიძულვილის ენის გამოყენება ხშირ შემთხვევაში ხდება იმ პოლიტიკოსების მიმართაც, რომლებიც თვითონ ნაკლებად იყენებენ სიძულვილის ენას - ანუ, უფრო გამომყენებლის მახასიათებელს წარმოადგენს, ვიდრე - სიტუაციურად სხვა პოლიტიკოსის მიერ პროვოცირებულ ფაქტორს;
- ის პოლიტიკოსები, ვინც სიძულვილის ენის გამოყენების უფრო მაღალი მაჩვენებლით ხასიათდებიან, უფრო მაღალი ხარისხით ხდებიან სიძულვილის ენის ადრესატი.

აღსანიშნავია, რომ იერარქიული კლასტერული ანალიზის შედეგების მიხედვით, პოლიტიკოსი ქალები უფრო ხშირად იყენებენ სიძულვილის ენას, ვიდრე კაცები, აგრეთვე ისინი უფრო მეტად გვევლინებიან სიძულვილის ენის ადრესატად (კავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია):

Crosstab

		polt_sxesi პოლიტიკოსების სქესი		T
		ქალი	კაცი	otal
QCL_L14	თითქმის არ იყენებს/ნაკლებად იყენებს	25.4%	37.1%	33.1%
	საშუალო სიხშირით იყენებს	28.7%	25.7%	26.7%
	ხშირად იყენებს	45.8%	37.2%	40.2%
Total		100.0%	100.0%	100.0%

Chi-Square Tests

	Value	df	Asymp. Sig. (2-sided)
Pearson Chi-Square	35.183[a]	2	.000
Likelihood Ratio	35.977	2	.000
Linear-by-Linear Association	31.520	1	.000

Crosstab

		polt_sxesi პოლიტიკოსების სქესი		Total
		ქალი	კაცი	
QCL_L14_1	თითქმის არ იყენებს/ნაკლებად იყენებენ	17.4%	28.5%	24.7%
	საშუალო სიხშირით იყენებენ	15.5%	15.6%	15.6%
	ხშირად იყენებენ	67.1%	55.9%	59.7%
Total		100.0 %	100.0%	100.0%

Chi-Square Tests

	Value	df	Asymp. Sig. (2-sided)
Pearson Chi-Square	35.126[a]	2	.000
Likelihood Ratio	36.410	2	.000
Linear-by-Linear Association	34.212	1	.000

თუმცა, სავარაუდოდ, გენდერული სტერეოტიპების ზეგავლენით, ეს ფაქტი ნაკლებად არის გაცნობიერებული: ხშირ შემთხვევაში, გენდერის მიხედვით, განსხვავების აღქმა არ ხდება ან სიძულვილის ენის გამოყენება უფრო კაცისთვის დამახასიათებელ მოვლენად აღიქმება:

„ქალები უფრო ხშირად მიმართავენ სიძულვილის ენას თუ კაცები“?

ქალები - 16.6%;

კაცები - 35.7%;

მნიშვნელოვანი განსხვავება ვერ ხედავს - 47.2%.

4.3 სიმულვილის ენისა და პოლიტიკაში მისი გამოყენების მიმართ არსებული განწყობები

როგორც სიმულვილის ენის შემცველი ენობრივი კონსტრუქტების სიხშირეების ანალიზმა გვიჩვენა, საკვლევი პოპულაციის უდიდესი ნაწილი ადასტურებს სიმულვილის ენის შემცველი ენობრივი კონსტრუქტების რეგულარულად გამოყენების საკმაოდ მაღალ სიხშირეს როგორც ფორმალურ (მასმედია, პოლიტიკა), ისე არაფორმალურ (ნაცნობ-მეგობრები, მეზობლები, თანამშრომლები და ა. შ.) დონეზე.

კითხვაზე: „რამდენად დასაშვებად მიგაჩნიათ სიმულვილის ენის გამოყენება“? მიღებული პასუხების მიხედვით, არერთგვაროვანი დამოკიდებულება იკვეთება:

დიდი უმრავლესობა: 72.4%, ზოგადად, სიმულვილის ენის გამოყენებას „სრულიად დაუშვებლად“ ან „უფრო დაუშვებლად, ვიდრე - დასაშვებად“ მიიჩნევს; მხოლოდ 6.0% - ისათვის არის ის „უფრო დასაშვები, ვიდრე დაუშვებელი“ (4.5%) ან „სავსებით დასაშვებია“, ხოლო საკმაოდ დიდი მოცულობის ჯგუფი: 17.6% - შუალედურ/საშუალო პოზიციას იზიარებს. ეს სურათი, ნაწილობრივ, იმ მოსაზრებით <u>შეიძლება იყოს</u> გამოწვეული, რომ ერთი მხარის მიერ სიმულვილის ენის გამოყენება შეიძლება ახდენდეს „იგივე ტიპის პასუხის“ პროვოცირებას. თუმცა, დასკვნის გამოსატანად, ეს საკითხი უფრო დეტალიზებულ და სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს. ამ კითხვებზე მიღებულ პასუხებს შორის სქესისა და ასაკის ჭრილში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ ფიქსირდება.

სიმულვილის ენის გამოყენება მისი გამომყენებლისა და ადრესატის გარდა, ხშირად ირგვლივ მყოფ ადამიანებსაც უხდებათ. კვლევა ითვალისწინებდა იმის გარკვევას, თუ რა ემოციური დამოკიდებულება უჩნდებათ იმ ადამიანებს, რომლებიც სიმულვილის ენას აღიქვამენ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მათ არ ეხებათ.

სიმულვილის ენის აღქმა (მოსმენა/წაკითხვა და ა.შ.) იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მას არ ეხება, უმრავლესობაში უარყოფით ემოციებს იწვევს: კითხვაზე: „რა ემოციებს აღძრავს თქვენში სიმულვილის ენის გამოყენება, როდესაც ის თქვენ არ გეხებათ“? მიღებული პასუხების მიხედვით (პასუხების შესაძლო ვარიანტები რესპონდენტებს ეძლეოდათ როტაციის დაცვით, დასაშვები იყო კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხის გაცემა):

48.7 % - ბრაზდება იმ ადამიანზე, ვინც სიმულვილის ენას იყენებს;

33.7 % - ცუდ ხასიათზე დგება, როცა სიმულვილის ენას აღიქვამს;

13.6 %-ში - სიმულვილის ენის გამოყენება ემოციებს არ იწვევს;

7 % -ხალისობს;

10% - მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე (არ წაუკითხოთ).

სხვების თანდასწრებით სიმულვილის ენის აღქმის შემთხვევაში, საკვლევ რესპონდენტთა დიდი ნაწილი მიუთითებს, რომ მას ჰქონია უხერხულობის განცდა:

კითხვაზე: „განგიცდიათ თუ არა უხერხულობა იმის გამო, რომ სხვების თანდასწრებით გამხდარხართ სიმულვილის ენის გამოყენების მოწმე, რომლის ადრესატიც თქვენ არ იყავით“?, რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა 78.9% განაცხადა, რომ სხვების თანდასწრებით ასეთ შემთხვევაში უხერხულობა განუცდია, 11.6 % - უპასუხა, რომ უხერხულობა არ განუცდია, ხოლო 9.5%-მა უპასუხა - „მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე (არ წაუკითხოთ)“.

სქესისა და ასაკის მიხედვით მნიშვნელოვანი სტატისტიკური განსხვავება არ გამოკვეთილა.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკოსების მიერ სიმულვილის ენის გამოყენების მიმართ უფრო შეუწყნარებელი მიდგომა ფიქსირდება, ვიდრე - ზოგად შემთხვევაში:

კითხვაზე: „პოლიტიკოსის რომელი ტიპია თქვენთვის მისაღები, ვინც სიმულვილის ენას იყენებს თუ მიუხედავად აღელვებისა, არასდროს იყენებს

სიძულვილის ენას“? გაცემული პასუხების მიხედვით, უდიდესი უმრავლესობისთვის მიუღებელია პოლიტიკოსი, რომელიც სიძულვილის ენას იყენებს:

პოლიტიკოსის ტიპი, რომელიც იყენებს სიძულვილის ენას, მისაღებია მხოლოდ 3.5%-ისათვის, მაშინ, როდესაც, პოლიტიკოსის ტიპი, რომელიც მიუხედავად აღელვებისა, არ იყენებს სიძულვილის ენას, მისაღებია 88.5%-ისათვის. „მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე (არ წაუკითხოთ)“ 8.0% სიხშირით აღინიშნა“.

ის, რომ პოლიტიკოსთა მიერ სიძულვილის ენის გამოყენების მიმართ უფრო კატეგორიული მიდგომა იკვეთება, ვიდრე - ზოგად შემთხვევაში, პოლიტიკაში სიძულვილის ენის გამოყენების შედეგების გაცნობიერების ფაქტორით შეიძლება აიხსნას, რის სასარგებლოდაც მომდევნო კითხვებზე მიღებული პასუხები მეტყველებს:

რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, სიძულვილის ენა სამოქალაქო დაპირისპირების წარმოშობას ან/და გამწვავებას განაპირობებს. კითხვაზე: „რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ სიძულვილის ენის გამოყენება სამოქალაქო დაპირისპირების წარმოშობას ან/და გამწვავებას იწვევს“, მიღებული პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

1. სრულიად არ ეთანხმება - 17.7%;
2. უფრო არ ეთანხმება, ვიდრე ეთანხმება - 15.8%;
3. ნაწილობრივ ეთნახმება და ნაწილობრივ არ ეთანხმება (თანაბრად) - 15.0%;
4. უფრო ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება - 16.1%;
5. სავსებით ეთანხმება - 35.4%;

99. მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე (არ წაუკითხოთ) – 13.9%.

საშუალო მაჩვენებელი არის 3.36 ქულა.

ასაკისა და სქესის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია: ქალები უფრო ინტენსიურად (საშუალო მაჩვენებელი: 3.72) აღნიშნავენ, რომ სიძულვილის ენის გამოყენება სამოქალაქო დაპირისპირების ტრიგერია ვიდრე - კაცები (საშუალო მაჩვენებელი: 2.95).

ANOVA Table							
			Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
L8 * D1 სქესი	Between Groups	(Combined)	25.072	1	25.072	11.427	.001
	Within Groups		371.613	169	2.194		
	Total		396.684	170			

ახალგაზრდები უფრო ინტენსიურად აღნიშნავენ, რომ სიძულვილის ენის გამოყენება სამოქალაქო დაპირისპირების ტრიგერია, ვიდრე უფროსი ასაკის რესპონდენტები. ასაკის მატებასთან ერთად, სიძულვილის ენის გამოყენების, როგორც სამოქალაქო დაპირისპირების ტრიგერის აღქმის ინტენსივობა იკლებს:

L8 * age_gr ასკობრივი ჯგუფი Crosstabulation									
			age_gr ასკობრივი ჯგუფი						Total
			18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 ან მეტი	
L8	1	% within L8	12.9%	12.9%	9.7%	25.8%	25.8%	12.9%	100.0%
		% within age_gr	14.3%	9.5%	8.3%	22.9%	28.6%	12.5%	15.4%
	2	% within L8	7.4%	18.5%	11.1%	25.9%	29.6%	7.4%	100.0%
		% within age_gr	7.1%	11.9%	8.3%	20.0%	28.6%	6.2%	13.4%
	3	% within L8	15.4%	23.1%	23.1%		11.5%	26.9%	100.0%
		% within age_gr	14.3%	14.3%	16.7%		10.7%	21.9%	12.9%
	4	% within L8	22.2%	33.3%	7.4%	7.4%	7.4%	22.2%	100.0%
		% within age_gr	21.4%	21.4%	5.6%	5.7%	7.1%	18.8%	13.4%
	5	% within L8	16.1%	21.0%	25.8%	19.4%	11.3%	6.5%	100.0%

		% within age_gr	35.7%	31.0%	44.4%	34.3%	25.0%	12.5%	30.8%
	99	% within L8	7.1%	17.9%	21.4%	21.4%		32.1%	100.0%
		% within age_gr	7.1%	11.9%	16.7%	17.1%		28.1%	13.9%
Total		% within L8	13.9%	20.9%	17.9%	17.4%	13.9%	15.9%	100.0%
		% within age_	100.0 %	100.0 %	100.0 %	100.0 %	100.0 %	100.0%	100.0%

Chi-Square Tests

	Value	df	Asymp. Sig. (2-sided)
Pearson Chi-Square	46.922[a]	25	.005
Likelihood Ratio	54.216	25	.001
Linear-by-Linear Association	1.753	1	.186
N of Valid Cases	201		

a. 22 cells (61.1%) have expected count less than 5. The minimum expected count is 3.62.

სიძულვილის ენის ნეგატიური შედეგები, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის/საზოგადოების განვითარებაზე, საკმაოდ მაღალი სიხშირეებით არის წარმოდგენილი:

იწვევს პოლიტიკური სივრცის პოლარიზებას	25.4%;
საფრთხეს უქმნის კულტურას და ტრადიციებს	33.2%;
არღვევს ქვეყნის ერთიანობას	52.0%;
ანაწევრებს ქვეყანას	17.3%;
საფრთხეს უქმნის რელიგიას	17.3%;
აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას	11.3%;
არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას	6.8%;
სხვა	3.0%;
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე (არ წაუკითხოთ)	2.6%.

ამრიგად, კვლევის შედეგების მიხედვით, სიძულვილის ენის გამოყენების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება გამოიკვეთა.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ რესპონდენტთა პასუხები არ არის გულწრფელი, ასეთი შედეგები იმის აღიარებას წარმოადგენს, რომ სიძულვილის ენა არ არის სოციალურად მისაღები ფენომენი, რაც მაინც მის მიმართ სოციუმის უარყოფით დამოკიდებულებას და რესპონდენტთა მიერ ამ დამოკიდებულების აღიარებაზე მეტყველებს ანუ, შესაძლებელია, განვიხილოთ, როგორც სიძულვილის ენის სოციალური მიუღებლობის აღიარება.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ ის ფაქტიც მიუთითებს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა არ აღიარებს პირადად მისი მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენებას: კითხვაზე: „პირადად თქვენ, რამდენად ხშირად იყენებთ სიძულვილის ენას“, მიღებული პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

თითქმის ყოველდღე - 9%;

კვირაში ერთხელ - 4.5% ;

კვირაში რამდენჯერმე - 8%;

თვეში რამდენჯერმე მაგრამ არა ყოველკვირა - 11.6%;

წელიწადში რამდენჯერმე - 7%;

წელიწადში ერთხელ - 6.5 %;

როგორც წესი, არ ვიყენებ სიძულვილის ენას - 40.2 %.

რესპონდენტებს სთხოვეს, დაესახელებინათ სიძულვილის ენის გამოვლენის ის ფორმები, რომლებიც ყველაზე ხშირად ხვდებათ სოციალურ-პოლიტიკურ და ყოველდღიურ ცხოვრებაში. შედეგების სპექტრი მრავალფეროვნებითა და საკმაოდ მაღალი სიხშირეებით გამოირჩევა:

ფიზიკური ნაკლის გამო შეურაცხყოფა და დაცინვა	32.8%;
ეთნიკური წარმომავლობის გამო შეურაცხყოფა	26.4%;
რელიგიური მრწამსის გამო შეურაცხყოფა და დაცინვა	13.5%;
გენდერული ორიენტაციის გამო შეურაცხყოფა და დაცინვა	56.4%;
სომატური ნერვიული სისტემის მოშლის გამო შეურაცხყოფა და დაცინვა	12.2%;
პოლიტიკური მრწამსის ან/და ორიენტაციის გამო შეურაცხყოფა და დაცინვა	47.3%;
სოციალური მდგომარეობის გამო შეურაცხყოფა და დაცინვა	20.5%;
სხვა	17.0%;
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	8.6%.

დემოგრაფიული პარამეტრები:




ასაკი
15%
21%
18%
17%
14%
15%
18-24
25-34
35-44
45-54
55-64
65 წ ან მეტი


თქვენი დაკვირვებით, რამდენად სწორი მიმართულებით ვითარდება ჩვენი ქვეყანა ბოლო 5 წლის განმავლობაში? გთხოვთ, შეაფასოთ 5 ქულიანი სკალით, სადაც 1 ნიშნავს სრულიად არასწორი მიმართულებით, ხოლო 5 - სავსებით სწორი მიმართულებით
უარი პასუხზე
8.17%
მიჭირს პასუხის გაცემა (არ წაუკითხოთ
2.67%
5
2.49%
4
4.56%
3
20.85%
2
18.02%
1
43.24%
0.00%
5.00%
10.00%
15.00%
20.00%
25.00%
30.00%
35.00%
40.00%
45.00%
50.00%

4.4 ძირითადი მიგნებები

- რაოდენობრივი კვლევის მონაცემები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საკვლევ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში ***სიძულვილის ენის გამოყენება ფართოდ არის გავრცელებული***, ამასთან, სიძულვილის ენის „ტრადიციულ“, ათეულობით წლების განმავლობაში დამკვიდრებულ ზოგიერთ სიტყვას/ფრაზას **ახალი, ძირითადად პოლიტიკურ მოვლენებთან ასოცირებული სიტყვების/ფრაზების** სიხშირეები მკვეთრად აღემატება რაც, **სიძულვილის ენის პროგრესირებად ხასიათზე მიუთითებს;**
- კვლევის შედეგების მიხედვით, როგორც მედიასივრცეში, ისე - პოლიტიკაში რეგულარულად და მაღალი ინტენსივობით ხდება სიძულვილის ენის გამოყენება;
- საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობის შეფასებით, **სიძულვილის ენის გამოყენებით, საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში <u>პოლარულად დაპირისპირებული პარტიები:</u> ქართული ოცნება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გამოირჩევა;**
- სიძულვილის ენის გამოყენება ხშირ შემთხვევაში ხდება იმ პოლიტიკოსების მიმართაც, რომლებიც თვითონ ნაკლებად იყენებენ სიძულვილის ენას - ანუ, უფრო გამომყენებლის მახასიათებელს წარმოადგენს, ვიდრე - სიტუაციურად სხვა პოლიტიკოსის მიერ პროვოცირებულ ფაქტორს;
- ის პოლიტიკოსები, ვინც სიძულვილის ენის გამოყენების უფრო მაღალი მაჩვენებლით ხასიათდებიან, უფრო მაღალი ხარისხით ხდებიან სიძულვილის ენის ადრესატი;
- ხშირ შემთხვევაში, გენდერის მიხედვით, განსხვავების აღქმა არ ხდება ან სიძულვილის ენის გამოყენება უფრო კაცისთვის დამახასიათებელ მოვლენად აღიქმება;

- საკვლევი პოპულაცია, ძირითადად, ნეგატიურად არის განწყობილი სიძულვილის ენის გამოყენების მიმართ როგორც ემოციურ, ისე - რაციონალურ დონეზე;
- პოლიტიკოსების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების მიმართ უფრო შეუწყნარებელი მიდგომა ფიქსირდება, ვიდრე - ზოგად შემთხვევაში, რაც პოლიტიკაში სიძულვილის ენის გამოყენების შედეგების გაცნობიერების ფაქტორით შეიძლება აიხსნას;
- მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, სიძულვილის ენა სამოქალაქო დაპირისპირების წარმოშობას ან/და გამწვავებას განაპირობებს. ასაკისა და სქესის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია: ქალები უფრო ინტენსიურად (საშუალო მაჩვენებელი: 3.72 ხუთქულიან სკალაზე, სადაც 1 - მინიმალური, ხოლო 5 - მაქსიმალური მნიშვნელობაა) აღნიშნავენ, რომ სიძულვილის ენის გამოყენება სამოქალაქო დაპირისპირების ტრიგერია, ვიდრე - კაცები (საშუალო მაჩვენებელი: 2.95); ახალგაზრდები უფრო ინტენსიურად აღნიშნავენ, რომ სიძულვილის ენის გამოყენება სამოქალაქო დაპირისპირების ტრიგერია, ვიდრე უფროსი ასაკის რესპონდენტები. ასაკის მატებასთან ერთად, სიძულვილის ენის გამოყენების, როგორც სამოქალაქო დაპირისპირების ტრიგერის აღქმის ინტენსივობა იკლებს;
- სიძულვილის ენის ნეგატიური შედეგები, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის/საზოგადოების განვითარებაზე, საკმაოდ მაღალი სიხშირეებით არის წარმოდგენილი;
- იმ შემთხვევაშიც კი, თუ რესპონდენტთა პასუხები, რომლებიც სიძულვილის ენის მიმართ ღია და მასობრივ ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოხატავს, არ არის გულწრფელი, აშკარად მიანიშნებს, რომ სიძულვილის ენა არ არის სოციალურად მისაღები ფენომენი (რაც მაინც სიძულვილის ენის მიმართ სოციუმის უარყოფით დამოკიდებულებასა და საკვლევი პოპულაციის მხრიდან ამ დამოკიდებულების აღიარებაზე მეტყველებს) ანუ, შესაძლებელია,

განვიხილოთ, როგორც სიძულვილის ენის სოციალური მიუღებლობის აღიარება. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მიუთითებს ის ფაქტიც, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა არ აღიარებს პირადად მისი მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენებას;

- სიძულვილის ენის გამოვლენის ის ფორმები, რომლებიც ყველაზე ხშირია სოციალურ-პოლიტიკურ და ყოველდღიურ ცხოვრებაში, მრავალფეროვანი სპექტრითა და საკმაოდ მაღალი სიხშირეებით გამოირჩევა. მათ შორის
- აღსანიშნავია „გენდერული ორიენტაციის გამო შეურაცხყოფა და დაცინვა“ (56.4%) და „პოლიტიკური მრწამსის ან/და ორიენტაციის გამო შეურაცხყოფა და დაცინვა“ (47.3%).

5 თავი - თვისებრივი კვლევა

5.1 სიძულვილის ენა და პოლიტიკა: ფაქტორები, მოტივაცია, შეფასება (სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი)

კვლევის მეორე, თვისებრივი კომპონენტის მიზანს წარმოადგენდა პოლიტიკოსთა მიერ სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტორების იდენტიფიცირება, მოტივაციის ანალიზი და შეფასება. მისი განხორციელება მოხდა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით; სულ ჩატარდა და გაანალიზდა 20 სიღრმისეული ინტერვიუ. რესპონდენტებად შეირჩნენ სხვადასხვა სქესის, ასაკისა და გამოცდილების პოლიტიკოსები როგორც სახელისუფლებო, ისე - ოპოზიციური სპექტრიდან.

სიღრმისეული ინტერვიუს ანალიზის შედეგები იმ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ სიძულვილის ენის გამოყენება პოლიტიკოსის მიერ საკუთარი სიძლიერისა და, შესაბამისად, ოპონენტის სისუსტის დემონსტრირების ინსტრუმენტად აღიქმება.

რესპონდენტების აზრით, ასეთი განწყობის ძირითად ფაქტორს დესტრუქციული, არაჯანსაღი კონკურენტული გარემო, პოლარიზებული პოლიტიკური ველი წარმოადგენს.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ თვითონ არ ამართლებენ სიძულვილის ენის გამოყენებას (დეკლარირების დონეზე მაინც).

5.1 ძირითადი მიგნებები:

- პოლიტიკოსთა შეფასებით, საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში სიძულვილის ენის გავრცელების როგორც მასშტაბები, ისე - კონტენტი სცდება შემთხვევითობის, მოულოდნელად/სიტუაციურად წარმოქნილი ცალკეული ემოციური რეაქციების ფარგლებს - მისი გამოყენება ინტენსიურად და მიზანმიმართულად ხორციელდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სიძულვილის ენის გამოყენებას ისინი ძირითადად არაჯანსაღ კონკურენტულ გარემოს, პოლარიზებულ პოლიტიკურ ველს უკავშირებენ:

> *„უფრო ხშირად, ვიდრე ეს შეიძლება დააბრალო ცალკეულ შემთხვევებს. ანუ ცალკეულ შემთხვევებზე უფრო მეტს იყენებენ“ (კაცი, მმართველი პარტიის წარმმომადგენელი).*
> *„განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გახშირდა. დინამიკაც ესეთია, რომ უფროდაუფრო მატულობს“ (კაცი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).*
> *„უფ, პრაქტიკულად ყოველდღიურობაში არის ძალიან ისეთი მძიმე ენა. ეხლა ძაან პოლარიზებულია გარემო და ბოლო წლებია კი არა სხვანაირად ნაკლებად არის ხოლმე. ცალკეული გამონაკლისების, ცალკეული პოლიტიკოსების გარდა, გამოიყენება ასეთი აგრესიული სიძულვილის ენა“ (კაცი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).*
> *ძალიან ხშირად, სამწუხაროდ (ქალი, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი).*
> *მათთვის [პოლიტიკოსებისთვის] სიძულვილის ენის გამოყენება არის ჩვეულებრივი მოვლენა (ქალი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).*
> *„ვთვლი რომ საკმაოდ ხშირად“ (კაცი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).*
> *„ძალიან ხშირად. ჩემი აზრით საკმაოდ დამკვიდრებულია ძალადობრივი ენა ... სულ უფრო პოლარიზებული ხდება პოლიტიკური დისკურსი და ეს ტენდენცია არის სხვა ქვეყნებშიც. ევროპაშიც, მსოფლიოს სხვა რეგიონებში და მათ შორის საქართველოშიც, ამიტომ ჩემი აზრით კი. პოლარიზება არის და*

შესაბამისად, სიძულვილის ენის გამოყენებაც საკმაოდ ხშირია“ (კაცი, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი).

„ძალიან ხშირად“ (ქალი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).

„ზოგადად პოლარიზებულია პოლიტიკური ველი და შესაბამისად პოლარიზება გულისხმობს, რომ საკმაოდ აგრესიულია პოლიტიკა ... ზოგადად მგონია, რომ საკმაოდ ხშირია“ (ქალი, მმართველი პარტიის ყოფილი წარმომადგენელი).

„საკმაოდ ხშირად იყენებენ, ალბათ 10 ბალიანი სისტემით თუ შევაფასებთ 7-8 შეგვიძლია ვთქვათ“ (ქალი, მმართველი პარტიის ყოფილი წარმომადგენელი).

„სამწუხაროდ, ხშირად იყენებენ. რამეთუ მათი აზრის წარმოჩენისთვის, რომ აზრი კიდევ ერთხელ ვიმეორებ რამდენად არის უფლება ეს აზრი არსებობდეს საჯარო სივრცეში ამას პროვაიდერი სჭირდება. აზრი ლოგიკურად დასაბუთებული, სხვისი პატივისცემის თანხლებით. წინაპრების გამოცდილი, ისტორიის გაზიარების მეოხებით ესეთი აზრი წონადია, მაგრამ ასეთი აზრი, ასე დამკვიდრება დიდ დროს საჭიროებს. ისინი უმალ ეფექტის მისაღებად, რასაკვირველია, პროვაიდერად სიძულვილის ენას იყენებენ და ყურადღებას იპყრობენ“ (კაცი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).

„ტენდენცია არის მზადი. სამწუხაროდ“ (კაცი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).

„ვიტყოდი რომ საკმაოდ აქტიურად იყენებენ ამას პოლიტიკოსები და მე მაინც მგონია, რომ გააზრებული ის არის, რომ ეს ფორმა შეიძლება ყველაზე მტკივნეული იყოს ოპონენტისთვის. ეს არის მთელი იდეა სიძულვილის ენის გამოყენების“ (ქალი, მმართველი პარტიის ყოფილი წარმომადგენელი).

„თითქმის მთელი ქართული პოლიტიკა გაჯერებულია სიძულვილის ენით“ (ქალი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).

„პოლიტიკა და სიძულვილის ენა სამწუხაროდ სინონიმი გახდა“ (კაცი, მმართველი პარტიის ყოფილი წარმომადგენელი).

„საშინელი მდგომარეობაა. ალბათ მსგავსი მაშტაბით სიძულვილის ენის გამოყენება არც ერთ ქვეყანაში არ ხდება ... ანუ ხელისუფლების ცვლილების ფორმასაც კი აქვს გავლენა თუ რამდენად ზიზღისა და სიძულვილის ატმოსფერო იქმნება ქვეყანაში“ (კაცი, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი).

„მემგონი უკეთესი იქნება ვიკითხოთ არის თუ არა შემთხვევები როცა არ იყენებენ სიძულვილის ენას“ (კაცი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).

„არის გამოყენებაში. ხშირია გამოყენება (კაცი, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი).
„სამწუხაროდ ძალიან ხშირად“ (კაცი, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი).
„საკმაოდ ხშირად“ (ქალი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).

- პოლიტიკოსები, ძირითადად, ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ "საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაში სიძულვილის ენის გამოყენება ასოცირებულია ძალასთან, სიძლიერესთან", არა მხოლოდ პოლიტიკოსთა შორის, არამედ, საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვისაც, რაც პოლიტიკოსთა მიერ მისი გამოყენების მოტივაციას მნიშვნელოვანწილად აძლიერებს და, დიმიტრი უზნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, **იქმნება განწყობა/განიხილება როგორც სიტუაცია, რომელშიც მათი თვითდამკვიდრებისა და ვერტიკალური მობილობის მოთხოვნილება შეიძლება დაკმაყოფილდეს**:

„დამერწმუნეთ ხდება ხოლმე ჩემი წახალისება პოლიტიკოსების. ზოგადად აგრესია და შეურაცხყოფა საზოგადოებას არ მოსწონს, თუმცა არსებობს საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილი ვისაც ზოგადად ეს მოსწონს. სამწუხაროდ. ესე რომ არ იყოს მასთან კერძო თუ სხვა საუბრებში. მიდიან და უწონებენ ამას. შეიძლება საჯაროდ არ აფიქსირებენ, მაგრამ პირისპირ საუბრებში ეუბნებიან: -აი თქვენ ისე მაგრად შეუტიეთ და პრაქტიკულად ახალისებენ პოლიტიკოსებს ჩემი აზრით, სამწუხაროდ ... გარკვეულწილად პოლიტიკოსების გარკვეულ კატეგორიებში მათლაც ასეა და განსაკუთრებით თუ ქსენოფობიაზე არის საუბარი ეთნოცენტრიზმთან მიმართებაში (კაცი, მმართველი პარტიის წარმმომადგენელი).
„ალბათ ნაწილს აქვს ეს განცდა და არ ვიცი ეს რა პროცენტია. ეს არაა ძალის მადასტურებელი. უფრო სისუსტის“ (ქალი, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი).
„ვთვლი რომ საკმაოდ ხშირად“ (კაცი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).
„კი, აი, მაგალითად, ისინი თვლიან, რომ საკუთარი ელექტორატის მობილიზებისთის. თუ მათ ამ მაჩოურ მიდგომას აჩვენებენ. ისინი

თვლიან, რომ საკუთარი ელექტორატის მობილიზებას უფრო მეტად მოახდენენ და ბუნებრივია ეს ერთ-ერთი მოტივატორია ამ ქცევისა ... მათ მიაჩნიათ ქვეცნობიერად თუ შეგნებულად მიაჩნიათ, რომ საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი, მათი პოტენციური ამომრჩეველი არის სწორედ ასეთი საქციელის მომწონებელი“ (კაცი, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი).

„სამწუხაროდ ასეა. ზოგისთვის ეს ძალას ნიშნავს. საზოგადოების სიმწიფეს პოლიტიკური კლასის კულტურა (ასეთის არარსებობა) განაპირობებს“ (ქალი, მმართველი პარტიის ყოფილი წარმომადგენელი).

„საზოგადოებაში არიან ისეთნი, რომელთაც ჰგონიათ, რომ ძალის მაჩვენებელია. მე ნამდვილად არ მივეკუთნები ამ კატეგორიას“ (ქალი, მმართველი პარტიის ყოფილი წარმომადგენელი).

„ვეთანხმები ხომ, რომ აი მე რაც ვთქვი, რომ როცა პოლიტიკოსები იყენებენ სიძულვილის ენას მათ ამომრჩეველს მოსწონს. სწორედ ამიტომ ჰგონიათ, რომ მათ ამომრჩეველს მოსწონს ფიქრობენ, რომ ეს არის სიძლიერის გამოხატულება და ფიქრობენ, რომ ამომრჩეველს მოსწონს ძლიერი პოლიტიკოსი, რომელიც დემონსტრირებს ახდენს თავისი ძალისა, ამიტომაც არის, რომ კაცები უფრო ხშირად იყენებენ სიძულვილის ენას, ვიდრე ქალი პოლიტიკოსები, იმიტომ რომ კაცები ცდილობენ ძალის დემონსტრირებას და ფიქრობენ რომ ეს არის სწორედ ძალის დემონსტრირების საუკეთესო საშუალება. ისინი ფიქრობენ, რომ თუ ისინი არ იქნებიან აგრესიულები ოპონენტის მიმართ, მაშინ ეს მათ სისუსტეში ჩაეთვლებათ“ (ქალი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).

„პოლიტიკოსებს ჰგონიათ. ხალხს ესე არ ჰგონია. სამწუხაროდ, პოლიტიკოსებს არ აქვთ გათავისებული, რომ რინგზე არ არიან და მოსახლეობა მათგან არ ელის მეორე ადამიანის ვერბალურ ან ფიზიკურ შურაცხყოფით დამარცხებას“ (კაცი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).

„თუკი საზოგადოება უფრო მეტად მამაკაცების მხრიდან ისმენს სიძულვილის ენის გამოხატვის ფორმებს შესაბამისად, კავშირდება ეს ძალასთან“ (ქალი, მმართველი პარტიის ყოფილი წარმომადგენელი).

„თითქმის მთელი ქართული პოლიტიკა გაჯერებულია სიძულვილის ენით“ (ქალი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).

„დიახ, სწორად ამას ვამბობ. მათ ჰგონიათ, ის ნაწილი ვინც იყენებს ამას, რომ მუშაობენ კონკრეტულ ამომრჩეველზე, მათ შორის

აჩვენებენ ძალას და რაღაც უპირატესობას (კაცი, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი).
“ეს არა მარტო დღევანდელობაში, არამედ მუდამ ასე იყო” (კაცი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).
„ადამიანის დამცირება ჰგონიათ საკუთარი უპირატესობის ჩვენება, ან თუ შეურაცხყოფას მოგაყენებენ და ხუთმაგად არ გადაუხადე მაშინ სისუსტედ შეიძლება ეს აღიქმებოდეს“ (კაცი, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი).
„ჩვენ დროს იყო ეგეთი გამოთქმა, რომ თუ ძალა გაქვს გონება არ არის საჭიროო. დაახლოებით. ეგეთებიც იქნებიან, რომ ჩვენ მოვდივართ იმ ქვეყანაში სადაც ქურდული მენტალობა, ძველბიჭური მენტალობა იყო რაღაცა მენტალობების კასკადი არის გამოვლილი, სადაც აგრესიები თავისდამკვიდრების ერთ-ერთ იყო მიჩნეული და ეხლა გენეტიკურად მოყვება ამ საზოგადოებას *“ (კაცი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).*
„ხო. არის ეს ასოცირებული ძალასთან და სიძლიერესთან, სამწუხაროდ“ *(კაცი, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი).*
„კი, კი. ეს ვთქვი კიდეც, რომ არასწორად მიაჩნიათ, რომ შენ რაც უფრო აგრესიული ხარ, უფრო უფრო ძლიერი ხარ. ზოგიერთ პოლიტიკოსს ვგულისხმობ, რომ ეს არის. მათი იგივე ჩემი კოლეგებისგანაც მსმენია, რომ სატელევიზიო დებატებში - წაართვა, ჩაეჭრა, ხმით გადაფარო - ითვლება სიძლიერის გამოხატულებად, რასაც არ ვეთანხმები, თუმცა ძალიან ბევრი ჩემი კოლეგა როგორც სახელისუფლო ასევე ოპოზიციური პარტიიდან იყენებს. ეს მცდარია, ეს სტერეოტიპი არსებობს“ (კაცი, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი).
„საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის შესაძლებელია, სიძულვილის ენის გამოყენება ასოცირებული იყოს ძალასთან“ (ქალი, მმართველი პარტიის ყოფილი წარმომადგენელი).

- პარტიული კუთვნილების მიუხედავად, რესპონდენტები მკვეთრად ნეგატიურად აფასებენ სიძულვილის ენის გამოყენებას და მისი, როგორც ძალის/სიძლიერის დემონსტრირების აღქმის განმაპირობებელ ფაქტორებს შორისაც უმთავრესად, უარყოფით ტრიგერებს: დაბალ პოლიტიკურ კულტურას, პიროვნულ სისუსტეს, განათლების დაბალ დონეს/სიძულვილის ენის შესახებ ინფორმირების დაბალ ხარისხს, პოლიტიკური კომპეტენციისა და გამოცდილების ნაკლებობას,

მოძველებულ მასკულინურ ტრადიციებსა და არაჯანსაღ გამოცდილებას, მათ შორის, ქურდული/ქუჩური მენტალიტეტის გადმონაშთებს ასახელებენ:

„**შტერია** და ეგრე მოუვიდა და. მეტი არ იცის იმან რა. რო ცოდნოდა რაში იყო საქმე. **უვიცობით** მოსდის ეს და არა იმით, რომ სიძულვილის ენას იყენებს“ *(ქალი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).*

„ხო აი ეს არის ცოტათი ქუჩური მენტალიტეტის შემოტანა არი პოლიტიკურ ველში. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ანუ ერთია, როგორც გითხარით არგუმენტაციის ნაკლებობა და ასე ვთქვათ შეურაცხყოფაზე გადასვლით გინდა რომ შენი უპირატესობა აგრძნობინო ოპონენტს. მეორეა, რომ ეს ქუჩური წესია და ქუჩურ მენტალიტეტში შეურაცხყოფები და ამ შეურაცხყოფებით დაჩაგვრა ოპონენტის იღებს გზას“ *(კაცი, მმართველი პარტიის წარმმომადგენელი).*

„მართვა გარკვეულად პროცესის უჭირთ და არ იციან. ეს ალბათ გამოუცდელობის ბრალიც არის“ (კაცი, მმართველი პარტიის წარმმომადგენელი).

ჩვენთან დაბალი პოლიტიკური კულტურაა (ქალი, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი).

მათთვის [პოლიტიკური ოპონენტებისთვის] სიძულვილის ენის გამოყენება არის ჩვეულებრივი მოვლენა, რაც არ არის მისაღები, ცხადია (ქალი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).

„უზრდელობასთან არის დამოკიდებული და რაღაცა ეგეთ რამეებთან რა“ *(ქალი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).*

„რატომ შვებიან ეს ორი ძირითადი მეზეზია:

ერთი-მიზანმიმართულად მუშაობენ საზოგადოების ნაწილზე;

მეორე-უბრალოდ ხასიათში აქვს. ვერც ეთერში და ვერც სხვაგან საკუთარ თავს ვერ აკონტროლებენ. ეს ორი მიზეზია ალბათ (კაცი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).

„ჩემთვის ეს არის სისუსტის მაჩვენებელი და არა ძალის *(ქალი, მმართველი პარტიის ყოფილი წარმომადგენელი).*

„დაბალი პოლიტიკური კულტურა განაპირობებს“ (ქალი, მმართველი პარტიის ყოფილი წარმომადგენელი).

„თუ ადამიანი მარცხდება და სისუსტეს გრძნობს მაშინ გადადის შურაცხყოფაზე და ძალადობის ენაზე, თუმცა თვითონ ამის აღქმა შეიძლება არ აქვს ამ შემთხვევაში ხოოო“ *(კაცი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).*

„ნუ რამდენიმე მიზეზია ამისი. სამწუხაროდ, პოლიტიკური კულტურა, რეალობაა, საქართველოში არ გაგვაჩნია. ბოლო-ბოლო 30 წელია, დამოუკიდებლად ჩვენ ამას ვეწევით და სამოქალაქო ომში და დაპირისპირებაში გავატარეთ და აქედან გამომდინარე, განსხვავებით ევროპული დემოკრატიისგან, სადაც საუკუნეები ყალიბდებობა ეს კულტურა ჩვენ ჯერ-ჯერობით მოკლებულები ვართ, ამიტომ რაღაც ეტაპზე ჩვენც მივალთ აქამდე. დებატების წარმართვის კულტურა არ გაგვაჩნია. ერთი ეს.

მეორე ის, რომ პოლიტიკოსებს არ აქვთ არგუმენტები, დაარწმუნონ ოპონენტი და გადადიან, ეგრევე სიძულვილი ენაზე და პირობითად მუშტი-კრივზე, რაც ყოვლად დაუშვებელია.

მესამე, ხო ეს პოლიტიკური უმწიფრობა, რომ ზოგიერთ პოლიტიკოსს მიაჩნია, რომ ეხლა თუ გინებას გამოიყენებს და სიძულვილს, ჰგონია, რომ რაც უფრო მყვირალა იქნება, მით უფრო მოაწონებს თავს თავის ე.წ. ამომრჩეველს, რაც ასევე მცდარია. ზოგადად, არაკომპეტენტურობაც. ეხლა პოლიტიკოსებიც გამოდიან ჩვენი საზოგადოების წიაღიდან ხო? და კომპეტენცია, განათლება ეს მაჩვენებლები სამწუხაროდ ჩვენი საზოგადოება მოიკოჭლებს. ამას ყველა საერთაშორისო გამოკითხვა გვიჩვენებს. შესაბამისად, როდესაც კომპეტენცია გაკლდება. ეხლა იმ პოლიტიკოსსაც სხვა პლანეტიდან ხომ არ აირჩევენ ხო? იმ საზოგადოებიდან ირჩევენ, რაც გვაქვს და შესაბამისად, იგივე ნეგატიური მხარეები გადადის პოლიტიკაში ხო, რაც არის საზოგადოებაში. არ ხარ კომპეტენტური, არ გაქვს შესაბამისი უნარები, გადადიხარ მერე სიძულვილის ენაზე ... ეს არის ძალაუფლების შენარჩუნების ერთ-ერთი გზა. მათი გადმოსახედიდან მეთოდი, რომ ასე ვთქვათ მაქსიმალურად დაპრესო შენი მოწინააღმდეგე და ამომრჩეველს ანახო: შეხედე, მე როგორ ვავიწროებ მოწინააღმდეგეს. ეს განსაკუთრებით მაღალ პიკს აღწევს არჩევნების დროს. ერთმა ძალამ მეორე გაანადგუროს. ასე რომ ბევრი მიზეზია ამისი და ვფიქრობ, დროთა განმავლობაში მოგვარებადია, თუმცა, ჩვენზეა დამოკიდებული რამდენი წელი გასტანს ეს“ (კაცი, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი).

„პოლიტიკური კულტურის ნაკლებობა. იქ სადაც პოლიტიკური კულტურა მაღალია, იქ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები ნაკლებია. პოლიტიკური კულტურა ინდივიდუალურად, თითოეული პოლიტიკოსის ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებასაც გულისხმობს. პოლიტიკურ კულტურას პოლიტიკოსები აყალიბებენ. ჩემთვის არა მხოლოდ პოლიტიკოსის მხრიდან, არამედ რიგითი ადამიანის მხრიდანაც

მიუღებელია სიძულვილის ენის გამოყენება“ (კაცი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).
მთლიანობაში საზოგადოება არის ძალიან ჩამორჩენილი იმ საუკუნეს, რომელშიც ეხლა ჩვენ ვართ. პრეტენზიები ჩვენ გვაქვს თითქოს რაღაცა ევროპული ცივილიზაციის ნაწილი ვართ, მაგრამ საზოგადოების განვითარების დრო ძალიან დაბალია, მაგრამ ამაზე იმოქმედა განვლილმა წლებმა. როგორც გითხარით: საკუთარი ადგილის დამკვიდრების ინსტრუმენტად ძალადობრივი ქმედებები, ინტონაციები, დაფიქსირებული დაწყებული ქურდული მენტალიტეტიდან, დომინანტი მენტალიტეტიდან ეს ყველაფერი ილექება და საბოლოო ჯამში ამას ჰქვია საზოგადოების განვითარების დონე, რომელიც არის ძალიან დაბალი და თუ რამე არის სამუშაო არის სამუშაო ამაზე“ (კაცი, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი).

- აღსანიშნავია, რომ სიძულვილის ენის გამოყენების ხელშემწყობ სოციალურ ფაქტორებს შორის დაუსჯელობის სინდრომი - სათანადო რეგულაციების დეფიციტი ან/და არსებული რეგულაციების აღსრულების პრობლემურობა, აგრეთვე, ცალკეულ შემთხვევაში, არაკორექტული მედიაპოლიტიკა და სოციალური მედიის გავლენა დასახელდა:

„მასმედია და სოცქსელებში ხდება ტირაჟირება და შემდეგ (სამწუხარო) პოპულარიზაცია, თუნდაც უარყოფითი კონტექსტით“ *(კაცი, მმართველი პარტიის წარმმომადგენელი).*
„სოციალურ ქსელებში, ხშირად იყენებენ, რა თქმა უნდა“ (ქალი, მმართველი პარტიის ყოფილი წარმომადგენელი).
„ერთ რამეს ვიტყვი უბრალოდ. რაც უფრო კიდევ ერთ ფაქტორთან არის დაკავშირებული ზოგადად სიძულვილის ენა, ტენდენცია. სიძულვილის ენის გამოყენების სიხშირე დაკავშირებულია იმასთან, რომ სოციალური ქსელი მედიის გაჩენასა და ფართო გამოყენებასთან რა. როდესაც მედიუმის როლს ასრულებდა, რასაც mainstream მედია ჰქვია, ხომ. როდესაც პოლიტიკური დისკურსი იფილტრებოდა mainstream მედიაში ხოოო 80-იან წლების ბოლომდე 90-იან წლებში მანამდე პოლიტიკური პოლარიზაციის ხარისხი ნაკლები იყო ამერიკაშიც. ეხლა როცა პოლიტიკოსები უშუალოდ გადიან ფართო მასებზე, არ უწევთ რარაცის გაფილტვრა მეინსტრიმ მედიაში, ეს პოლიტიკური ეთიკა მოიშალა. შესაბამისად და შესაბამისად დამკვიდრდა უფრო მეტი აგრესია, სიძულვილის ენა

პოლარიზაცია სოციალურ მედიაში და ესეც განაპირობებს პოლიტიკოსების ქცევას“ (კაცი, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი).
„არ არის რეგულაციები. რაც არის, ისიც არ სრულდება. ამ მიზეზით ჯერ არავინ დასჯილა. პასუხი არ უგია არავის“ (ქალი, მმართველი პარტიის ყოფილი წარმომადგენელი) (კაცი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).
„მედია პოლარიზება ძალიან უწყობს ხელს სიძულვილის ენის გამოყენებას. ზოგიერთი არხი პირდაპირ ამაზე მუშაობს“ (ქალი, მმართველი პარტიის ყოფილი წარმომადგენელი).
„პარლამენტის ეთიკის კოდექსში არის ამაზე ლაპარაკი. სხვაგან თუ არსებობს რაიმე - არ ვიცი“ კაცი, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი).

- სიძულვილის ენასთან მიმართებაში გენდერული ასიმეტრიის ნიშნები გამოიკვეთა: ქალები და კაცები განსხვავებულად აფასებენ გენდერის ნიშნით სიძულვილის ენის გამოყენების ინტენსივობას, აგრეთვე, კაცების გარკვეული ნაწილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქალების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება აქვს და თავს უფლებას არ მისცემს, რომ მათ მიმართ სიძულვილის ენა გამოიყენოს:

„ქალები არა, რათქმაუნდა უფრო კაცები“ (კაცი, მმართველი პარტიის წარმმომადგენელი).
„დიახ განსხვავდება. კაცები უფრო ხშირად იყენებენ სიძულვილის ენას, ვიდრე ქალები. ქალების მხრიდან ერთეული შემთხვევები თუ მახსენდება. იშვიათად ქალები (კაცი, მმართველი პარტიის წარმმომადგენელი).
„ანუ შეიძლება ითქვას რომ ქალები პრინციპში თითქმის არ იყენებენ ხოლმე. აქ უკვე გამონაკლისია, გამოყენება. თუ კაცებში პირიქით გამონაკლისია არა სიძულვილის ენით საუბარი. სიძულვილის ენით საუბარი ქალებისთვის გამონაკლისი უფრო არის“ (კაცი, მმართველი პარტიის წარმმომადგენელი).
ქალები მეტად ხდებიან მსხვერპლნი სიძულვილის ენის, ვიდრე კაცები. ქალი პოლიტიკოსების მიმართ ბევრი სხვადასხვა მეთოდია გამოყენებული (ქალი, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი).
ალბათ, ალბათ, საქართველოში ქალის მიმართ დამოკიდებულება აქაც იჩენს თავს და თუ არ ჩავთვლით იშვიათ გამონაკლისებს

ვთქვათ, მამაკაცები ქალების მიმართ მაინც თავშეკავებას ცდილობენ. ყოველშემთხვევაში მე ასე მეჩვენება, რომ უფრო თავშეკავებულები არიან ქალი ოპონენტების მიმართ (კაცი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).

„ჩემი აზრით, იშვიათად, ქალების მიმართ“ (კაცი, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი).

„ზოგადად, ქალი პოლიტიკოსების (და ზოგადად საჯარო სივრცეში აქტიური ქალების) მიმართ ბევრად უფრო აგრესიულია საზოგადოება და უფრო ხშირად იყენებს სიძულვილის ენას“ (ქალი, მმართველი პარტიის წარმმომადგენელი).

„ნუ ქალები ნაკლები არიან რაოდენობრივადაც. შესაბამისად, შეიძლება იმიტომ ჩანს ესე, მაგრამ მაინც ვფიქრობ რომ კაცები უფრო გამოირჩევიან სიძულვილის ენის გამოყენებით“ (ქალი, მმართველი პარტიის ყოფილი წარმომადგენელი).

„არა, ქალების მიმართ სიძულვილის ენას არ გამოვიყენებ რაც რაც უნდა მოხდეს. მათ მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება მაქვს“ (კაცი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი).

თავი 6

დასკვნა/რეკომენდაციები

ჩვენ მიერ განხორციელებულმა დისკურსის ანალიზმა, რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებულმა მონაცემებმა და სიღრმისეული ინტერვიუს დასკვნებმა ჩვენი ძირითადი ჰიპოთეზა დაადასტურა.

დისკურსის ანალიზმა აჩვენა, რომ ქართველი ქალი პოლიტიკოსების მიერ კარიერული წინსვლის მიზნით გამოყენებული საშუალებები არ გამოირჩევა კონსტრუქციულობით, თავშეკავებულობითა თუ შემწყნარებლობით. ხშირად მიმართავენ სიძულვილის ენას, რაც კონფლიქტის წარმოშობას ან ესკალაციას იწვევს. ასეთ დროს არც ერთი მათგანი არ ცდილობს სიტუაციის განმუხტვას, პირიქით დისკრედიტაციისთვის, ცდილობენ ოპონენტის ნაკლოვანებებზე/სისუსტეებზე ხაზგასმას. მათთვის სიძულვილის ენის გამოყენება მიზანმიმართული სტრატეგიაა, და არა ემოციურ ფონზე, შემთხვევითად განხორციელებული აქტი.

ჩვენ მიერ ჩატარებული დისკურსის ანალიზის მიხედვით გამოიკვეთა სიძულვილის ენის ფუნქცია. კერძოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიძულვილის ენის გამოყენება ქართველი ქალი პოლიტიკოსებისთვის მიზნის მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა, რაც სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზმაც დაადასტურა.

სიძულვილის ენის გამოყენება ხდება მაშინ როდესაც არსებობს კონკურენცია. აღმოჩნდა, რომ კონკურენციის პირობებში, ვერბალური აგრესიის ეს ფორმა შესაბამისად პოლიტიკოსების მიერ გამოყენებული სიძულვილის ენა, ქმნის კონტექსტს, რომელიც გავლენას ახდენა საზოგადოებაზე. თვის მხრივ, ეს კონტექსტი ნეგატიურად აისახება თავად გამვრცელებელზეც. პოლიტიკოსებს ბუმერანგის პრინციპით უკან უბრუნდებათ უარყოფითი დამოკიდებულება.

სწორედ ამ ფაქტს ადასტურებს ჩვენს მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგები.

მიღებული შედეგები შეგვიძლია განვაზოგადოთ და დავასკვნათ, რომ:

- საქართველოში, კონკურენციის ძირითად ენას სიძულვილის ენა წარმოადგენს;
- ქართველი ქალი პოლიტიკოსები თვითდამკვიდრებას სხვათა დევალვაციით ცდილობენ;
- სიძულვილის ენის გამოყენება ფართოდ არის გავრცელებული;
- სიძულვილის ენას პროგრესირებადი ხასიათი აქვს;
- სიძულვილის ენა მიზანმიმართული სტრატეგიაა;
- ის პოლიტიკოსები, ვინც სიძულვილის ენის გამოყენების უფრო მაღალი მაჩვენებლით ხასიათდებიან, უფრო მაღალი ხარისხით ხდებიან სიძულვილის ენის ადრესატი;
- პოლიტიკოსი ქალები უფრო მეტად იყენებენ სიძულვილის ენას, ვიდრე კაცები, აგრეთვე ისინი უფრო მეტად გვევლინებიან სიძულვილის ენის ადრესატად;
- სიძულვილის ენის გამოყენება ხშირ შემთხვევაში ხდება იმ პოლიტიკოსების მიმართაც, რომლებიც თვითონ ნაკლებად იყენებენ სიძულვილის ენას - ანუ, უფრო გამომყენებლის მახასიათებელს წარმოადგენს, ვიდრე - სიტუაციურად სხვა პოლიტიკოსის მიერ პროვოცირებულ ფაქტორს;

სიღრმისეული ინტერვიუს შედეგების მიხედვით, პოლიტიკოსები ნეგატიურად არიან განწყობილნი სიძულვილის ენის გამოყენების მიმართ, და ამ ფაქტს დაბალ პოლიტიკურ კულტურას, განათლების დაბალ დონეს/სიძულვილის ენის შესახებ

ინფორმირების დაბალ ხარისხს, პოლიტიკური კომპეტენციისა და გამოცდილების ნაკლებობას, მოძველებულ მასკულინურ ტრადიციებსა და არაჯანსაღ გამოცდილებას, მათ შორის, ქურდული/ქუჩური მენტალიტეტის გადმონაშთებს უკავშირებენ. თუმცა მიუხედავად ამისა, ისინი მაინც მიმართავენ ვერბალური აგრესიის ამ ფორმას, რადგან მიაჩნიათ, რომ თუ სიძულვილის ენის გამომყენებელს იგივენაირად არ უპასუხებენ სუსტები გამოჩნდებიან.

კვლევის ანალიზით გამოიკვეთა, რომ სიძულვილის ენის გამოყენების ხელშემწყობ სოციალურ ფაქტორებს შორის დაუსჯელობის სინდრომი - სათანადო რეგულაციების დეფიციტი ან/და არსებული რეგულაციების აღსრულების პრობლემურობაა, აგრეთვე, ცალკეულ შემთხვევაში, არაკორექტული მედიაპოლიტიკა და სოციალური მედიის გავლენა.

თანამედროვე საქართველოში პოლიტიკური ველი უკიდურესად პოლარიზებულია და გაჯერებულია არაჯანსაღი კონკურენციით. კონკურენციის ბუნების ახსნა შესაძლებელი გახდა დოიჩის ურთიერთდამოკიდებულების თეორიის მიხედვით, სადაც კარგად ჩანს კონკურენციის მახასიათებლები. კერძოდ, პოლიტიკოსები სიძულვილის ენის გამოყენებით ძალის დემონსტრირებასა და ოპონენტის „გაცამტვერების“ ფონზე საკუთარი იმიჯის ფორმირებას ცდილობენ.

ამრიგად, კვლევამ დაადასტურა რომ სიძულვილის ენა მაშინ ვლინდება, როდესაც არსებობს კონკურენცია, პოტენციური ოპონენტი და ამ ქცევის განხორციელებისთვის პოლარიზებული გარემო.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოლარიზებული გარემო ხელს უწყობს კონკურეტული გარემოს შექმნას, რაც თავისმხრივ სიძულვილის ენის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს.

კვლევამ აჩვენა, რომ განწყობის თეორია კარგად ხსნის თუ რატომ ხდება სიძულვილის ენის ინტენსიური გამოყენება და მისი გავრცელების არეალის გაფართოება: როგორც კი შეიქმნება განწყობის რეალიზებისთვის ხელსაყრელი გარემო, მაშინვე ხორციელდება შესაბამისი ქცევა, რაც კვლავაც ძველი განწყობის განმტკიცებას უწყობს ხელს.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საშუალებით გარკვეულწილად შეიქმნა ქართველი პოლიტიკოსების ენობრივი პროფილი და სპეციფიკა. ასევე წარმოჩინდა ის სტრატეგიები, რომელსაც იყენებენ პოლიტიკოსები საკუთარი თავის წარმოჩენის და ოპონენტთა დაჩრდილვის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ნაშრომი არ იძლევა საქართველოში გავრცელებული პოლიტიკური მეტყველების სრულყოფილ აღწერასა და ანალიზს, იგი წარმოადგენს საწყისს უფრო ღრმა კვლევებისთვის.

კვლევის სხვადასხვა ეტაპზე მიღებული შედეგების საფუძველზე განხორციელდა იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც თანამედროვე საქართველოში პოლიტიკოსთა მიერ სიძულვილის ენის გამოყენების ძირითად ტრიგერებს წარმოადგენს:

1. პოლარიზებული, ხშირ შემთხვევაში, მტრული პოლიტიკური გარემო, არაჯანსაღი კონკურენცია, პოლიტიკოსებში ქმნის განწყობას, რომ სიძულვილის ენის გამოყენება საკუთარი სიძლიერისა და, შესაბამისად, ოპონენტის სისუსტის დემონსტრირების ეფექტური საშუალებაა (კვლევის თვისებრივ კომპონენტში წარმოდგენილ არგუმენტებთან ერთად, აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, სიძულვილის ენის გამოყენებით, საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში სწორედ, პოლარულად დაპირისპირებული პარტიები: ქართული ოცნება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გამოირჩევა);

2. სიძულვილის ენის გამოყენება ასოცირებულია ძალასთან, სიძლიერესთან, არა მხოლოდ პოლიტიკოსთა შორის, არამედ, საზოგადოების გარკვეული

ნაწილისთვისაც, რაც პოლიტიკაში მისი გამოყენების მოტივაციას მნიშვნელოვანწილად აძლიერებს. იმის მიუხედავად, რომ სიძულვილის ენის გამოყენების მიმართ ხდება ნეგატიური დამოკიდებულების დეკლარირება, რეალურად, სიძულვილის ენის გამოყენება როგორც პოლიტიკურ სივრცეში, ისე - საზოგადოებაში მაღალი ინტენსივობით ხასიათდება, რაც აშკარად გამოიკვეთა კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ კომპონენტებში;

3. შესაბამისი კომპეტენციების დეფიციტი: დაბალი პოლიტიკური კულტურა, პიროვნული სისუსტე, განათლების დაბალ დონე, სიძულვილის ენის შესახებ ინფორმირების დაბალი ხარისხი, პოლიტიკური გამოცდილების ნაკლებობა, რაც პოლიტიკოსებში საკუთარ მიღწევებზე კონცენტრირების ნაცვლად, თვითდამკვიდრებისა და ვერტიკალური მობილობის პროცესებში სხვათა დევალვაციის პრიორიტეტულობისა და აგრესიის სტიმულირებას ახდენს;

4. მოძველებული მასკულინური ტრადიციები და არაჯანსაღი გამოცდილება, მათ შორის, ქურდული/ქუჩური მენტალიტეტის გადმონაშთები;

5. „დაუსჯელობის სინდრომი“: სათანადო სამართლებრივი თუ სხვა რეგულაციების დეფიციტი ან/და არსებული რეგულაციების აღსრულების პრობლემურობა;

6. სიძულვილის ენის გამოყენების მაღალი ინტენსივობა მედიასივრცეში, მათ შორის - სოციალურ მედიაში.

კვლევის ძირითადი მიგნებებიდან გამომდინარე, სიძულვილის ენის გამოყენებისა და მისი სოციალურ-პოლიტიკური შედეგების ელიმინაციის/მინიმიზების ხელშეწყობის მიზნით რეკომენდებულია:

- სიძულვილის ენასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება განათლების ყველა საფეხურზე;

- შესაბამისი რეგულაციების შემუშავება/განვითარება და მათი აღსრულების მექანიზმების უზრუნველყოფა;
- გენდერის სპეციალისტებისა და უმცირესობათა უფლებადამცველების მჭიდრო ჩართულობა სიძულვილის ენის პრევენციისა და აღმოფხვრის პროცესებში;
- სიძულვილის ენის რეგულაციის პროცესები განხორციელდეს ისე, რომ არ არ მოხდეს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა;
- საკითხის მრავალმხრივობიდან და მაღალი აქტუალობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის სტიმულირება და ხელშეწყობა შესაბამისი მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1.არისტოტელე. (1981). *„რიტორიკა".* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

2.დეკლარაცია, მუხლი 2, 1948. ადამინის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf

3.კოდექსი. (1999). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. საქართველოს პარლამენტი.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=235

4.კონვენცია. (1946). Council United Nations Security. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1219170?publication=0

5.კონვენცია. (1966). *საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად.* გაეროს გენერალური ასამბლეა.

http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi7.pdf

6.ნადირაშვილი, შ. (1983). *ანწყობის ფსიქოლოგია.* (ა. ფრანგიშვილი, რედ.) თბილისი: მეცნიერება.

7.ნადირაშვილი, შ. (1985). *განწყობის ფსიქოლოგია.* თბილისი: მეცნიერება.

8.უზნაძე, დ. (1940). *ზოგადი ფსიქოლოგია.* თბილისი.

9.უზნაძე, დ. (2009). *განწყობის ფსიქოლოგია (4 გამ.).* (შ. ნადირაშვილი, რედ.) თბილისი: საქართველოს მაცნე.

10.უზნაძე, დ. (2009). განწყობის ფსიქოლოგია. თბილისი: საქართველოს მაცნე.

11.საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა. სიძულვილის ენის აღმოფხვრა პოლიტიკურ დისკურსში – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან თვითრეგულაციის მექანიზმებისკენ. https://gdi.ge/uploads/other/0/192.pdf

12.Аристова, В. (2011). *Инвективная лексика во французском художественном дискурсе.* АНО ВПО МОГИ.

13.Горбаневский, М. (2001). *Цена Слова.* Галерия.

14.Жельвис, В. И. (2001). *Поле брани;сквернословие как социальная проблема в языках и культурах мира.* Москва: Ладомир.

15.Zajacova, A. (2002, January 1). The Background of Discourse Analysis: A New Paradigm in Social Psychology. *Journal of Social Distress and the Homeless*, 27.

16.Уфимцева, А. (1974). *Типы словесных знаков.* Москва.

17.Фрейджер, Р. Ф. (2001). *Теории личности и личностный рост.*

18.Холл К. С., Л. Г. (1997). *ТЕОРИИ ЛИЧНОСТИ.* (П. И.Б.Гриншпун) https://docplayer.ru/27262960-Kelvin-s-holl-gardner-lindsey-teorii-lichnosti-perevod-i-b-grinshpun.html

19.Ammosy. (2006). *L'argumentation dans le discours.* paris: Armand Colin.

20.Amossy, R. (2000). *L'Argumentation dans le discours.* Paris: Nathan University.

21.Amossy, R. R. (2010, november 30). Argumentation et discours politique. *Mots. Les langages du politique*, pp. 13-21.

22.Aristotle. (2010). *Aristotle's Rhetoric.* Stanford: Metaphysics Research Lab. doi:https://plato.stanford.edu/entries/aristotle-rhetoric/

23.Asante, M. K. (1998). *Identifying racist language: Linguistic acts and signs. In M. Hecht (ed.) Communicating prejudice.Thousand Oaks, CA: Sage.* Retrieved from https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1002/9781405186407.wbiech004

24.Austin, J. L. (1962). *How to do things with words.* London: Oxford University Press, Amen House, London.

25.Ayelet Kuper & Scott Reeves. (n.d.). Discourse analysis. *BMJ.* doi:DOI: 10.1136/bmj.a879 ·

26.baylon, X. C. (1996). La communication. paris, France: Nathan University.

27.Baylon. (1996). *Sociolinguistique.* paris: Nathan.

28.Benveniste, E. (1966). Probleme de linguistique generale. paris: Editions Gallimard. Bibliothèque des sciences humaines. doi:https://tel.archives-ouvertes.fr/tel-01293663/document.

29.Benesch, S. (2012). Words as Weapons, World Policy Journal, Vol. 29, no. 1,. pp. 7–12.

30.Bonnafous S. C. P. (2003). *Argumentation et discours politique.* Presses universitaires de Rennes.

31.Bonnafous, S. C. (2003). Argumentation et discours politique. Presses universitaires de Rennes. doi:10.4000/books.pur.24821

32.Bresin, K. .. (2012, January). Aggression as Affect Regulation: Extending Catharsis Theory to Evaluate Aggression and Experiential Anger in the Laboratory and Daily Life. *Journal of Social and Clinical Psychology*.

doi:DOI: 10.1521/jscp.2013.32.4.400.

33.BROWN, A. (2015). Hate Speech Law. A Philosophical Examination. doi:https://doi.org/10.4324/9781315714899.

34.Buffon, B. (2002). *La parole persuasive.* France: Presses Universitaires de France.

35.Bushan, C. a. (2002, Feburary). HUMAN AGGRESSION. *Annual Review of Psychology*.

36.Chinenye Nwabueze, Ebere Okonkwo. (2018). Rethinking the Bullet Theory in the Digital Age. International Journal of Media, Journalism and Mass Communications (IJMJMC), pp. 1-10.

37.Council of Europe, Recommendation 97 (20) of the Committee of Ministers to Member States "On Hate Speech" http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/other_committees/dhlgbt_docs/CM_Rec%2897%2920_en.pdf

38.Committee on the Elimination of Racial Discrimination, General recommendation No. 35, Combating racist hate speech http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CERD% 2fC%2fGC%2f35&Lang=en

39.Convention, E. (1989). European Convention on Transfrontier Television. https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/108?module=treaty-detail&treatynum=132

40.Ch. Perelman Y.L. Olbrechts-Tyteca. (1989). *Tratado de la argumentacion.* Madrid: DE L'UNIVERSITÉ DE BRUXELLES.

41.Charaudeau. (2005). Le discours politique. In P. Charaudeau, *Le discours politique. Les masques du pouvoir* (pp. 207-213). paris: Vuibert. doi:https://doi.org/10.4000/corpus.320

42.Charaudeau. (2007). De l'argumentation entre les visées d'influence dela situation de communication. *CharaLivres, articles, publications*. Retrieved from http://www.patrick-charaudeau.com/De-l-argumentation-entre-les.html

43.Charaudeau, P. (2005). Le discours politique. . In P. Charaudeau, *Les masques du pouvoir.* (pp. 207-213). paris: Vuibert.

44.Charaudeau, P. e. (2002). *Dictionnaire d'Analyse du Discours.* paris: Seuli.

45.Deborah Schiffri, N. (1994). *Approaches to discourse.* Oxford: Blackwell.

46.Delgado, R. J. (2009). *FOUR OBSERVATIONS ABOUT HATE SPEECH*

47.Deutsch, M. (2015). A Pioneer in Developing Peace Psychology. *SpringerBriefs on Pioneers in Science and Practice. Volume 30*. doi:DOI 10.1007/978-3-319-15440-4

48.Dijk. (2012). What is Political Discourse Analysis? 1-44. doi:http://www.discourses.org/OldArticles/What%20is%20Political%20Discourse%20Analysis.pdf

49.Dijk, V. T. (1988). What is political discourse analysis? *Political Linguistics*, pp.11-52.

50.Dijk, V. T. (2002). *Political discourse and Ideology.* Barselona: Universitat Pompeu Fabra. doi:https://www.researchgate.net/publication/238523472_Political_discourse_and_ideology

51.Deutsch, M. (1949). A theory of cooperation and competition. *Human Relations, 2,* 129-152.

52.Deutsch, M. (2015). A Pioneer in Developing Peace Psychology. (H. G. Brauch) *SpringerBriefs on Pioneers in Science and Practice. Volume 30*. doi:DOI 10.1007/978-3-319-15440-4

53.Dominique Maingueneau", R. M. (2002). *Dictionnaire d'analyse du discours, Questions de communication.* paris: URL:http://journals.openedition.org/questionsdecommunication/7547 ; DOI : https://doi.org/10.4000/questionsdecommunication.7547.

54.Drew, P. a. (1992). Talk at work. Cambridge: Cambridge University press. doi:https://www.sscnet.ucla.edu/soc/faculty/heritage/Site/Publications_files/DREW_HERITAGE_INTRODUCTION.pdf

55.Eemeren, F. H. (2009). Argumentation Theory After the New Rhetoric.

56.Fairclough I, a. F. (2004). Political Discourse Analysis. London: Routledge.

57.Fairclough, N. I. (2013, January). Political Discourse Analysis. *Journal of Argumentation in cotext.*, 269-278. doi:https://doi.org/10.1075/jaic.2.2.08tse

58.Foucault. (1970). *Conversation Analysis and dIscourse Analysis.* doi:http://dx.doi.org/10.4135/9780857028020

59.Gagliardone, I. (2015). *Countering Online Hate Speech - UNESCO.* UNESCO Publishing.

https://www.researchgate.net/publication/284157227_Countering_Online_Hate_Speech_UNESCO.

60.Gerstle, J. (2008). *La Communication politique.* paris: Armand Colin.

61.Goffman, E. (1959). The presentation of self in everyday life. In R. Wodak, *The Discourse of Politicsin Action: Politics as Usual* (pp. 525-537). USA: Doubleday.

62.Habermas, J. (1988). *On the logic of the social sciences.* Cambridge: The MIT Press.

63.Harris, Z. s. (1952). *Discourse Analysis*. doi:https://www.translationdirectory.com/articles/article1764.php/ https://www.researchgate.net/publication/327421633_The_Importance_of_Discourse_Studies_in_Linguistics_Language_Teaching_and_Translation

64.Harris, Z. s. (1952). *Discourse Analysis.*

65.Johnson, D. W., & Johnson, R. (1989). *Cooperation and competition: theory and research.* Edina, MN: Interaction Book Company.

66.Johnson, D. W., & Johnson, R. (2005). New developments in social interdependence theory. *Psychology Monographs 131(4)*, 285-358.

67.KRSTIĆ, I. (2020). *REPORT ON THE USE OF HATE SPEECH IN SERBIAN MEDIA.* Belgrade: Council of Europe. Retrieved from https://rm.coe.int/hf25-hate-speech-serbian-media-eng/1680a2278e

68.kozulin, A. (1990). Vygotsky's psychology: A biography of ideas.

69.Kuper, A. R. (2008, February). Discourse analysis. *Ayelet Kuper Brian David Hodges,1 Ayelet Kuper,2 Scott Reeves3*. doi:DOI: 10.1136/bmj.a879

70.Lagorgette, D. (2004). *approches sémantiques et pragmatiques.* Paris: Larousse. Retrieved from https://www.persee.fr/doc/lfr_0023-8368_2004_num_144_1_6804

71.Levinski, D. M. (2010). Argumentation Theory. 2-15. doi:DOI: 10.1002/9781118766804.wbiect198

72.Lewin. (2001). psychological constracts and sources of brain cognitive activity. W. Duch.Poland: Nicolaus Copernicus University.

73.Lewin, K. (1951). *Field Theory in Social Science. .* New York: Harper.

74.Levunson, S. (1983). Pragmatic. doi:https://core.ac.uk/download/pdf/16506661.pdf

75.Lyn frazier, L. T. (1984, september). Parallel structure: A source of facilitation in sentence comprehension. 421-430. doi:DOI: 10.3758/BF03198303

76.Mainguaineau. (1999). *Peut-on assigner des limites à l'analyse du discours ?* paris. doi:https://doi.org/10.4000/ml.1409

77.Mainguaineau. (2002). *Dictionnaire d'analyse du discours, Questions de communication.* paris. Retrieved from https://doi.org/10.4000/questionsdecommunication.7547

78.Mainguaineau D. Charaudeau, P. (2005). *Dictionnaire d'analyse du discours.* Paris: Vuibert.

79.Mainguaineau, D. (1999). Peut-on assigner des limites à l'analyse du discours ? *Modèles linguistiques*, 61-70. doi:https://doi.org/10.4000/ml.1409

80.Maingueneau, D. (1993). *Le contexte de l'oeuvre littéraire. Enonciation, écrivain, société.* Paris: Seul.

81.Maingueneau, D. C. (2005). *Dictionnaire d'analuse du discours.* paris: Seuil.

82.Morris, C. (1938). *Foundations of the theory of signs.* Chicago: Oxford University Press.

83.Ollivier-Yaniv, C. (2010). Discours politiques, propagande, communication, manipulation. *Revue de communication sociale et publique.*, 33. doi:https://journals.openedition.org/mots/19857

84.Oswald, S Rihs. (2013). Metaphor as Argument: Rhetorical and Epistemic Advantages of Extended Metaphors. 133–159. doi:doi:10.1007/s10503-013-9304-0.

85.Paveau, M., & Sarfati, G. (2003). *Les grandes theories de la lingvistique.* paris: colin.

86.Perelman C. Olbrechts-Tyteca, L. (1958). *Traite de l'argumentation.* Universite de Bruxelles.

87.Peut-on assigner des limites à l'analyse du discours ? (1999). *Modèles linguistiques*, 61-70. doi:https://doi.org/10.4000/ml.1409

88.Potter, J, & Edwards, D. (1990, January 1). Discourse analysis. *European Journal of Social Psychology. attribution theory and the social psychology of fact*.

89.Recommendation No.20. (1997). COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS,. Retrieved from https://rm.coe.int/090000168090a6da

90.Recommendation No15. (2015). ECRI GENERAL POLICY RECOMMENDATION NO. 15, ON COMBATING HATE SPEECH. Retrieved from https://rm.coe.int/ecri-general-policy-recommendation-no-15-on-combating-hate-speech/16808b5b01.

91.Rodríguez-Vergara, D. (2018, june). The Importance of Discourse Studies in Linguistics, Language Teaching and Translation. doi:doi:10.17265/1539-8080/2018.06.001

92.Rawson, H. (1989). *Wicked Words.* Crown

93.Schiffri. (1996). *Approaches to discourse.* Barcelona, Spain: Blackwell. Retrieved from https://core.ac.uk/download/pdf/13278801.pdf

94.Schiffri, D. (1996). doi:https://core.ac.uk/download/pdf/13278801.pdf

95.Swift, C. (2013, January). How Coaches Maintain the Status Quo: An Application of Chaim Perelman Values and Universal Audience to NPDA. University of Notre Dame Press. doi:https://www.ukessays.com/essays/philosophy/perelmans-argumentation-theory-and-international-relations-philosophy-essay.php

96.William, J. (1890). *The principles Of Psychology.* New-York. doi:https://archive.org/details/theprinciplesofp01jameuoft/page/8/mode/2up

97.Wodak, R. (1996). *Disorders of Discourse. (Real language series).* London: Longman.

98.Wolton, D. (1995). Argumentation. *Le deficit d'analyse*, 13.

99.Wooffitt, R. (2005). *Conversation Analysis and Discourse Analysis.*